

კვირის პალიტრა



გზა

N5(190) 29/1.-4/11.2004. ღირსი 60 ლ.

როგორ ვიპოვოთ მიწიერი

გაგდიდრების უპარტივესი ინგლისური მეთოდი

პრეზიდენტის გვირგვინი — სიღველო ჩეისი სოსუნი-გროგნი





გარჩილი — გარინა კასიანის ფინანსური წარმატებები ინაუგურაციიდან დაიწყო



რამ გაანაწყენა დათო სუჯაძე

დეგეგვიური ჟანრის მოყვარულთათვის

დოკუმენტური მოთხრობების კრებული



იკითხათ
საგაზეთო
ჯიხურებში
და წიგნის
მალაზიებში

ფასი 2,5 ლარი



№5 (190)
29 იანვარი -
4 თებერვალი 2004
ფასი 60 თეთრი

ვინიატურები

„როგორც ჩემი შვილი იტანჯება, მეს ისე უნდა დავითანჯო“ 3

ერთი კითხვა 4

ანიონა-დანიონა

როგორ აუხსებთ 24-25 იანვარს გამართულ საინაუგურაციო გვიმს? 6

საპატარალო

● „ხევესური ბიჭი ვარ და კლდეზე აშენებულ სასახლეში გასცოვრება...“ 8

● „ერთ ღვს, სამა მაშაჰანა მთხოვა ცოლობა...“ 9

თემა

როგორ ვიშოვოთ მილიონი 11

კრიმინალი

● სანაიას ქვრივი მკვლავლობის დეტალების საჩარო ბანდილვას მონიშნავს 15

● საშა მაისურაჰის პროცესზე დამარაღებული არ ცხადდება... 16

სიმაღლე

საიდუმლო რეისი სოხუმი-გროგონი 18

ტანტი

ერთბული მკითხველი 19

ბახუსი

„ღვინოს მიყვარს, მაგრამ ღვინოთ დათრობას ღიღი დრო სჭირდება...“ 20

კლივიკიკარი

„კლივის გაღაღება კვირად ღირებული სიამოვნებაა“ 21

ანტიდაკრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან 22

აღაღიანი

ჩემი ცხოვრება ამ ცხოველებთან ურთიერთობით დაიწყო 24

მარჩილი

„პურჩევ, თავი შეიკავოს წარსულის ტაქვილების ბახსენებისგან“ 26

გზავნილება

ანბარებიანი სიყვარული და ქორწინება 28

ცხოვრება

გღვარე, რომელსაც ცოლ-ქმარი მიუახლოვდა... 31

ქორ-მართალი

ღათო ხუჯაჰე რუსულენოვანი ალბომის, რეჟოლუციისა და ბასაიდუმლოებული ღვების შესახებ 32

როგორ აუხსებთ 24-25 იანვარს გამართულ საინაუგურაციო გვიმს?



ირაკლი ჩარკვიანი, მომღერალი:
– მე მგონია, რომ ინაუგურაცია იყო უსამართლობა იმ ხალხის მიმართ, ვინც ღამეებს ათენებდა პარლამენტის წინ. მე ვიყავი ერთ-ერთი, ვინც მთელი ღამე კოკისპირულ წვიმაში მღეროდა... რევოლუციის დღეებში მიტინგებზე „სუხიშვილები“ და მათი ცეკვა-თამაში არ გვინახავს...

6

ღათო ხუჯაჰე რეჟოლუციისა და ბასაიდუმლოებული ღვების შესახებ

აბსოლუტურად არაფერს ვნანობ, რადგან ნებისმიერი ადამიანი, თუნდაც შოუბიზნესის წარმომადგენელი, იმ წინადადებების გამო, რაც მე შემომთავაზეს, ნამუსზე ხელს აიღებდა...



32

„ერთ ღვს, სამა მაშაჰანა მთხოვა ცოლობა...“



ამ კვირაში, ვფიქრობ, ძალზე დაძაბული გრაფიკით მუშაობა მომიწევს, რადგან მართლაც, მშვენიერი „საპატარალო“ მინდა წარმოგიდგინოთ. მის შესახებ ლელას დედას – ქალბატონ ლიზისაც ვესაუბრე, რომელიც ამავე დროს, „რონდოს“ პროდიუსერიც გახლავთ...

9

„პურჩევ, თავი შეიკავოს წარსულის ტაქვილების ბახსენებისგან“

ყოველდღიური პრობლემების გამო, შეიძლება, დროის დინებას ჩამორჩეს და გეგმების განხორციელების შანსი დაკარგოს. წლის ბოლოსთვის, უსამოვნებები არ ასცდება. მეტი თავშეკავება და წინდახედულობა მართებს.



26

ტაქარი	
რა უნდა ვიცოდეთ – „საღვთო წერილთან“ ლაკავშირებით?	34
სასარგებლო აზრები	
აურორიგების ენციკლოპედია	35
ქართველები უსხოეთში	
ალექსანდრა ბატონიშვილი – 100 ქასრ ოქროდ შეფასებული უფლისწული	36
ფაქტობრივი	
კლიენტა აგა ქვეყნისათა საფხვართო სივამთიები	38
სოციალური მოზაიკა	39
საფხვართო მინდვრებზე	40
რომანი	
რუსულან ბერიძე. თავისუფალი თემა (ბაბრეკეაბა)	42
ბოროტი	46
მუხმეოვანი	
ალამიანი სხვა ბანდოშილები	48
ავტო	51
იქნებ თქვენ გეკავებ	52
ვაკსკვლავი	
გაღონა – ბრანსნაბიონალური კომერსიული საწარმო...	54
საქმისავი ქალაქისათვის	55
იუმორი	56
საოჯახო ფსიქოლოგია	
როცა ოჯახში გაკრიტიკებენ	57
ჯანმრთელობა	
● რატომ ვიცივებით?	58
● როცა იმუნური სისტემა დაქვეითებულია	59
● გელოცინის სიასლანი	59
ჰოროსკოპი	
კვირის (2-8 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი	60
სკანოვანი	61
მუშაგინი	
დავლილი „საუნდი“ და თემო ხვიბლიანის დაბადების დღე	62
ტენი	
● გაქვთ თუ არა ფანტაზია?	63
● ხართ თუ არა კრატტიკული	63
ქალიღოსკოპი	
ჰრელ-ჰრელი ამბები	64

გარეკანზე: გიორგი შორაშოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-კოლტიკური შურნალი „გზა“ გამომცემის კვირავი მრთხელ, სუიშაბათობით გავით „კვირის კალიტრის“ ღამატმბა შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კვიციანი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

საიდუმლო რეისი სონეი-გროზნი



...ამის დასგურად, თავისი ცილ-ინდრი მარუქა, რომელსაც დღემდე ვინახავ... ბატონი ზვიადი ცოგას სვამდა, ამიგომ ჯოხარი ალავერდს ყოველთვის ჩემთან გადმოდიოდა, რის გამოც ზვიადი ხუმრობით გაგვეწვლავდა ხოლმე – მფრინავეები ლოთები ყოფილხართო!..

18

ჩემი წსოგრება ამ წსოგელგებთან ურთიერთობით დაინჯო

მაიმუნებს „ნესგლეს“ ფაფას ვაჭმევ, რადგან ის მათი მშობლის რძის მსგავსია. ჩვეულებრივი პროხის რძე ახალშობილებისთვის რეკომენდებული არ არის – მუცლის შებერილობას იწვევს.



24

როცა ოჯახში გაკრიტიკებენ



კრიტიკა ხშირად ოჯახშიც კონფლიქტის მიზეზი ხდება ხოლმე. სიფიცხისას ერთმანეთს ვახსენებთ წარსულის შეცდომებსა და მარცხს, სიგყვას სიგყვა მოჰყვება და სკანდალიც იწვევა. იმისათვის, რომ ოჯახის წევრებთან ურთიერთობები არ გაგირთულდეთ, გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები...

57

თავისუფალი თემა

ირაკლიმ აცრემლებულ გვანცას ჯერ უაზროდ შეავლო თვალი, შემდეგ ხელები უსიცოცხლოდ გაშალა და როგორც კი გვანცა გულში ჩაეკრა, თავადაც აქვითინდა:

– გიორგი მომიკლეს მაგ ახერებმა!..



42

„როგორც ჩემი შვილი იცანჭენა, მეც ისე უნდა დავიცანჭო“

ახე ხელენდაეაჩნებელი და ქამარნაჭერილი ბიჭები



საქართველოში დემოკრატიამ გაიმარჯვაო! – მეხივით გავარდა ხმა მთელ მსოფლიოში და ვინ არ მოაწყდა ჩვენს ქვეყანას, რომ უპრეცედენტო ფაქტი – მთავრობაზე შეყვარებული ხალხი და ხალხზე შეყვარებული მთავრობა – საკუთარი თვალთ ეხილა. ახალი პრეზიდენტის სიტყვებმა მოახდინა ეს სასწაული, – ისეთივე გაჭირვებაში უნდა ვიცხოვროთ, როგორმაც ხალხი ცხოვრობსო, – რომ თქვა და თვითონვე მისცა მაგალითი სხვებს: ჯერ იყო და, რაღაც „ავლაბრული რენესანსის“ ნიმუშს, ყოფილი FAI-ს შენობას დაადგა თვალი, სადაც მუდამ ისმოდა გაბრაზებული მძღოლების ბუზღუნა: „პრაავ“ დამიბრუნეთ და „ტეხასმოტრის“ ვადა გამიგრძელეთო. ადგილიც ისეთია, ტრანსპორტის, კორტეჟის ხარჯებს რომ დაზოგავდა და 20 თეთრად მეტროთი ივლიდა სამსახურში, მაგრამ შემდეგ ესეც ეძვირა და მოკრძალებული სამოთახიანი ბინა იქირავა კანცელარიიდან 50 მეტრში, რომ ფეხით იაროს სამსახურში და ხაზინას ამითაც უსაშველოს.



დაწმუნებული ვარ, პრეზიდენტის ასეთ ინიციატივას ახალი ან ხელახლა დანიშნული მინისტრებიც აიტაცებენ. მეც, რა თქმა უნდა, ვგრძნობ ჩემს „პროვოკატორულ“ ვალდებულებას, შესაფერისი ვარიანტები შევთავაზო მათ.

შს მინისტრი და გენპროკურორი ისე შეხმატკბილებულად მუშაობენ ლუეტში, რომ მათი ცალ-ცალკე ცხოვრება საცოდაობაა. ან კი სად სცალიათ სახლში გასაჩერებლად? – ხან გამტაცებლებს დასდევენ კლდე-ღრეში და ხანაც, ავადმყოფებს – პალატებში. როდემდე უნდა იარონ ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში დაცვიან-ამალიანად, როცა იქვე, ორთაჭალის იზოლატორში მშვენიერი საკნები თავისუფლდება?! არც ქირა დასჭირდებათ და იმ სამყაროსაც უკეთ შეისწავლიან, რომელთან ბრძოლაც მათი უპირველესი მოვალეობაა. სამსახურში კი ფეხით ივლიან. ამით ხარჯიც დაიზოგება და ბიუჯეტსაც ვუსაშველებთ რაღაცას...

თავდაცვის მინისტრი რომელიმე „ხუთვარსკვლავეთან“ ყაზარმაში დაბინავდება, ჯარისკაცების გვერდით. მე შენ გეტყვი, ლაპარაკით შეაწუხებს ვინმეს! იქნება თავისთვის, წყნარად და თან „რაგაკტიო“ თვითმფრინავების ჩამოვლებაში ავარჯიშებს ნორჩ არტილერიისტებს.

უშიშროების მინისტრისთვისაც მაქვს ერთი კარგი ადგილი. თანაც, უკვე მოწყობილია: ლეიბიც ატანილია და საკვების მარაგიც. ალბათ მიხვდით, რომ სწორედ იმ ნაძვის ხის

სამალავს ვგულისხმობ, კრწანისის ფერდობზე რომ მოაწყო 11 წლის ბიჭუნამ სპეციალურად მინისტრისათვის. იქიდან ხომ ხელისგულივით მოჩანს მთელი ქალაქი და უშიშროების მახვილ თვალს არავითარი საშიშროება არ გამოეპარება.

განათლების მინისტრი სკოლაში იცხოვრებს – ხომ არსებობს გახანგრძლივებული ჯგუფები?! ისე, ახლანდელი მინისტრების ასაკობრივ ზღვარს თუ გავითვალისწინებთ, განათლების ახალ მინისტრს სკოლაში კი არა, შეიძლება, ბაგა-ბაღში მოუწიოს ცხოვრება. იქ ხომ საწოლიცაა, სადილიც და უამრავი სათამაშოც.

რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს, აქ ბევრად სერიოზულადაა საქმე. მეც ბევრი ფიქრი დამჭირდა და ბოლოს მივხვდი, რომ საავადმყოფოშია მისი ადგილი – პაციენტების მდგომარეობას იქვე გაეცნობა და მათ ჯანმრთელობაზე ისევე უფასოდ იზრუნებს, როგორც საკუთარი მეზობლებისაზე. ანუ: ხარჯი ნაკლები, შედეგი – მეტი...

ასეთ დაწესებულებებს შორის, ერთი გამოვარჩიე – ცენტრთან ახლოს, ასათიანზე რომ მდებარეობს. ამბობენ, იქ უამრავი დიდი პიროვნება: „ნაპოლეონი“, „ნიუტონი“, ორი „სტალინი“ და სამი „შევარდნაძე“ ცხოვრობსო. ახლა თურმე ხუთი „სააკაშვილი“ მიუღიათ და „კმარას“ პლაკატებით აუჭვრელებიათ იმ პალატის კარი, რომელშიც „აბაშიძე“ ცხოვრობს. ასეთ გენიოსებთან ურთიერთობა დიდი გაკვეთილი იქნება ჯანდაცვის ახალი მინისტრისათვის.

დაბოლოს, სახელმწიფო მინისტრი, როგორც ყველა მინისტრის მინისტრი, უარს იტყვის სახლზეც, კარზეც, ყველაფერს ბიუჯეტში გადარიცხავს, თავისივე კაბინეტში დაიდგამს „ლეჟანკას“ და იქვე დასახლდება...

მხოლოდ ასე შევასრულებთ პრეზიდენტის მოლოდებას, – ქამრები მოვიჭიროთ, რომ ისე გვიჭირდეს, როგორც ხალხს უჭირსო; მხოლოდ ასე დაიზოგება ფული და გამოსწორდება იმ ხალხის მდგომარეობა, რომელსაც ქამარი წელში კი არა, ყელში აქვს მოჭერილი...

„ნოვოსელიეს“ გილოცავთ, ბიჭებო!...
P.S. განცხადება ქუჩის განათების ბომბზე:
„ვაქირავე ბინას სტუდენტზე ან მინისტრებზე. გამოდგება პრეზიდენტისთვისაც. ქირის გადახდა წინასწარ („ხელფასმა დაავიანა“ და სხვა ამაღავარი მიზეზები არ მიიღება)“.

პროვოკატორი

„ჩვენ უკან დგას მოსახლეობა, ამომრჩევლები...“

— თქვენ აცხადებდით, რომ სააკაშვილი არ აპირებს პარლამენტში ლეიბორისტული პარტიის შეშვებას, ევროპიდან დაბრუნების შემდეგ კი, გადამწყვიტეთ, მიიღოთ მონანიღობა არჩევნებში და გამარჯვების იმედი გაქვთ. თუ პრეზიდენტმა ყველაფერი წინასწარ გადამწყვიტა, როგორღა აპირებთ მიზნის მიღწევას?

შალვა ნათელაშვილი,

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:

— საქართველოში ოპოზიციური ცენტრი, ლეიბორისტული პარტიაა. ამხელა მნიშვნელობის პარტიამ რომ თავისი ფუნქცია შეასრულოს, ამისათვის საკანონმდებლო ორგანოში უნდა მოხდეს. დღევანდელ ხელისუფლებას, რომელიც გუშინაც მთავრობაში იყო და არჩევნებს აყლებდა, კურსი კვლავ იმ მიმართულებით აქვს აღებული, რომ ქვეყანაში ერთპარტიული პარლამენტი შეიქმნას და დემოკრატიის სახელით შენიღბული დიქტატურა დაამყაროს. ლეიბორისტული პარტია არის ერთადერთი ძალა, რომელიც მათგან ვერ იმართება, ამიტომ პირველ რიგში, არენიდან ჩვენი ჩამოშორება დგას დღის წესრიგში. თავად სააკაშვილი, უკვე მესამედ, აპირებს, არ შეგვიშვას პარლამენტში. ამას არც მალავს და ერთერთი გამოსვლის დროს, პირდაპირ ეთერშიც განაცხადა. მაგრამ ჩვენ უკან დგას მოსახლეობა, ამომრჩევლები და არ შეგვიძლია, ამა თუ იმ პიროვნების ავანტიურისტული ჩანაფიქრის გამო, უარი ვთქვათ არჩევნებში მონაწილეობაზე. სააკაშვილის ამ განზრახვის შესახებ ვაცნობე ევროპულ საზოგადოებას, რომლისგანაც მივიღე გარანტია, რომ მას ასწავლიან დემოკრატიული ელემენტების ანაზღაურებას. შეიძლება, პრეზიდენტის დამოკიდებულება სხვადასხვა პარტიის მიმართ ერთნაირი არ იყოს, მაგრამ წინასწარ არ უნდა ყვიროდეს, ვის შეუძლებს პარლამენტში და ვის — არა. მიუხედავად ამისა, ჩვენ გამარჯვების იმედს მაინც არ ვკარგავთ, რადგან მოსახლეობამ კარგად იცის, რომ ლეიბორისტულმა პარტიამ 10 წლის განმავლობაში, ყოველგვარი ხმაურისა და რევოლუციების გარეშე, იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე ერთად აღებულმა, ყველა ჩვენმა კონკურენტმა პარტიამ. ■

„გაგულაზმი მოხანოვართულად, პოლიციასთან გასანადგურებლად მოქმედებდნენ“

— სამეგრელოში კრიმინოგენური ვითარება უკიდურესად დაიძაბა. არაერთ სისხლის სამართლის დანაშაულს, პოლიციის თანამშრომელთა ლიკვიდაციაც დაერთო; როდის აღიკვეთება ამ რეგიონში განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა თარეში?

ბიორგი ვარაშიძე, შს მინისტრი:

— მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა იმ ჯგუფის წევრთა გამოსავლენად, რომლებმაც პოლიციელებზე თავდასხმა განახორციელეს. თითოეულ მათგანს ვაძლევ იმის გარანტიას, რომ დაღუპული სამართალდამცავების გზას გააყვებიან... ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა უმძიმესი დანაშაულია, მით უმეტეს მაშინ, როცა თავხედურად კლავენ პოლიციის თანამშრომლებს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

საქმე გვაქვს ძალზე საშიშ და თავზეხელაღებულ ადამიანთა ჯგუფთან, რომლებიც მიზანმიმართულად, პოლიციელების გასანადგურებლად მოქმედებდნენ. როგორც ჩანს, მათ სამართალდამცავი ორგანოს მუშაკებმა დანაშაულის ჩადენაში შეუშალეს ხელი, პოლიციელების ლიკვიდაციაც ანგარიშსწორების მოტივით უნდა აიხსნას. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიმდინარეობს ყოველდღიური მუშაობა ასეთი დაჯგუფებების გასაწეობის მიზნით, განსაკუთრებით — სამეგრელოში, სადაც უკიდურესად დაძაბული კრიმინოგენური ვითარებაა. ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, რომელიც ადგილობრივ სამართალდამცავებთან ერთად ხორციელდება, თავზეხელაღებული მკვლელების, ბანდიტებისა და სხვა საშიშ ბოროტმოქმედების თარეში აღიკვეთება. ■

„უკანონო ქონების კონფისკაცია აღკვეთა თუ გვიან, უნდა განხორციელდეს“

— ახალმა ხელისუფლებამ ყოფილ მაღალჩინოსანთა, საზღვარგარეთის ბანკებში არსებული საბანკო ანგარიშების გაყინვა გადამწყვიტა. რამდენად შესაძლებელია ამ ანგარიშებზე ყადაღის დადება და აღმოჩენილი თანხის საქართველოში დაბრუნება?

ნოდარ ჯავახიშვილი,

ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტი, პარლამენტის წევრი:

— ხელისუფლების მხრიდან ასეთი მოთხოვნა რეალურია და მისი განხორციელებაც შეუძლებელი არ უნდა იყოს, თუმცა, ეს ურთულესი პროცესია. როცა პრეზიდენტი ითხოვს ანგარიშების გაყინვას, ამას თან უნდა ახლდეს საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისი იურიდიული დოკუმენტაცია, იმის დასადასტურებლად, რომ ესა თუ ის პიროვნება მართლაც დამნაშავეა. მე ვკვირვებ მეპარება იმაში, რომ ჩვენი პროკურატურის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები იმდენად კვალიფიციური იქნება, რომ შევიცარიის ბანკებმა ანგარიშები გამოამხეურონ.

თუ ეს მოხდა და ადრესატმა საბანკო ინფორმაცია გამოაჩვენა, მაშინ ვერ მოხერხდება, რომ რა ინფორმაციაც ხელისუფლებას აძლევს ხელს, მხოლოდ ის გამოჟღერდეს და რაც არა — დაიმალოს... გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ჩვენში გარკვეული არაა, თუ სად გადის ზღვარი ჩინოფიქსებსა და მეწარმეებს შორის, რადგან ყველა მსხვილი ბიზნესმენი პარლამენტის წევრია და როცა დაიწყებთ ბრძოლას ჩინოფიქსების წინააღმდეგ, მეწარმეებთან მივალთ და გაჭირდება იმის გარკვევა, თუ ვის წინააღმდეგ ვიბრძვით. ვიდრე ხელისუფლება და ბიზნესმენი ერთი და იმავე სახეს წარმოადგენს, მონიტორინგის ჯგუფების შექმნა შედეგს არ მოიტანს. ჩემთვის ცოტა გაუგებარია, რატომ განდა შევიცარიის საბანკო ანგარიშები საქართველოსთვის ასეთი პრობლემა მაშინ, როცა ადგილზევე, უკანონოდ მითვისებული ასობით მილიონია?! თუმცა, თავისთავად ეს წამოწყება პროგრესული ნაბიჯია და უკანონო ქონების კონფისკაცია ადრე თუ გვიან, უნდა განხორციელდეს. ■

„ახლო მომავალში, პურიც ფასი არ მოიმატებს“

— გაფრცხვლებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთში ხორბლის გაძვირებამ შესაძლოა, ჩვენში პურის გაძვირება გამოიწვიოს. რამდენად რეალურია ამის საშიშროება?

ჯამბულ ბაკურაძე, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე:

— რუსეთმა საბაჟო გადასახადი ერთ ტონა ხორბალზე 25 ევროთი გააძვირა. ეს, ბუნებრივია, ფასზე გავლენას იქონიებს. ცნობილია, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველო-

ში პური ყველაზე იაფია. თუმცა, ფასების საკითხი ჩვენში მკაცრი კონტროლის ქვეშაა მოქცეული და მინდა ვთქვა, რომ ახლო მომავალში, პურის ფასები არ მოიმატებს. დღეს, ქვეყანაში 1,5-2 თვის მარაგი გვაქვს. მთელი ეს რეზერვი მხოლოდ პურის ცხოვას უნდა მოხმარდეს. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ რაიმე ნაწილის გატანა ყოვლად დაუშვებელია. ამ საკითხზე სამსჯელოდ, ხშირად ვხვდებით ფინანსთა და სოფლის მეურნეობის მინისტრებს. საკმაოდ

კარგი სამსახური გაგვიწია ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსულმა ამერიკულმა ხორბალმა. მიმდინარეობს მოლაპარაკებები იტალიელებთანაც. ასე რომ, პურის გარეშე არ დაგრჩებით. თანაც, იმედი გვაქვს, რომ ისევე, როგორც შარშან, წელსაც ხორბლის კარგი მოსავალი გვექნება. ამის წინაპირობა უკვე არსებობს, რაც პურის ფასის დარეგულირების ყველაზე კარგი საშუალება იქნება.

„ბაზუიკა ომით გვემუქრება, ჩვენ კი მას გავეჭირვალა არჩევნებით ვუპირისპირდებით“

— ბატონო დავით, თქვენ ბრძანეთ — „დემოკრატიული აჭარა“ ფუნაის მიერ ორგანიზებული მოძრაობაა, რომელიც „ჩვენი აჭარის“ ალტერნატივად შეიქმნა და ედუარდ სურმაჩიძეს, ასლან აბაშიძის სავარძელს უშინადებს. ამბობენ, ეს სააკაშვილის გეგმებს ეწინააღმდეგება...

დავით ბერძენიშვილი,

რესპუბლიკური პარტიის ლიდერი:

— როგორც ჩანს, ჩვენი პრეზიდენტის მაღალი რეიტინგის პარალელურად, ფუნაის სურს, დააფიქსიროს, რომ აჭარაში მასაც ჰყავს მხარდამჭერები, აბაშიძეს კი, სააკაშვილის რადიკალური პოლიტიკა აშინებს და ურჩევნია, ფუნაისთან მჭიდრო

თანამშრომლობაზე იზრუნოს. ამიტომ „დემოკრატიულ აჭარას“, „ჩვენი აჭარის“ მსგავსად, პრობლემები არ შეჰქმნია. უფრო მეტიც — მის რიგებში თავი მოიყარა აჭარის ნომენკლატურულმა ნაწილმა; ყრილობაზე ის ადამიანებიც ენახე, ვინც აბაშიძის მითითებით დამსჯულ ღონისძიებებს ახორციელებდა ჩვენ მიმართ. ამ ეტაპზე, როცა აჭარის დიქტატორული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმდის ბრძოლა გველის, ასეთი გაერთიანების შექმნა სრულიად გაუმართლებლად მიმაჩნია; მით უმეტეს გაუმართლებელია მათი მხრიდან, აბაშიძის მეგობრებზე საუბარი. „დემოკრატიების“ ლოზუნგმა — „რევოლუციური ცვლილებები — რევოლუციის გარეშე“ — არ გაამართლა, მაგრამ ის მათ სამოქმედო ტაქტიკად რჩება.

ცხადია, რომ აჭარაში რეჟიმის შეცვლა ასლან აბაშიძის უპირობო კაპიტულაციას უნდა ითვალისწინებდეს, რასაც მისი გადაწყვეტა მოჰყვება. ფუნაის სურს, რომ ეს პროცესი ეტაპობრივად განვითარდეს. მაგრამ აჭარაში არსებული დიქტატის ტრანსფორმაცია შეუძლებელია. ეს კარგად იცის მიხეილ სააკაშვილმა, ამიტომ მისი პირველი ბრწყინვალე გამარჯვება, ამ რეჟიმის დამხობა იქნება. აბაშიძე ომით გვემუქრება, ჩვენ კი მას გამჭვირვალე არჩევნებით ვუპირისპირდებით. 28 მარტს ჩვენ „აღორძინებას“ დავამარცხებთ და შემდეგ, ასალი პარლამენტი განიხილავს, თუ რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს ავტონომიურ რესპუბლიკაში.

„გამსახურდას ნუშტი მთაწმინდის მიწას უნდა მივაბაროთ“

— ზვიად გამსახურდიას ნეშტის გადმოსვენებასა და მისი მხარდამჭერების შემორიგების პროცესის დაწყებას დიდი ხანია ითხოვთ. როცა ახალმა ხელისუფლებამ ეს საკითხი დღის წესრიგში დააყენა, უკმაყოფილება გამოთქვით და მას ზვიად გამსახურდიას სახელით სპეკულირებაში იბრუნებდით...

ბურბან შარაძე, პარლამენტის წევრი:

— თავის დროზე, ზვიად გამსახურდიამ მის ნლობით აღჭურვილ პირად დამასახელა, ამიტომ ვაძლევ თავს უფლებას, ულტიმატუმის ტონით ვილაპარაკო. ყოფილი პრეზიდენტის ტრაგიკულ ბედში იმ ადამიანებსაც მიუძღვით გარკვეული წვლილი, რომ-

ლებიც ძველი ხელისუფლების ტრანსფორმაციის შემდეგ, კვლავ მთავრობაში მოგვევლინენ. მათ მაგივრად მე მრცხვენია, როცა მოითხოვენ, დაჩქარებულ რეჟიმში მოხდეს ამ პროცესის დათავრება. არადა, 10 წლის განმავლობაში ვეუღარებოდი მათ გამსახურდიას წმინდანად აღიარებასა და საქართველოში გადმოსვენებას. მაშინ არც საპატრიარქოსა და არც დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს ამის სურვილი არ გამოუთქვამთ. დღეს, გამსახურდიას ძელებით სპეკულირება და ქულების დაწერა სურთ, მაგრამ იაფფასიანი პოპულიზმი არ გამოუვათ, სანამ ჩემს მოთხოვნებს არ შეასრულებენ. პირველ რიგში, უნდა მოხდეს კოლხური კომისის აღდგენა, ზვიად გამსახურდიას წმინდანად აღიარება, 1991-92 წლების მოვლე-

ნებისთვის პოლიტიკური შეფასების მიცემა, ზვიად გამსახურდიას მიმართ თითოიდან გამოწოვილი ბრალდებებით აღძრული, სისხლის სამართლის საქმის დახურვა და აეროპორტისათვის პირველი პრეზიდენტის სახელის დარქმევა. ეს არის ჩემი მოთხოვნების ნუსხა. სანამ ყველა პუნქტი არ შესრულდება, გროხნიდან მის გადმოსვენებას არ დავუშვებ... პირადად ჩემი დამსახურებაა, სხვა თანამემამულეების მსგავსად, გამსახურდიას საფლავიც რომ არ დაგვეკარგა. თუ ხელისუფლებას მართლა სურს კეთილი ნების გამოვლენა, მისი ძელები დარბეული კოლხური კომისის ეზოში არ უნდა ჩაფლას, არამედ გადმოასვენოს წმინდანის რანგში და მთაწმინდის მიწას მიაბაროს.

24-25 იანვარს საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია გრანდიოზულ, პომპეზურ და შთამბეჭდავ სახანაობად იქცა. ფიცი, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა „ვარდების რევოლუციიდან“ ორი თვის შემდეგ დადო, მსოფლიოს ტელეკომპანიებმა პირდაპირ ეთერში გადასცეს. როგორ შეფასებას აძლევთ 24-25 იანვრის საინაუგურაციო ზეიმს? ამ კითხვაზე სხვადასხვა პროფესიის ადამიანებმა განსხვავებული პასუხები გაგვცეს.



როგორ აფასებთ 24-25 იანვარს გამართულ საინაუგურაციო ზეიმს?

ლელა ჭანაშვილი

პასტანა ხვალაძე:

– ინაუგურაციის ოფიციალური პროცედურა გახლავთ ფიცის დადება. დანარჩენი ყველაფერი თეატრალიზებული გაფორმებაა. პრეზიდენტის სურვილში, რომ ინაუგურაციის დღეებში სხვადასხვა ქალაქში ემოგზაურა, ცუდი ვერაფერი დავინახე. სხვა საქმეა ის, რომ სანამ ფიცი არაა აქვს დადებული, ის არ არის უფლებამოსილებით აღჭურვილი და სამხედრო აღლუმის მიღებაც არასწორია. ბათუმისა და ფოთის სამხედრო აღლუმებს ვგულისხმობ. აღლუმი არ უნდა მიეღო, რადგან ჯერ არ იყო მთავარსარდალი.

– რა პოლიტიკური დატვირთვა აქვთ 24-25 იანვარს მიხეილ სააკაშვილის ჩასვლას და თუ შეიძლება, ეს ვიზიტი სასიკეთოდ წაადგეს ბათუმისა და ოფიციალური თბილისის ურთიერთობას?

– ეს იყო ერთი მხრივ, ძალის დემონსტრირება, მეორე მხრივ კი კანონის შესაბამისად, თანამშრომლობის სურვილის დემონსტრირება. ეს არა მარტო მიხეილ სააკაშვილის ამ ნაბიჯით, არამედ მისი სიტყვებითაც გამოიხატა. მხოლოდ ამ ერთი შეხვედრით ძნელია ვიმსჯელოთ, როგორ განვითარდება მიხეილ სააკაშვილისა და ასლან აბაშიძის ურთიერთობა, მაგრამ ამ ურთიერთობის დაწყება ნამდვილად მოხ-

და. ინაუგურაციას თუნდაც ამისთვის უნდა მივცეთ დადებითი შეფასება.

ოთარ ტატიშვილი, კომპოზიტორი:

– ძალიან კრიტიკულად არ შევაფასებ ინაუგურაციის დღეებს, თუმცა, ცოტა გადაპრანჭულად და ზედმეტად პომპეზურად ნამდვილად მომეჩვენა. მაგრამ მაინც მივესალმები, თუ ეს ღონისძიება სტიმული იქნება, როგორც ხელისუფლებისთვის, ასევე ხალხისთვის. მე ვერ გავვლი იმ დღეს რუსთაველზე, რადგან ტელევიზიით ისე კარგად შუქვებოდა, რომ ვარჩიე სახლში დავრჩენილიყავი. თანაც ცოტათი შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს, რომ არ დამპატიყეს. ერთი რამეც გამიჩნდა. მედროეები ისევ მოახერხებენ ახალ ხელისუფლებასთან დაახლოებას.

– უნდა მიეღოთ თუ არა ქართული შოუბიზნესის წევრებს საინაუგურაციო შოუში მონაწილეობა?

– აუცილებლად უნდა ყოფილიყო მეორე კონცერტი, სადაც მოგვეცემოდა საშუალება, რომ მივსაღებოდათ ახალ პრეზიდენტს. მე ამის უფლება მაქვს, სადაც წავიქცე, ყველგან გამარჯვება მოვიპოვე. ნამდვილად გამიჩნდა პრეტენზია. დრომა შეცვალეს. ცხადია, ჰიმნიც შეიცვლება. ჰიმნი დიდი ხანია, რაც გაკეთებული მაქვს. თუ კონკურსი გამოცხადდება, მონაწილეობას მივიღებ, მაგრამ უკვე ეჭვი მეპარება, რომ ჟიურიში კომპეტენტური ხალხი მოხვდება.

ირაკლი ჩარკვიანი, მომღერალი:

– მე მგონია, რომ ინაუგურაცია იყო უსამართლობა იმ ხალხის მიმართ, ვინც ღამეებს ათენებდა პარლამენტის წინ. მე ვიყავი ერთ-ერთი, ვინც მთელი ღამე კოკისპირულ წვიმაში მღეროდა. იმ ქართულმა სიმღერებმა, რომელსაც მე და ნიაზ დიასამიძე ვმღეროთ, ბევრი ხალხი მოიზიდა. უსამართლობა მგონია, რომ ჩვენი ღონისძიება შეკვეცეს. იმ ხალხისთვის, ვინც რევოლუციის დღეებში გვისმენდა, ყოველგვარი ბილეთებისა და მოსაწვევების გარეშე ვაკის პარკში უნდა ჩატარებულიყო კონცერტი. არც კლასიკური მუსიკა დახმარება მიხეილ სააკაშვილს და არც ბალეტი. ვინც გვერდით დაუდგა, ისინი ბოლოს იგნორირებული აღმოჩნდნენ. ისე გამოვიდა, რომ ხალხი რევოლუციის დროს ახსოვდა, ღმინისას კი დაავიწყდა. როგორ შეიძლება



— თითოეულ მათგანს შევთავაზეთ, მონაწილეობა მიეღოთ გრანდიოზულ კონცერტში, რომელიც ვაკის პარკში გაიმართებოდა, მაგრამ მათ ჰქონდათ შიდაპრობლემები, ერთმანეთის მიმართ არტიტული პაექრობა, რაც ჩვენ არ გვინტერესებდა. ან უნდა ყოფილ-

სახალხო ზეიმი დაერქვას კონცერტს ოპერის თეატრში, რომელშიც ისევ ის ხალხი მოხვდა, ვისაც მიხეილ სააკაშვილი ებრძოდა?! ჩვეულებრივი ხალხი ზომ იქ ვერ მოხვდა. რევოლუციის დღეებში მიტინგებზე „სუხიშვილები“ და მათი ცეკვა-თამაში არ გვინახავს. ის ადამიანები, რომლებიც რევოლუციის დღეებში სახლებში იყვნენ შეყუჩულები, ახლა გამოჩნდნენ და გააქტიურდნენ. არ მოველოდი ჩვენი ხელისუფლებისგან ასეთ შეცდომებს, თანაც დასაწყისშივე. ეს უსამართლობაა და ძალიან ნაწყენი ვარ.

ბორა კაპანაძე, ინაუგურაციის რეჟისორი:

— ყველა ამბობს, რომ ძალიან კარგი და ლამაზი ღონისძიება იყო. ყველა ჩამოსული სტუმარი კმაყოფილი დარჩა. ვიცი იტალიის დელეგაციის აზრი. ისინი ოპერაში გამართული კონცერტის გამო აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ. საფრანგეთის დელეგაციის რამდენიმე წევრი ცრემლებს იშმენდა. კმაყოფილება გამოთქვას ამერიკელებმაც. ქართველებისგან კი არავინ მოსულა მაღლობის სათქმელად.

რატომ არ მიეცათ ქართული ესტრადის მომღერლებს საშუალება, რომ კონცერტში მონაწილეობა მიეღოთ?

— ორგანიზატორებმა თავიდანვე ვთქვით, რომ ქართული ესტრადის წარმომადგენლებს ძალიან ხშირად აქვთ ხალხის წინაშე გამოსვლის და კონცერტის გამართვის საშუალება, რასაც ვერ ვიტყვით მეგავარსკვლავებზე, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი საქართველოში იშვიათად ჩამოდიან. ორგანიზატორებმა ორიენტირება მაღალ ხელოვნებაზე და სერიოზულ მუსიკაზე ავიღეთ. სამწუხაროდ, რამდენიმე მომღერლის გამოკლებით, ჩვენი ესტრადა ძალიან დაბალი დონისაა.

იქნებ იმ ჯგუფებისთვის მიგეცათ შოუში მონაწილეობის უფლება, რომლებიც რევოლუციის დღეებში აქტიურობდნენ?

იყვნენ ერთად, ან არც ერთი არ მიიღებდა მონაწილეობას. შური, მტრობა და მეტოქეობა ხელოვნებაში არ უნდა არსებობდეს, მხოლოდ ამ მიზეზით მოვხსენით კონცერტი ვაკის პარკში.

კოტე ჩოლოყაშვილი, „ჩოხოსანთა“ საზოგადოების წევრი:

— როგორი ლამაზი პრეზიდენტიც გვყავს, სწორედ ისეთი ლამაზი ღონისძიება გამოვიდა. მე ასეთ რამეს არ შევსწრებივარ. ზვიად გამსახურდიას ინაუგურაციას არ დავსწრებივარ. ელუარდ შევარდნაძის ინაუგურაცია კი ისეთი უღიმამო იყო, საუბარი არც ღირს. ეს ზეიმი მიხეილ სააკაშვილმა ნამდვილად დაიმსახურა. უცხოელი სტუმრები აღფრთოვანებულები შესცქეროდნენ ხალხის ერთსულოვნებას და ფიცის დადების უღამაზე სცენას. განსაკუთრებით სასიამოვნო კი, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მისი ჩასვლა აღმოჩნდა. ამით გვიჩვენა, რომ ვაჟკაცია და არაფრის ეშინია. ასლან აბაშიძეს მოსკოვში და არმიხბასთან სიარულს ურჩევნია, თბი-

ლისში ჩამოვიდეს.
ლელა თინიკაშვილი, დიასახლისი:

— ინაუგურაციის ზეიმი ჩემთვის იმდენად ამაღლებელი იყო, რომ ცრემლებს ვერ ვიკავებდი. მე და ჩემი მეზობლები ქუთაისში წავიდით. გელათის საკათედრო ტაძართან უამრავი ხალხი იყო. ყველა ვლოცულობდით. როცა მიხეილ სააკაშვილის სახეს მოვკარი თვალი, ავტირდით. არ ვიცი, ეს ტელევიზიით თუ გამოჩნდა, მაგრამ იქ მყოფებმა დავინახეთ, რომ მასაც თვალებში ცრემლი გასჩნოდა. საოცრად ფერმკრთალი იყო და ძალიან ნერვიულობდა. ეს დღე უბედნიერეს დღედ დარჩება ჩემს ცხოვრებაში. არ ვიცი, რას გააკეთებს მიხეილ სააკაშვილი, როგორი იქნება მისი პრეზიდენტობის ხუთი წელი, მაგრამ ინაუგურაცია ნამდვილად არაჩვეულებრივი გამოვიდა.

სალომე ბურუკური, დიასახლისი:

როცა ტელევიზიით ეს გრანდიოზული შოუ ვნახე, მივხვდი, რომ ყველაზე დიდი სასჯელი, რაც ახალმა ხელისუფლებამ ელუარდ შევარდნაძეს გამოუტანა სწორედ ის იყო, რომ ის ინაუგურაციაზე არ დაპატიჟეს. ალბათ, ამის გამო ყოფილი პრეზიდენტი თავს საშინლად შეურაცხყოფილად გრძნობდა. ამაყი ვიყავი, როცა რუსთაველზე გამართულ სამხედრო აღლუმს შევუერთებდი. თურმე როგორი ჯარი გვყლია. ეს კადრები ხშირად უნდა აჩვენონ, ჩვენი ეროვნული თვითშეგნება რომ აამაღლონ.

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ტენდრი
გთავაზოვთ კომპიუტერის უმსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი. შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.

საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამომცემებში.

დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.

მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა 15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
 მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
 დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
 33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

მიუხედავად იმისა, რომ „გზის“ წინა ნომრის „საპატარკლომ“ თაყვანისმცემლების მიმართ მკაცრი მოთხოვნები წამოაყენა, მასთან შეხვედრის სურვილი ბევრმა გამოთქვა. ასე რომ, ახლა ჯერო ქრისტიანებია. ჩვენ კი, იმ გამომხატურებებს გაგაცნობთ, რომელიც მის სახელზე მოვიდა. მაგრამ თავდაპირველად, იმის შესახებ, თუ რა მიაზმო რედაქციაში მოსულმა „სამამამთილომ“.

მარი ჯაფარიძე

— ჩემი შვილი, ნიკა უთურაშვილი ამჟამად საზღვარგარეთ გახლავთ წასული. იქ სწავლობს. ვფიქრობ, ძალზე პერსპექტიული ბიჭია და კარგი მომავალი ექნება. ახლა 22 წლისაა. ცოლი არ ჰყოლია. ყოველ ზაფხულს, არდადეგებზე თბილისში რომ ჩამოდის, მისთვის საცოლეს ვარჩევთ ხოლმე. მისი შესაფერისი გოგონა ვერ ვიპოვეთ, რადგან ძალზე წარმოსადეგი ახალგაზრდაა... ამ ზაფხულს, ქრისტიანე კლიბი ნახა და თქვა: აი, ამ გოგოს ნამდვილად მოვიყვანდი ცოლად. მის გამგზავრებამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი და ვეღარ მოასწრო, მისი კოორდინატების დადგენა და მასთან დაკავშირება. შემდეგ, რამდენჯერმე მთხოვა, ქრისტიანე ტელეფონის ნომერი გამეგო და მისთვის შემეტყუობინებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ახლა, მისი ინტერვიუ რომ წავიკითხე, გადავწყვიტე, თქვენთვის მეთხოვა დახმარება. იქნებ, უთხრათ ქრისტიანე, რომ მასთან დაკავშირება მსურს და ჩემი ტელეფონის ნომერიც გადასცეთ — გავამგზავრებ ჩემს შვილთან და ვფიქრობ, ახალგაზრდები კარგად გაუგებენ ერთმანეთს. თავისი საქმიანობაც საზღვარგარეთ განაგრძოს. მე ყველანაირად ვეცდები, ხელი შევუწყო და არაფერი მოვაკლო.

ახლა კი, დანარჩენ გამოხმაურებებს გადავხედოთ:

„ო, როგორ მიყვარხარ, ბინიანო, მანქანიანო, სამსახურიანო და უზრუნველყოფილი გოგონავ!.. სიამოვნებით დავქორწინდები შენზე და სამაგიეროდ, ჩემს კაცურ კაცობასა და სიყვარულს გთავაზობ. ლაშა“.

„ქრისტიანე: „შენი გულისთვის შევიჭრი თმას, ჩავიხლენ ხმას,

„ხეხუხი ბიჭი ვაი და კრეზე აშენებურ სასახლეში გაცხოეხებ...“



შენ გულისთვის გადავცურავ ზღვას, შენი გულისთვის „დავადებ“ სხვას და შენი გულისთვის მოვიკლავ თავს. კოტე“.

„ქრისტი, შენაირი ლამაზი ქალი მე ჯერ არ მინახავს. შენ მსოფლიოს მე-8 საოცრება ხარ. მიყვარხარ და ოცნებად მაქვს გადაქცეული შენი გაცნობა. დათუნა“.

„ქრისტი, მიყვარხარ მაგრამ. მე შენ აღრეც მიყვარდი, მაგრამ ცალმხრივი სიყვარულის გამო, შენს დავიწყებას ვცდილობდი. ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ მივხვდი, რომ მიყვარხარ. გიო“.

„უკვე ბევრი „მეისიჯი“ გამოვგზავნე. ქრისტის უთხარით, რომ სულაც არ არის აუცილებელი, რომ გიყვარდეს — მეგობრობაც შეიძლება. ველოდები ქრისტიანე ზარს“.

„ქრისტი, თეთრი რაში ნამდვილად არ მყავს, მაგრამ შემიძლია, შავი ბეღაურით გეწვიო. უბრალოდ შენთან ცეკვა მინდა, ნელ მუსიკაზე. შანსი მაქვს? ნიკა, 20 წლის“.

„ქრისტიანე. გიორგი ვარ. წელი — მაიმუნი, თვე — ლომი, სიმაღლე — 190, წონა — 90 კგ, განათლება — უმაღლესი. ვმუშაობ. ვიცი ქალის ფასი. ქრისტი, დამირეკე...“

„ძალიან მომწონს გრძელთმიანი გოგონები, თანაც — შავგვრემანი. ქრისტიანე, თავიდან ბოლომდე ვნებით სავსე ქალი ხარ. უზომოდ მინდა შენი გაცნობა“.

„აბა, ოცი წლის გოგომ იმდენი რომ არ იცის, რომ ათ წელიწადში არ მოხუცდება და არც ნაოჭები გაუჩნდება, სხვა რა უნდა მოჰკითხო?! მიიხედ-მოიხედოს, რამდენი 35-40 წლის ქალი დადის ქალაქში, რომელიც ბევრ 20-25 წლის გოგონას ჯობს. ეჰ, ქრისტი, ქრისტი, შენც განდები ოცდაათი წლის და მერე გკითხავ — აბა, თავს როგორ გრძნობ-მეთქი? მიხო“.


„კარგია, როცა ქალს თავისი კაპრიზები აქვს და იცის, რა უნდა. სახლკარი და მანქანა კარგია, მალაზიებში სიარულსაც არა უშავს, მაგრამ ეს ყველაფერი ზომ შენ ისედაც გაქვს, ქმარმა რით უნდა გაგაკვიროვოს?“

„ვისაც ფული ჰქონდა, ყველა დაიჭირეს. ზოგი — გაიქცა. ახალი პრეზიდენტი ამბობს, მთავრობამაც გაჭირვებით უნდა იცხოვროსო. ჰოდა, ჩვენი „საპატარკლოსნარი“ გოგონები დარჩენილან გასათხოვრები და ეგ არის. ქრისტი, დამეწერე, სანამ დამიჭირეს...“

„მე ვარ პრინცი ტიტების ქვეყნიდან, მაგრამ მე ჩემი პლანეტა უკვე მაქვს და სასახლეც... ასე რომ, ქრისტიანე არაფერი მჭირდება, მაგრამ თუ ასე გააგრძელა, ყველა მამაკაცს დააფრთხობს და დარჩება გასათხოვარი. გელა“.

„ქრისტიანე, თეთრი რაშის რა მოგახსენო, მაგრამ ერთი ქურანა ცხენით რომ მოგიტაცო, რას იტყვი? ხევესური ბიჭი ვარ და ჩემს სოფელში, კლდეზე აშენებულ სასახლეში გაცხოვრებ. მას კიბე არა აქვს, მაგრამ მე ქვემოდან დავიძახებ, შენ შენი დალალები ჩამოუშვი, მე ზემოთ ამოვყვები და ისე ამოვალ ხოლმე. დევებს შეგებრძოლები და შენს თავს არავის დაუთმობ. შენი ვეფხო“.

ალბათ ბევრ ქალს გაუჭირდებოდა, ასეთ მაცდუნებელ წინადადებაზე უარის თქმა, მაგრამ არჩევანი თავად ქრისტიანემ უნდა გააკეთოს.



საოჯახო საქმე მეხერხება, მაგრამ იმდენად დაძაბული გრაფიკი მაქვს, რომ ძალზე ვიღლები

„მარი, გთხოვ, შენი სურათი გამოაქვეყნო. ძალიან მაინტერესებს, როგორ გამოიყურება XXI საუკუნის „ხანუმა“. პატივისცემით, ნინო“... აბა, რა გითხრათ... რასაკვირველია, XXI საუკუნის „ხანუმა“ ჩისტოკობით არ დადის, არც კულულები აქვს, არც გრძელი, ფრიალა კაბა აცვია და თავისი „ნინამორბედი“ მაჭანკლები-სგან განსხვავებით, თანამედროვე ტექნიკით — მობილური ტელეფონითა და კომპიუტერთაა აღჭურვილი, რაც საქმეს აიოლებს...

ამ კვირაში, ვფიქრობ, ძალზე დაძაბული გრაფიკით მუშაობა მომიწევს, რადგან მართლაც, მშვენიერი „საპატარძლო“ მინდა წარმოგიდგინოთ. ჩემი სტუმარი გახლავთ ჯგუფ „რონდოს“ წევრი, ლელა ოთარაშვილი. მის შესახებ ლელას დედას — ქალბატონ ლიზისაც ვესაუბრე, რომელიც ამავე დროს, „რონდოს“ პროდიუსერიც გახლავთ...

— კი, ბუზლუნი მიყვარს...

— ჭირვეულობაც გჩვევია?

— როგორც ლიზი ამბობს ხოლმე, ბავშვობაში ძალიან ჭირვეული ვყოფილვარ, მაგრამ ახლა — ნაკლებად, მაგრამ თუ რაიმე მოვიწადინე, ჩემს შშობლებს აუცილებლად გავაკეთებინებ. ვიბუზლუნებ, ვთხოვ და მერე შემისრულებენ ხოლმე.

— ჯიუტი ხარ?

— კი, ჯიუტი ნამდვილად ვარ. ერთადერთი, ვისაც არ ვეწინააღმდეგები, ეს დედაჩემია. ხშირად მომხდარა ისე, რომ არ დამიჯერებია და შემდეგ მინანია. ამიტომ, ახლა ვუჯერებ ხოლმე.

— ხშირად იბუტები?

— არა, საერთოდ, არასოდეს ვიბუტები. ხანდახან ვფიქრობ, რომ ეს სულაც არ არის კარგი, რადგან თუ ვინმე მაწყენინებს, ერთ წუთში აღარ მასხოვს. ისეც მომხდარა, რომ დავლაპარაკებოვარ და მერე გამხსენებია — მე ხომ მასზე, ნაწყენი ვიყავი-მეთქი... მოკლედ, ბოლმიანი და გულღრძობა არა ვარ.

— შენ შესახებ უკვე გვიამბე-ახლა გავიხსენებ, როგორი მამაკაცები მოგწონს?

— „მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარმრავალი, ყმიანი...“ რუსთაველმა ზუსტად ჩამოაყალიბა ისეთი ტიპი, როგორიც მე მომწონს, მაგრამ აი, ეს „ყმიანი“ ცოტა არ მომწონს.

— მოკლედ, შენ გსურს, შინაგანი ჯარების სარდალი, რომელიც მაღალი, მდიდარი და უცოლო იქნება?..

— არა, არა, ასე არ არის. გარეგნობას ძალზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. სასიამოვნო მამაკაცი უნდა იყოს. რაც შეეხება მის თვისებებს, უნდა იყოს ერთგული, უნდა ვუყვარდე და რაც ყველაზე მთავარია — უნდა იყოს ძალზე მორწმუნე — ქრისტიანი, მართლმადიდებელი.

— მისი საბანკო ანგარიშით თუ დაინტერესდები?

"ერთ ღღეს, სამმა მამაკაცმა მოხიზვა ცოლობა..."

მარი ჩაშარიძე

— ლელა, ზოდიაქოს რომელ ნიშანს მიეკუთვნები?

— წლის მიხედვით, მაიუნე ვარ. რადგან ჩემი წელია, 2004-ზე ძალზე დიდ იმედებს ვამყარებ. თანაც, ჩემი ხასიათი საოცრად ემთხვევა ზოდიაქოს ნიშნის თვისებებს — ვარ ხალისიანი მაიმუნი, სულ აქეთ-იქით „დავჭრივინებ“ და ვხალისობ... თვის მიხედვით, ლომი გახლავართ და ამ ნიშნის თვისებებსაც ვამართლებ.

— როგორი ხასიათი გაქვს?


— თავის ქება არ მიყვარს, რადგან ვგრძნობ, რომ უარყოფითი თვისებებიც მაქვს. ძალზე მასარებს სხვისი წარმატება. მიყვარს, როდესაც ქველმოქმედებას ვეწევი და გაჭირვებულ ადამიანებს ვეხმარები. ხანდახან იმდენ გაჭირვებულს ვუმართავ ხელს, შინ რომ მოვალ, ჯიბეში ათი თეთრიც კი აღარ მაქვს ხოლმე. მხიარული ადამიანი ვარ, მაგრამ არა ქარაფშუტა. რაც შეეხება უარყოფით თვისებებს — ცოტა ვზარმა-

ცობ და ამის გამო, ოჯახში მსაყვედურობენ ხოლმე. საოჯახო საქმე მეხერხება, მაგრამ იმდენად დაძაბული გრაფიკი მაქვს, რომ ძალზე ვიღლები და სახლის დალაგებაში, სადილის მომზადებაში აქტიურ მონაწილეობას ვერ ვიღებ.

ძალბატონი ლიზი:

— ლელა მართლაც, ქველმოქმედია. უცხო ადამიანებთან ურთიერთობა არ უჭირს და ესეც მისი კარგი თვისებაა. რაც შეეხება სიზარმაცეს — სულ იმას ვეჩინებ, რომ ეს ზნე უნდა მოიშოროს, რადგან გასათხოვარი გოგონა და როგორი დაკავებულიც არ უნდა იყოს, საოჯახო საქმეს თავი არ უნდა აარიდოს. მისი ყველაზე დიდი ნაკლი ისაა, რომ ძალზე ემოციურია. ყველაფერი იოლად სწყინს და უხარია.

— ლელა, ბუზლუნი გიყვარს?





მხიარული ადამიანი ვარ, მაგრამ არა ქარაფშუგა

— არა, არასოდეს მიფიქრია, რომ ჩემი რჩეული, მილიონერი უნდა იყოს. მაგრამ ელემენტარული საარსებო პირობები უნდა ჰქონდეს. ლიზიმ მე და ელენე (და) ისე გაგვზარდა, რომ სულიერი მხარე უფრო წინა პლანზე გვაქვს წამოწეული, ვიდრე მატერიალური. ჩემს დას თხოულობდა საბერძნეთის ელჩი. ოჯახში მოვიდა და ელენეს ხელი ოფიციალურად სთხოვა ჩვენს მშობლებს და თუ იმ კუთხით მიუღებოდნენ, როგორი ქონების პატრონი იყო ეს კაცი, ყველამ კარგად ვიცოდით, რომ ჩემი და, ერთ-ერთი უმდიდრესი ქალი იქნებოდა. მაგრამ „სასიძო“ ელენეზე ოცი წლით უფროსი გახლდათ, ამიტომ უარით გაისტუმრეს. ასე რომ, მილიონებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

— ქალბატონო ლიზი, ელენეს მეუღლით კმაყოფილი ხართ? როგორი ურთიერთობა გაქვთ სიძესთან?

— ელენეს მეუღლე გახლავთ გოგა სულაძე. ძალზე კარგი ადამიანია და კარგი დამოკიდებულებაც გვაქვს. მე მას სიძედ კი არა, შვილად აღვიქვამ. თანაც, სიღვრისობას ძნელად ვგვუხებ... გოგა ხელოვანია, მხატვარი-მოქანდაკე. ის „რონდოს“ საქმიანობაშიც მონაწილეობს — ჩვენი ალბომის დიზაინზე მუშაობდა. ვიცი, რომ ჩემი შვილი ძალიან უყვარს და მთავარი სწორედ ეს გახლავთ.

— სიძე დედას გეძახით?

— არა, არა, დედას ჩემი გოგონებიც არ მეძახიან. თუ რაიმე დასჭირდებათ, მაშინ „დედიკო“ ვარ, თუ არა და — „ლიზი“. რაც შეეხება სიძეს — რატომ უნდა დამიძახოს დედა? გოგას ჰყავდა დედა, რომელიც სამწუხაროდ, გარდაიცვალა; დედა ერთადერთია და მე ვერანაირად ვერ შევუცვლი. ამიტომ, ისიც ლიზის მეძახის და ამაში არც საწყენია რაიმე, არც გასაბრაზებელი. მთავარია, რომ ის ძალზე კეთილშობილი, თბილი და ყურადღებიანი ადამიანია.

— როგორ არიგებთ ხოლმე შვილს, როდესაც მას მომავალ

ოჯახზე ესაუბრებით?

— მე და ჩემს დედათილ-მამათილს მართლაც, სანიშნო ურთიერთობა გვქონდა. მათ უყვარდი, პატივს მცემდნენ. მეც იმავე გრძნობით ვპასუხობდი. ამიტომ ჩემმა შვილებმა იციან, რომ უფროს ადამიანს ყოველთვის პატივი უნდა სცენ და სიტყვა არ შეუბრუნონ; რომც ტყუოდეს, ვალდებული არიან, ყური დაუდონ მის აზრს. ასე რომ, დარწმუნებული ვარ — ლელას თავისი მეუღლის მშობლებთან ძალიან კარგი ურთიერთობა ექნება.

— ლელა, მკითხავენს თუ გჯერა?

— არა, არასოდეს მივსულვარ მკითხავთან და ჩემი უპორჩილესი თხოვნა იქნება, რომ სხვებიც ნუ მივლენ: ეს არის საშინელი ცოდვა და ეშმაკის გზა...

— ძილისგულა ხომ არა ხარ?

— საერთოდ, ძილი მიყვარს, მაგრამ დღის 2-3 საათამდე ლოგინში ვერ ვიკოტრიალებ. ძალიან გვიანაც რომ დავწვე, დილით მაინც თავის დროზე ვიღვიძებ და ვღვებო.

— თაყვანისმცემლებთან დაკავშირებით საინტერესო ამბებს ხომ არ გაიხსენებ?

— მასხოვს, გვიან ღამით, ერთმა თაყვანისმცემელმა დამირეკა და მკითხა: რას ინატრებ, რა გააკეთო შენთვისო? მეც, გაუცნობიერებლად ვუთხარი: უთვალავ ყვავილს-მეთქი. სულ 1-2 საათის შემდეგ, კარზე დააკაკუნეს და უხარამზარი თაყვანილი მომართვეს. მართლა, იმდენი ყვავილი იყო, რომ ვერ დათვლიდი. მთელი სახლი ყვავილებით გაივსო და უკვე აღარც კი ვიცოდით, სად წაგველო... ყველაზე მეტად ის მახარებს, მობილური ტელეფონის ანგარიშს რომ შევამოწმებ და სიურპრიზად გადმორიცხული თანხა დამხვდება... ასეთი ამბავიც მასხოვს — ერთ დღეს, სამმა მამაკაცმა შემომთავაზა ცოლად გაყოლა. ისეთი დაბნეული ვიყავი, უკვე აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა რატომღაც იფიქრა, რომ ფულით მომხიბლავდა და მითხრა: ძალიან ბევრი ფული მაქვს, წამოდი, კახინოში წავიდეთ და რამდენიც გინდა, იმდენი დახარჯეო. აი, სწორედ მაშინ გადავუსვი ხაზი მის კანდიდატურას საშუალოდ...

— ქალბატონო ლიზი, ლელასთვის მზითვი უკვე გამზადებული გაქვთ?

— არა, წინასწარ არაფერი გამიზადებულია. არც ელენესთვის მქონდა გამზადებული, მაგრამ არ მგონია, მისი ოჯახი უკმაყოფილო დარჩენილიყო მისი მზითვით. ასე რომ, თავის დროზე, ყველაფერი სწორედ ისე იქნება, როგორც საჭიროა.

— რამდენადაც ვიცი, „რონდომ“ ახალი კლიპი გადაიღო...

— დიახ, სიმღერას ჰქვია „მოდი და გული გათბება“. მუსიკის ავტორი ლიზი განლაყო, მაგრამ ყოველთვის ვსაყვედურობს იმის გამო, რომ ჩვენ ამის აფიშირებას ვახდენთ. მას ჩრდილში ყოფნა ურჩევნია. კლიპი ფილმივითაა და მისი მოკლე შინაარსი ასეთია: „რონდოს“ იტაცებენ ფანები და მათ გამოსასხნელოდ, თაყვანისმცემელთა მეორე ჯგუფი მოდის, ეს ყველაფერი კი კონცერტში გადაიხრდება...

— ლელა, შეყვარებული, როგორ ხარ ხოლმე?

— სიმართლე რომ ვითხრათ, არასოდეს ყოფილვარ უზომოდ შეყვარებული. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმეს მიმართ სიმათია არ მქონია. ხშირად მომწონებია მამაკაცი, მაგრამ სერიოზული გრძნობა არ გამჩენია. როცა ვინმე მომწონს, უფრო ხალისიანი ვხდები, ყველაფერი მიხარია ხოლმე. იმ მამაკაცს კი, არასოდეს ვაგრძნობინებ, რომ მის მიმართ სიმათია გამიჩნდა...

ქალბატონი ლიზი:

— ლელას ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. ბევრი კარგი ადამიანი ტრიალებს მის ირგვლივ. იმას კი, თუ ვინ გახდება ლელას რჩეული — მომავალი გვიჩვენებს...

— ლელა, თუ გაეცნობი იმ „მესიჯებს“, რომელიც ინტერვიუს გამომქვეყნების შემდეგ, შენს სახელზე მოვა?

— რა თქმა უნდა. ძალიან მაინტერესებს, ვინ გამოძებნაურება, რას მომწერენ. ერთ-ერთ მათგანთან შეხვედრაზეც არ ვიტყვი უარს. ვისზეც გული მეტყვის, მას შევხვდები...

მამაკაცებო, თუ ცხოვრების თანამგზავრად თბილ, ყურადღებიან და კიდევ მრავალი კარგი თვისებით შემკულ გოგონას ეძებთ და ამავდროულად, ახალგაზრდა, მშვენიერ სილედრსაც ნატრობთ, დამიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. ვინ იცის, ბედი რას გიმზადებთ?..



ქალბატონი ლიზი: „თავის დროზე, ყველაფერი სწორედ ისე იქნება, როგორც საჭიროა...“

სტატისტიკის თანახმად, დედამინაზე სწრაფი ტემპით იზრდება მილიონერთა რაოდენობა. ბოლო მონაცემებით, ევროპაში 2,3 მილიონი, მსოფლიოში კი — 7,5 მილიონი მილიონერთა მათ უმეტესობას — 60-65%-ს ბიზნესი და საცხოვრებელი სახლები დედაქალაქებში აქვთ. მილიონერების მხოლოდ 13%-ს შეადგენენ ქალები.

ლელა ჭანკოტაძე

„მილიონერთა საკრებულოს“ გაზრდას განსაკუთრებით უწყობს ხელს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. ეს ყველაზე უკეთ რუსეთის მაგალითზე ჩანს: ბოლო მონაცემებით, ამ ქვეყანაში მილიონერთა რაოდენობამ 70-80 ათასს მიაღწია.

სტატისტიკური კვლევის ყველაზე პრესტიჟული კომპანიის — World Wealth Report (WWR) — მონაცემებით, მსოფლიოში მილიონერთა საერთო რაოდენობა 2007 წლისთვის, 7-8%-ით გაიზარდა, ხოლო განვითარების ისეთი დონის ქვეყნებში, როგორცაა რუსეთი, ზრდის ტემპი 6,5%-ს მიაღწევს.

თეორიულად მილიონერთა საზოგადოების წევრი ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გახდეს — თუნდაც უღარიბესი კაცი, რომელიც მიაგნებს პასუხს კითხვაზე: როგორ გავხდე მილიონერი? ყველაზე მარტივი პასუხი (და პრაქტიკულად ყველაზე რთულად მისაღწევი მიზანი) ასეთია: ბაზარს უნდა შესთავაზო ისეთი ნაწარმი, რომლის გამოშვებაც შენამდე აზრად არავის მოსვლია...

37 წლის წინ, 1966 წლის 24 ოქტომბერს, სარატოვის პირველ სამშობიარო სახლში დაიბადა ვაჟი, რომელსაც რომა დაარქვეს. მისი ბავშვობა უიღბლო და ცრემლიანი აღმოჩნდა: რომა წლინახევრის იყო, როცა დედამისი ლეიკოზით დაავადდა და გარდაიცვალა, სასოწარკვეთილ მამას კი, ერთ წელიწადში თურმე საშინელი სიკვდილი ელოდა — მშენებლობაზე, სადაც ის მუშაობდა, ამწიდან ბეტონის ფილა მოსწყდა და ზედ დაეცა... პატარა რომა მამის უფროსმა ძმამ და მისმა ცოლმა იშვილეს... 16 წლის ასაკამდე, რომამ არც იცოდა, რომ ისინი მისი ნამდვილი მშობლები არ იყვნენ. მამინ შეიტყო ისიც, რომ სარატოვში მისი ბებია ცხოვრობდა, რომელიც მასზე ლოცვაში ათენებდა და აღამებდა.


როგორ ვიზოვით მილიონი

რომა ბებიათან გაემგზავრა. მის მკლავებში თითქოს დედის სურნელი იგრძნო — დედისა, რომლის ალერსი არ ახსოვდა. მერე მათი გზები ისევ გაიყარა.

რომა გამზრდელ მშობლებთან დაბრუნდა და საკუთარი გზის გაკვლევა დაიწყო. მისი პირველი საქმიანობა ავტოგასამართ სადგურში მანქანების რეცხვა იყო. რომას ბებია კი, თვიდან თვემდე, პენსიას ელოდა და მიზერულ თანხაზე ცხოვრობდა; ზოგჯერ ბინასაც აჭირავებდა, წამალი რომ ეყიდა, პიანინოც გაყიდა, რომელიც მის გარდაცვლილ ქალიშვილს — რომას დედას უზომოდ უყვარდა. ბოლოს, შვილიშვილის ამარა ლოდინში გარდაცვლილა...

როცა რომა დედისეულ სახლში მივიდა, ბებია მეზობლებს უკვე დაეკრძალათ. ეს იყო 1991 წელს. მამინ რომას სახელი მხოლოდ ახლობლებმა იცოდნენ. დღეს მის შესახებ მთელ მსოფლიოში ლაპარაკობენ. ეს სევდიანი ამბავი მილიარდერ რომან აბრამოვიჩის ბიოგრაფიის ნაწილია. ის ახლა ჩუკოტკის გუბერნატორი და ინგლისური საფეხბურთო კლუბის — „ჩელსის“ მფლობელია, რისთვისაც 100 მილიონი დოლარი გადაიხადა. სულ რამდენიმე თვის წინ, მან დიდ ბრიტანეთში ძვირად ღირებული სახლი შეიძინა. უძრავი ქონების აგენტები და ფინანსური ექსპერტები ამბობენ, რომ მსოფლიოში მხოლოდ ასი ადამიანი მოიძებნება, რომელიც ამ სახლის შეძენას შეძლებდა — მისი ფასი ზომ, მთელი ევროპისთვის რეკორდული — 144,5 მილიონი დოლარია. თუმცა, იმასაც ამბობენ — ეს სახლი, რომელიც პრინცი ჩარლზისა და აწ გარდაცვლილი პრინცესა დაიანას სასახლის სახლოვესაა, სინამდვილეში 4 მილიარდ დოლარადაა შეფასებული...

როგორ შეიძლება, მსგავს წარმატებას მიაღწიოს კაცმა? არსებობს რჩევები, რომელიც ადამიანს გამდიდრებაში დაეხმარება; ბუნებრივია, ბევრი იხსენებს იმ ხერხებს, რომელმაც XX საუკუნის ცნო-



რუსმა ოლიგარქმა რომან აბრამოვიჩმა კარგად იცის, როგორც უნდა იშოვოს მილიონები, ახლა მათ ხარჯვაში „ვარჯიშობს“

ბილი ბიზნესმენები გამდიდრების მწვერვალზე აიყვანა. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული, ჯონ როკფელერი იყო. მისი სახელი ბიზნესის სამყაროში ლეგენდად იქცა. როკფელერების ოჯახი დღემდე მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ოჯახად ითვლება. მოხუცი როკფელერის ორასამდე მემკვიდრეს 6 მილიარდზე მეტად შეფასებული ქონება ეკუთვნის — ის ქონება, რომელიც დიდი ძალისხმევით, თავდაუზოგავი შრომისა და თვით ცხოვრების სტილის წყალობითაა დაგროვილი. თავად ჯონ როკფელერი იმის საუკეთესო მაგალითს იძლევა, თუ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა, რომელიც მიზნად დაისახავს გამდიდრებას.

რწმენა, ინტუიცია და... იღბალი

ჯონ როკფელერი ბავშვობიდან „ბიზნესმენობდა“: მალაზიაში ყიდულობდა კანფეტების შეკვრას და შემდეგ, ცალობით, უფრო ძვირად მიჰყიდა თავის თანატოლებსა და და-ძმებს; ამონაგებს ყულაბაში აგროვებდა და მამასის აძლევდა სარფიანად — პროცენტით... მან მიზნად დაისახა გამდიდრება და ყველა გრძნობა, სურვილი, აზრი ამ მიზანს შესწირა. ის საქმიანი იდეების, კონკურენტთა დამარცხებისა და ხელქვეითთა ექსპლუატაციის იდეალურ ბიზნესმანქანად გადაიქცა.

ჯონ როკფელერი დღე და ღამე მუშაობდა, თავს არ ზოგავდა, მაგრამ იქნებ ამას მნიშვნელობაც არ ჰქონოდა, რომ არა მისი საოცარი ინტუიცია, რომელიც დაეხმარა იმაში, რომ გამხდარიყო ჯერ ბიზნესმენი, შემდეგ კი — მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანი.

როგორი იყო ჯონ როკფელერი?



ვლადიმერ ევგუშენკოვი (მარცხნივ, გლობალური მობილური კავშირის ოპერატორების, MTC-ისა და MTC-ის ხელმძღვანელი) რუსეთის ოლიგარქებს სათავეში ჩაუდგა, მისი დეკლარირებული ქონება სულ რაღაც 3,5 მილიარდ „გაუფასურებულ“ დოლარს უდრის. მასთან შედარებით ჩვენი თანამემამულე კახა ბენდუქიძის (შუაში, მანქანათმშენებლობა) დეკლარირებული ქონება – 67,6 მილიონი დოლარი „სასაცილოდ“ გამოიყურება, რომ არაფერი ვთქვათ, ღავით იაკობაშვილის (მარჯვნივ, საკვები პროდუქტების კომპანია „ვიმ-ბილ-დანის“ ხელმძღვანელი) „სამარცხენი“ 50,7 მილიონზე...

საიდან დაიწყო მან სერიოზული ბიზნესის სამყაროში საკუთარი ადგილის ძიება?

საშუალო განათლების მიღების შემდეგ, ჯონი გაემგზავრა კლივლენდში, სადაც ყოველდღე, აუტანელ სიცხეში, შავ კოსტიუმში გამოწყობილი ერთი ფირმიდან მეორეში დადიოდა და ბუღალტრის ადგილს ეძებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ბუღალტრის თანამშემსახურის თანამდებობა მიიღო. პირველი ოთხი თვე, ხელფასს არ უხდიდნენ, მაგრამ მისთვის მთავარი ის იყო, რომ ბიზნესის მომავალზე სამყაროში მოხვდა. არასდროს დაუკარგავს იმის რწმენა, რომ ოდესმე, მსოფლიოს გააოცებდა თავისი მილიონებით. ზოგჯერ, მიუხედავად ხოლმე შრომაში ჩაბმულ რომელიმე მუშას და შემოიღობოდა ჩასძახებდა: „მე გაემდიდრებენ“, „მე მიწერია გამდიდრება“...

საოცრად შრომისმოყვარე იყო. სამსახურში ყველაზე ადრე – დილის 6 სთ-სა და 30 წთ-ზე მიდიოდა და შინ ყველაზე გვიან ბრუნდებოდა. უარს ამბობდა ყველანაირ ამქვეყნიურ სიამოვნება-

ზე. ფულის დაზოგვის მიზნით, ყვავასაკი არ სვამდა, თამბაქოს არ ეწეოდა, კინოსა და თეატრში არ დადიოდა... მაგრამ გამდიდრების მანიით შეპყრობილ ჭაბუკს რაღაც კიდევ ესაჭიროებოდა – ეს რაღაც ილბალი გახლდათ... არავინ იცის, ახდებოდა თუ არა ჯონის ოცნება, სამოქალაქო ომი რომ არ დაწყებულიყო. ფედერალურ ხელისუფლებას ბევრი იარაღი, ათასობით მუნდირი, უამრავი ტყვია-წამალი და საკვები სჭირდებოდა. როგორღობოდა თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა: საკუთარი საბროკერო ფირმა ჩამოაყალიბა. საწყის კაპიტალად, დიდი ხნის ნაგროვები თანხა – სულ 4.000 დოლარი იქცა.

ომის დაწყება ბედის საჩუქარს ჰგავდა – ნამოწინი ფულით როგორღობოდა ნავთობის ბიზნესს მოჰკიდა ხელი და ფულზე უზომოდ შეყვარებული ჯონ როგორღობოდა, ფულის ნაკადმა მდინარესავით დაიწყო დენა. 25 წლის ჭაბუკს საბუღალტრო ანგარიშების მსხვერპლად თვლიდნენ, მან კი ყველა ოცნების ასრულება შეძლო.

ამბობდნენ, რომ როგორღობოდა კაპიტალი 5 მილიონ დოლარს უდრიდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ იყო: XIX საუკუნის 80-იან წლებში, მისი კომპანია 18 მილიონ დოლარად იქნა შეფასებული (რაც ახლანდელ 265 მილიონს უტოლდება).

ჯონ როგორღობოდა ოჯახშიც საბაზრო ეკონომიკის „მაკეტი“ შექმნა: ბავშვებს საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება დაავალა; თითოეული მათგანი ერთ მოკლულ ბუზში 2 ცენტს, ფანქრის გათლაში – 10 ცენტს, მუსიკის გაკვეთილში კი, 5 ცენტს იღებდა; საუზმეზე დაგვიანებისთვის, პატარა როგორღობოდას 1 ცენტით აჯარიმდნენ... ერთხელ, როგორღობოდა ბავშვებისთვის ველოსიპედების ყიდვა გადაწყვიტა, მაგრამ ცოლმა შეაჩერა: რა საჭიროა ხელმეტი ხარჯი? – ერთი რომ ექნებოდა, ერთმანეთისთვის ანგარიშის გაწევას ისწავლიანო.

როგორღობოდა ადამრდელიობითი მეთოდოკა თაობებს გადაეცა – ვინც მას გაუძლო, წარმატების გზაზე მავალს, ვე-

ღარაფერი შეაჩერებს...

რისკი, გამჭრიახობა და... იტალია

დედამიწის ზურგზე ალბათ არ არსებობს ადამიანი, რომელსაც LEGO-ს კონსტრუქტორების შესახებ არ სძენია. დანიური კომპანია Lego-ს შემეცნებით თამაშებს დღეს მთელი მსოფლიო იცნობს. არც ეს კომპანია და არც მისი არაჩვეულებრივი თამაშები არ იქნებოდა, რომ არა სოფლელი ღურგლის ოლე კრისტანსენის შვილები, რომლებმაც ერთ დღეს, ასანთით თამაში მოინდომეს.

„ყველაფერი მაქვს, რაზეც ვოცნებობდი“, – ამბობდა 33 წლის ოლე კრისტანსენი. მას მართლაც, გულწრფელად სჯეროდა, რომ ბედნიერებისთვის საკმარისია, გქონდეს საკუთარი სახლი, საღურგლო სახელოსნო, გვაგდეს ლამაზი ცოლი და ოთხი მშვენიერი შვილი. ის საუთო და მოსაპირკეთებელ ფიცრებს აშლაშინებდა, ყიდა და სხვა საქმის წამოწყებას არც აპირებდა.

მაგრამ ერთ დღეს, ბედმა უმუხტლა, უფრო სწორად – სასტიკი გამოცდის წინაშე დააყენა. 1924 წლის 17 მარტს, ბაზრობიდან შინ დაბრუნებულმა თვალებს არ დაუჯერა: კარ-მიდამო დაფერფლილი დახვდა, საღურგლო სახელოსნო – ცეცხლში გახვეული... ძველი ბიზნესი წარსულს ჩაჰპარდა. ბედმა ახლის წამოწყე-

ბისკენ უბიძგა.

რა უნდა ექნა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ კაცს? საიდან დაეწყო ახალი ცხოვრება? მან ხომ ღურგლობის მეტი არაფერი იცოდა!

სახელდახელოდ აშენებულ ხის სახლს უნდა დასჯერებოდა, რომელსაც გვერდით სახელოსნო მიადგა. გულჩვილ კაცს შვილებიც ეცოდებოდა, რომლებიც ვინ იცის, რამდენჯერ გაწყებლა ხანძრის გაჩენისთვის?! მათი გულის მოსაგებად, ხის სათამაშოები დაამზადა, მერე ერთი მაღაზიაში მიიტანა... ოღეს სათამაშო მაშინვე გაიყიდა... სწორედ აქ იჩინა თავი მიძინებულმა ალლომ: ოლე კრისტანსენმა თავი დაანება ხის ფიცრების გაშლაშინებას და ხის სათამაშოების კეთება დაიწყო. საქმეში მთელი ოჯახი ჩაება. სულ მალე, ხის ცხენები და ბორბლებიანი იხვეები ისე იყიდებოდა, რომ საღურგლის შემრობაც კი ვერ ესწრებოდა... ოღემ საქმის გაფართოება გადაწყვიტა.

1934 წელს, მან ნათესავებისგან სამი ათასი დანიური კრონი (დაახლოებით 500 დოლარი) ისესხა და რეგისტრაციაში გაატარა კომპანია Leg Codt,

რაც ნიშნავს – „კარგად ითამაშე“. მან არც კი იცოდა, თუ რას ნიშნავდა სიტყვა „მარკეტინგი“, მაგრამ თავისი გამჭრიახი გონების წყალობით, ორიგინალური მარკეტინგული სტრატეგია შეიმუშავა. იდეა საკმაოდ მარტივი იყო. Leg Codt-ის მაღაზიაში ყველა ბავშვს ნებისმიერი სათამაშოთი გართობის შესაძლებლობა ეძლეოდა. აბა, რომელი მშობელი გარისკავს, საყვარელი შვილისთვის სათამაშოს წართმევას?! ამ მარტივი ხერხის წყალობით, სათა-

ჯონ როკფელერმა (მარცხნივ) მიმნაღ დაისახა გამდიდრება და ყველა გრძნობა, სურვილი, აზრი და მთელი სიცოცხლე ამ მიმანს შესწირა



მორგანი ბიზნესში ომის ხერხებს იყენებდა: იგი ჯერ მვერავდა, მერე ბრძოლას იწყებდა და დამარცხებულ მოწინააღმდეგეს ბოლომდე ანადგურებდა

მაშობების გაყიდვის ტემპი და მოცულობა საოცრად გაიზარდა...

წლების შემდეგ, როცა კომპანიას ოღეს უფროსი ვაჟი, გოთფრიდი ჩაუდგა სათავეში, მან მამის მეთოდი გაიხსენა: მაღაზიაში ბავშვები თამაშობდნენ, ოღეს კი ამ დროს, მათ მშობლებს ემუხტებოდა... გოთფრიდს გაუჭირდა – რთული კონსტრუქტორები ძნელად იყიდებოდა. მან „პროპაგანდისტული“ საქმიანობა წამოიწყო – არწმუნებდა მშობლებს იმაში, რომ რაც უფრო რთულია სათამაშო, მით უფრო კარგად ავითარებს იგი ბავშვის ფანტაზიას. კრისტანსენის თანამშრომლები მაღაზიებში გაჩნდნენ და მშობლებს, მოზარდის გონებრივი განვითარების საკითხებზე ესაუბრებოდნენ; ცხადია, ამ დროს, ბავშვებს ნებისმიერი სათამაშოთი გართობის საშუალება ეძლეოდა.

შედევმა ყველაზე ოპტიმისტურ მოლოდინსაც კი გადააჭარბა: ხუთწუთიანი თამაშის შემდეგ, ბავშვები მშობლებს არწმუნებდნენ, რომ სწორედ ასეთ სათამაშოზე ოცნებობდნენ. მშობლებსაც ეკვივალარ ეპარებოდათ იმაში, რომ LEGO-ს კონსტრუქტორებს მართლაც ძალუქს, მათ შვილებში შემოქმედებითი აზროვნებისა და სხვა საუცხოო თვისებების განვი-



თარება...

„ლეგო“ სათამაშოების მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია გახდა. მისი ნაწარმი მსოფლიოს 130 ქვეყანაში იყიდება. შემოსავალი კი 1,1 მილიარდ დოლარს აღემატება. მისი გაჩენის ამბავი კი, იმ იშვიათ შემთხვევათა რიგს განეკუთვნება, როცა ადამიანი ბელუკულ-მართობის წინააღმდეგ ილაშქრებს და შეუპოვრობისა და გამჭრიახობის წყალობით იმარჯვებს. „ლეგოს“ საწყობი სამჯერ შთანთქა ცეცხლმა. პირველი შემთხვევის შესახებ უკვე ვიგებთ; მეორე მაშინ მოხდა, როცა კომპანია უკვე სათამაშოების ბაზარზე თითქმის მონოპოლისტი იყო – II მსოფლიო ომის დროს, გერმანულმა ბომბდამშენმა ის მიწასთან გაასწორა; მესამედ, 60-იანი წლების დასაწყისში, „ლეგოს“ ყველა საწყობი მთლიანად დაიწვა. თითქოს განგება ამ ოჯახს ემტერებოდა... ბოლო ხანძრის შემდეგ, კრისტინსენმა უარი თქვა ხის სათამაშოების გამოშვებაზე და ხე პლასტმასით შეცვალა. ავი ბელისწერა, რომელსაც ასე ხშირად უწოდებდნენ, „ლეგოს“ დაეხსნა. ხანძარი აღარ გამეორებულა. ოჯახის თავგანწირულმა ბრძოლამ სირთულეების წინააღმდეგ შედეგი გამოიღო... ბელის ბორბალი შემოტრიალდა.

სიმტკიცე, ამტანობა და ...ილბალი

ყველამ, ვისაც გამდიდრების სურვილი გაუჩნდება, უნდა იცოდეს ჯონ

მორგანის შესახებ. მას ამერიკის უგვირგვინო მეფედ თვლიდნენ. 1913 წლის 31 მარტს, როცა მორგანი გარდაიცვალა, მსოფლიო ეკონომიკამ დაკარგა საბანკო საქმის გენიოსი, ხოლო მონოპოლიზმის მოწინააღმდეგეებმა – თავდასხმის ობიექტი. ნიუ-იორკის ბირჟა პანიკამ მოიცვა. წლების წინ, ამას ვერავინ წარმოიდგენდა, რადგან ჯონი ქვეყანას საცოდავ, ავადმყოფ ბავშვად მოეგონა.

მას უამრავი სნეულება აწუხებდა: კანის დაავადებები, ფილტვების ანთება, ართრიტი, მსუბუქი ეპილეფსია. ქრონიკული სურდო და თავის ტკივილები ტანჯავდა. ნერვული შეტევები ჰქონდა. იოლად ცივდებოდა. ბიჭუნა ნახევარ წელს მწოლიარე ატარებდა. ის სიყვარულის დეფიციტსაც განიცდიდა. მაგრამ ჯონს აღმოაჩნდა თანდაყოლილი ბრძოლისუნარიანობის საოცარი უნარი და სულიერი სიმტკიცე: მიუხედავად მტანჯველი ტკივილებისა, მაინც მხიარულობდა და სკოლაში საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა.

როცა მდგომარეობა გაუუარესდა, მშობლებმა სკოლიდან გამოიყვანეს და სასწავლებლად აზორის კუნძულებზე გაგზავნეს. გამგზავრებამდე ის ნახევარი წელი საწოლს იყო მიჯაჭვული. გემზე ჯონმა საკუთარ თავს პირობა მისცა,



მიუხედავად იმისა, რომ კომპანია „ლეგოს“ შემქმნელი გაჭირვებით გამოთქვამდა სიყვავა „მარკეტინგს“, მისი მარკეტინგული პრინციპები დღესაც კომპანიის საიმედო იარაღია

რომ არ შეეპუებოდა ბელს და ყველა ტკივილს უთუოდ დაძლეოდა. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, მან ეს შეძლო.

აზორის კუნძულებზე ყოფნისას, ჯონმა საკუთარი თავისთვის მიცემული პირობის შესრულება დაიწყო. დღეში 15 ფორთოხალს ჭამდა და წონაში იმატებდა. მიუხედავად იმისა, რომ ძველებურად, სულ რაღაც სტკიოდა, სნეულებებს საერთოდ აღარ აქცევდა ყურადღებას... შემდეგ, მამამ სწავლის გასაგრძელებლად შვეიცარიაში გააგზავნა.

მისი ბიზნესმენური ტალანტი კი, სამოქალაქო ომის დროს გაიფურჩქნა. კომერციაში ჩახედულ ადამიანს ომი „ოქროს წვიმას“ ჰპირდებოდა. გენერალი ჯექსონი გენერალ შერმანს კვალში მისდევდა, გენერალი გრანტი გენერალ ლის უტევდა. მათ ჯარისკაცებს კი, ჩექმები და თოფები სჭირდებოდათ. ის რისკიანი, ანგარიშობიანი, კონკურენტების მიმართ დაუნდობელი აღმოჩნდა. ჯერ ომის გამო, ჩრდილოეთ ამერიკისგან გათიშულ ინგლისს სამხრეთული ბამბით ამარაგებდა, ბოლოს სამხედრო სესხებით დაინტერესდა... XIX საუკუნის ბოლოს, ინგლისს ასობით მილიონი დოლარის სესხი ჰქონდა გაცემული და ამ საქმეში ერთადერთი შუამავალი მორგანი გახლდათ. ჯერ ერთი ბანკი გახსნა, მერე თანდათან, საბანკო საქმეში სუპერმონოპოლისტად იქცა – ოქროთი და იარაღით ვაჭრობდა. მისი მუშაობის სტილი აძრწუნებდა კონკურენტებსაც და მეგობრებსაც. საქმიანი მოლაპარაკებების მისეული მანერა აგრესიული, მიმწოლი და დანის ალესილი პირივით ბასრი, აოცებდა პარტნიორებს. მორგანი ბიზნესში ომის ხერხებს იყენებდა: ჯერ

ქართული და უცხოური შურნალ-გაზეთების გამომცემი

სანდიდან გაუსვალვად

მისი ელვასერვისი

www.elvaservice.com

Handwritten text: 33-26-73

ზვერადა, მერე ბრძოლას იწყებდა და დამარცხებულ მოწინააღმდეგეს საბოლოოდ ანადგურებდა... ფული ფულთან მიდისო, — ამბობდა ის და ელვისუს-წრაფესად მდიდრდებოდა. ის თავის ქვეყანაში ყველაზე ძლევამოსილი ადამიანი გახდა. მას საბანკო საქმის გე-ნოსად მიიჩნევდნენ...

ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ქონება უზომოდ გაზარდეს და ბიზნეს-მენტა სამყაროს „ვარსკვლავებად“ იქცნენ, წარმატების ერთადერთ მიზეზად გამდიდრების სურვილს ასახელებენ. ბიზნესის სამყარომ სხვა ბევრი მილიონერის სახელი იცის, რომლის ცხოვრება იძლევა პასუხს კითხვაზე: როგორ გავხდეთ მილიონერი?

ბიზნესში ჩახედული ადამიანები, მოკლე დროში მილიონის შოვნის უამრავ მეთოდს ასახელებენ. უმეტესობის აზრით, მთავარია, რომ ე.წ. გასაყიდი იდეა-პროდუქტი, რომელსაც მყიდველს (ან მყიდველებს) შესთავაზებ, სრულიად ახალი თუ არა, ორიგინალური მაინც უნდა იყოს. ამ მხრივ საინტერესოა ინგლისელი ენდრიუ პულის გამოცდილება, რომელმაც ინტერნეტში განათავსა განცხადება: თუ გინდათ, იშოვოთ მილიონი, ამა და ამ რიცხვამდე გამოიმგზავნეთ ერთი დოლარი და მე გამდიდრების საიდუმლო რეცეპტს გაგიმზავლო. ასეულათასობით ადამიანმა გაუგზავნა ენდრიუს თითო დოლარი და აი, ნანატრი დღეც დადგა... პულის რეცეპტი საკმაოდ მოკლე — სულ რამდენიმე სიტყვიანი აღმოჩნდა: თუ გინდათ, იშოვოთ მილიონი, მოიქეცი ზუსტად ისე, როგორც მე მოვიქეცი და თუ თქვენ დაგიჯერებენ, მილიონსაც იშოვითო... ესეც მილიონის შოვნის უმარტივესი ინგლისური მეთოდია...

თემის გაგრძელებას „გ ზის“ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

საშა მაისურაძის პროცესზე დაზარალებული არ ცხადდება



„ჯონი გიგანთან უთანხმოება შემისდა“, — აცხადებს გიგანის ადვოკატი

სასტუმრო „აჭარასთან“ მომხდარი გასამაურებელი აფეთქების გამო გასამართლებული, წარსულში უშიშროების პოლკოვნიკი — საშა მაისურაძე კვლავ სასამართლოს წინაშე წარდგება. ამჯერად, მის საქმეს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა გაეცნობა და კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენის კანონიერებაზე იმსჯელებს. ამის მიზეზი მსჯავრდებულ მაისურაძისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების საკასაციო საჩივარი გახდა. ისინი არ ეთანხმებიან კოლეგიის მიერ გამოტანილ განაჩენს, რომლის მიხედვითაც მაისურაძე დამნაშავედ ცნეს და სასჯელის ზომად 14 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრეს.

საშა მაისურაძემ დამცველად მეორე ადვოკატიც აიყვანა. ახლა მის ინტერესებს ადვოკატ ვოვა გაბრიძესთან ერთად, ყოფილი მოსამართლე ვახტანგ თალაკვაძეც დაცავს. აღსანიშნავია, რომ საკასაციო სხდომაზე დაზარალებულები — ჯონი გიგანი და მისი მძღოლი — ილია ჩოლოგაური არ გამოცხადებულან. არ მოსულა არც გიგანის ადვოკატი — ხათუნა თეზელაშვილი. ამის გამო სხდომა 27 ანკრისთვის გადაიდო. მაგრამ იმ დღესაც იგივე განმეორდა. როგორც აღმოჩნდა, პალატის შემადგენლობამ მთელი კვირის მანძილზე ვერ დაადგინა პირველ სხდომაზე დაზარალებული მხარის გამოუცხადებლობის მიზეზი და მეორე სხდომაც ამ საკითხის გარკვევას მოანდომა. ბოლოს გაირკვა, რომ ჯონი გიგანმა საბერძნეთში საფეხბურთო კლუბი შეიძინა და ამასთან დაკავშირებით ათენში იმყოფება. რაც შეეხება მის ადვოკატს — ხათუნა თეზელაშვილს, როგორც თავად ამბობს, მას გიგანთან უთანხმოება მოუხდა, რის გამოც უარი თქვა მისი ინტერესების დაცვაზე. მოუხდავად ამისა, თეზელაშვილმა სხდომის კიდევ ერთხელ გადადება მოითხოვა. „უთანხმოების მოუხდავად, გიგანის ცოლმა მოხოვა, კვლავ მიმელო პროცესში

მონაწილეობა, რასაც დავთანხმდი და მომავალ სხდომაზე გამოვცხადდები“, — ასე შეუთვალა თეზელაშვილმა პალატის თავმჯდომარეს მდივნის საშუალებით. პალატის თავმჯდომარის — მერაბ ტურავას თქმით, თუკი დაზარალებულის მხარე მომავალ სხდომაზეც არ გამოცხადდება, სასამართლო მათ დაუსწრებლად მიიღებს გადაწყვეტილებას. მოსამართლეებმა ისიც დასძინეს, რომ გიგანის მხრიდან პროცესის ხელოვნურად გაჭიანურებას ადგილი არ აქვს. „დაზარალებულის მხარეს უფლება აქვს, პროცესს დაესწროს და გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მისი გადადება მოითხოვოს,“ — აღნიშნეს მათ. სხდომა მომავალი ოთხშაბათისთვისაა დანიშნული.

რაც შეეხება მსჯავრდებულის მხარეს, იმედს გამოთქვამს, რომ ვცემალ ლეონიძის (უზენაესი სასამართლოს I ინსტანციის ყოფილი მოსამართლე) მიერ გამოტანილი განაჩენი უკანონოდ გამოცხადდება. „იმედი მაქვს, ახლა მაინც არ ექნება სატელეფონო ზარებსა და სხვა სახის ზეწოლას სასამართლოზე ადგილი და მართლმსაჯულება ამჯერად მაინც იხეიმბეს“, — გვითხრა საუბრისას მაისურაძის ადვოკატმა — ვოვა გაბრიძემ.

**ნდობის ტელეფონი
კონსულტაცია
ინტიმი 18 წლიდან**

822 009 005

„მათი“, „ჯუსიელი“, „მეგაკაში“ — 0,70 ლ.
თბილისი — 0,45 ლ.
რაიონები — 0,65 ლ.

სანაიას ქრიონი გველეშობის დაზარალების საჯარო განხილვას მოითხოვს

„ეს ამბავი ჩემი დის მოსაყოლი არ არის“, — აცხადებს სურცილავა



გიორგი სანაიას ქერივი სათუნა ჩხაიძე

ფურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობისთვის მსჯავრდებულ გრიგოლ სურცილავას (გრიცკო) ბრალდების საქმემ, გლდანონაძალადევის რაიონული სასამართლოდან, თბილისის საოლქო სასამართლოში გადაინაცვლა. ამჯერად, საქმის სააპელაციო წესით განხილვა მიმდინარეობს. სურცილავა კვლავ ძველ პოზიციაზე რჩება და ირწმუნება, რომ სანაია მან პირადი შეურაცხყოფის გამო მოკლა. „დანაშულის მოტივთან დაკავშირებით ახალი ვერსიების გამოვლენა, გამორიცხულია. ამაზე არც ხელისუფლების შეცვლა მოახდენს რაიმე გავლენას“, — განაცხადა ჩვენთან საუბრისას სურცილავას ინტერესების დამცველმა ადვოკატმა — დავით დადიანმა.

ცვლილება არც დაზარალებულის პოზიციის მხრივ დაფიქსირებულა. პროკურატურისა და მსჯავრდებულის ვერსიას მკვლელობასთან დაკავშირებით, კატეგორიულად უარყოფს სანაიას ქერივი — სათუნა ჩხაიძე. ის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე პროცესს პროტესტს უცხადებდა და სხდომებს არ ესწრებოდა, თუმცა ამჯერად საქმის განხილვაში აქტიური მონაწილეობა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. დაზარალებული მოითხოვს, მკვლელობის მოტივთან დაკავშირებული ყოველი დეტალი საჯაროდ იქნას განხილული. მის ამ მოთხოვნას მსჯავრდებულის მხარე, კერძოდ, თავად სურცილავა და მისი და — ძაბული სურცილავა შეეწინააღმდეგენ. მაშინ, როცა ეს უკანასკნელი მოწმის სახით იკითხებოდა, სხდომის დასრულება მოითხოვა, რადგან მისი თქმით, საქმე მისი ძმის პიროვნულ შეურაცხყოფას ეხება და დეტალების საქვეყნოდ განმარტება მის ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს. „წინა სასამართლო პროცესზე, როცა ჩვენებს ვაძლევდი, გრიცკოს საშინელი რეაქცია ჰქონდა და არ მინდა, იგივე განმეორდეს“, — განაცხადა ძაბული სურცილავამ. მსჯავრდებულმა კი პალატის მოსამართლეებს ასე მოახსენა: ეს ამბავი ჩემი დის მოსაყოლი არ არისო. მოსამართლეებმა მისი სიტყვები არ გაითვალისწინეს და რადგან დაზარალებულის მხარეს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, სხდომა საჯაროდ ჩატარდა. ძაბული სურცილავამ წინა პროცესზე მიცემული ჩვენება გაიმეორა:

„ჩემი ძმის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, პირველად, გიორგო-

ბის საღამოს შევხვდი. იმ დღეს გრიგოლი და მისი მეუღლე მეგობრის ოჯახში, ბავშვის ნათლობაზე იყვნენ მიწვევულები. მთხოვეს, ბავშვები მე დამეტოვებინა. როცა შინ დაბრუნდნენ, სამივენი დავსხედით და ოჯახურ პრობლემებზე ვსაუბრობდით, კერძოდ, ვალების გამო ბინის გაყიდვის თაობაზე. მაშინ გრიგოლმა თქვა — ეს ამბავი ახლა ყველაზე ნაკლებად მაღელვებს, რადგან ადამიანი შემომაკვდა და თან, რომ იცოდე ვინო. ღიმილით შევხედე მას, მეგონა სუპრობდა, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ეს სიმართლე იყო. ისიც დასძინა — გიორგი სანაია მოკალიო. ისევ არ მჯეროდა და ვუბასუსხე — ვინმემ რომ მოვისმინოს, მართალი ეგონება-მეთქი. მაშინ ის პერიოდი იყო, როცა სანაიას მკვლელს ეძებდნენ. მისი ცოლის სახეს რომ შევხედე, მივხვდი, გრიგოლი სიმართლეს მეუბნებოდა. შენ რა საერთო გქონდა სანაიასთან-მეთქი? — ვკითხე და მან ყველაფერი დეტალურად მაამბო. მითხრა — შემთხვევით შევხვდი ცირკთან, მან შემომთავაზა — ჩემთან ბინაში წავიდეთ, ქალები მყავს და გავერთოთო. როგორც გრიგოლმა თქვა, მაშინვე უეჭვია, რომ იგი გიორგი სანაია იყო, მაგრამ მას სხვა ვჯარი დაუსახელებია, უთქვამს — სანაიას ბევრი მამსვავსებსო... ბინაში ყოფნისას, ჩემს ძმას ჩასძინებია, როცა გაღვიძებია, დაუნახავს, რომ შარვლის უბე შეხსნილი ჰქონდა, სანაია კი ევერ-

ებოდა. აი, ამას მოჰყვა ის რეაქცია, რის გამოც, დღეს ჩემი ძმა განსასჯელის სკამზე ზის. მკვლელობის დეტალები ვერ მითხრა, რადგან არ ახსოვდა. როგორ ამოიღო პისტოლეტი, როგორ გაისროლა, ვერ იხსენებდა. გონს რომ მოვედი, უკვე ბინის კართან ვიდექი, — ჰყვებოდა. თურმე საკეტი რაღაც სხვანაირად იღებოდა, გრიგოლს ვერ გაუღია და ამის გამო პანიკაში ჩავარდნილა. ამ დეტალებით არც მე დავინტერესებულვარ, რადგან, რაც მოვისმინე, იმით ვიყავი შოკირებული. სამსახურში ვიყავი, როცა დამირეკეს და მითხრეს — გრიცკო აიყვანესო. არ გამეკვირვებია. მაშინ მის დანაშაულში საბოლოოდ დავრწმუნდი“. ძაბული სურცილავას სიტყვებს სათუნა ჩხაიძემ სასამართლო სხდომაზევე გაუკეთა კომენტარი და განაცხადა, რომ ამ ჩვენებას მისთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. დაზარალებულის მხარე თვლის, რომ სურცილავას აღიარება შეეკვეთილა.



განსასჯელი გრიგოლ სურცილავა (გრიცკო)

სახელმწიფო კანცელარიის პრესტანს გორგასლის ორდენის უკანონოდ არიგებდნენ

სახელმწიფო კანცელარიის უფროსის მოადგილის, სახელმწიფო ჯილდოებისა და საპატიო წოდებების მინისტრის სამსახურის კურატორის – თამაზ ყიფიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მას ყალბი დოკუმენტის დამზადებასა და გამოყენებაში ადანაშაულებენ.

შს სამინისტროს ინფორმაციით, ყიფიანმა საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის რექტორი – ალექსანდრე კუჭუხიძე აიძულა, კომისიაში ყალბი დაჯილდოების ფურცელი წარედგინა. ამ ფურცელში კი, მოქალაქე გიორგი ბერიშვილისთვის ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენის მინიჭების თაობაზე ეწერა.

ამის შემდეგ, ყიფიანმა თვითნებურად და ერთპიროვნულად გამოიყენა ყალბი დოკუმენტი და დაჯილდოების საკითხის კომისიაში განხილვის გარეშე მოამზადა შესაბამისი განკარგულება. განკარგულებას საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა – ედუარდ შევარდნაძემაც მოაწერა ხელი და ამის შედეგად, გიორგი ბერიშვილი, თითქოსდა, გამოჩენილი მამაცობისთვის, ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

აღნიშნული ფაქტი სხვა საქმეების გადამოწმების საფუძველი გახდა – სახელმწიფო კანცელარიიდან გადასასინჯად, დაჯილდოების 2500 პირის დოკუმენტი ამოიღეს. სისხლის სამართლის საქმე კი, გამოსაძიებლად, გენერალურ პროკურატურას გადასცეს.

ადვოკატები გოგიასა და ბულბულაშვილის პატიმრობას სსარჩევნებზე

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ომარ გოგიას ძმის – ნუგზარ გოგიასა და ს/ს „თბილსრესის“ ყოფილი ფინანსური დირექტორის – ნოდარ ბულბულაშვილის ადვოკატებმა სასამართლოს გადაწყვეტილებები გაასაჩივრეს. მათი თქმით, სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები უკანონოა. ადვოკატთა საჩივრებს თბილისის საოლქო სასამართლო რამდენიმე დღეში, სავარაუდოდ – კვირის ბოლოს განიხილავს.

ნუგზარ გოგიას, ისევე, როგორც ნოდარ ბულბულაშვილს, პროკურატურა 1991-95 წლებში, შპს „ოგასა“ და ს/ს „თბილსრესში“ არსებულ ფინანსურ დარღვევებსა და საბიუჯეტო თანხების დაფარვაში ადანაშაულებს. ბრალდების თანახმად, სწორედ ამ წლებში, „ოგა“ „თბილსრესს“ საწვავს აწვდიდა და ამ დროს, 13 მილიონი ლარი სადღაც გაუჩინარდა.

გოგიასა და ბულბულაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 182-ე მუხლის „დ“ პუნქტითაა (ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თანხის მითვისება) აღძრული. ბრალის დადასტურების შემთხვევაში, ორივე მათგანს 6-დან 12 წლამდე

პატიმრობა ემუქრება.

ადვოკატის თქმით, შპს „ოგას“ დამფუძნებელი, ომარ გოგიაა და არა მისი ძმა ნუგზარ გოგია. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს, რაც შეეხება ომარ გოგიას, მისი ადგილსამყოფელი ამ დროისთვისაც დაუდგენელია.

ნოდარ ბულბულაშვილის ინტერესებს ადვოკატი ვახტანგ თალაკვაძე იცავს. პროკურატურის ბრალდებას არც ის ეთანხმება. „ბრალდება დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, რადგან ბულბულაშვილი ს/ს „თბილსრესში“ 1997 წლიდან მუშაობდა, პროკურატურის მიერ დასახელებული ფინანსური დარღვევები კი, 1995 წელს მოხდა“, – განაცხადა ადვოკატმა.

№5 საპრობილუმი ნარკოტიკის შეტანას ცდილობდნენ

რამდენიმე დღის წინ, სამართალდამცავებმა 30 წლის ლევან ლეკიშვილი დააკავეს. ის თურმე №5 საპრობილუმი ერთ-ერთი პატიმრისთვის 0,4 გ ნარკოტიკული ნივთიერების – სეზიტექსის გადაცემას შეეცადა. საპრობილუმი მყოფმა სამართალდამცავებმა იგი მაშინვე შენიშნეს და აიყვანეს. ამის შესახებ ინფორმაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა გაავრცელა. ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, გამოძიება შს სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტს დაევალა.

ყარაღურ თავდასხმას 23 წლის ასაღაზრდა შეენიჩა

24 იანვარს, ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყეში ყარაღური თავდასხმა მოხდა. ღამით, დაახლოებით 2 საათზე, ჯიქიების ოჯახს ოთხი შეიარაღებული და ნიღბიანი ბოროტმოქმედი დაესხა თავს. ყარაღური ორი გადაჭრილი თოფითა და ორი ავტომატით იყვნენ შეიარაღებულები. შეიჭრნენ თუ არა ოჯახში, მაშინვე გაკოჭეს იქ მყოფი აპოლონ ჯიქია და მისი მეუღლე და ფული და ოქროსულობა მოითხოვეს.

ხმაური, იმ დროს მეზობლების სახლში მყოფმა, აპოლონ ჯიქიას შეიღმა – 23 წლის ირაკლი ჯიქიამ გაიგონა, მაშინვე შინ დაბრუნდა და ბოროტმოქმედებს შეეწინააღმდეგა. თავდამსხმელებმა ცეცხლი გახსნეს. ამის შედეგად აპოლონ ჯიქია დაიჭრა, ხოლო ირაკლი ადგილზევე გარდაიცვალა, ბოროტმოქმედებმა კი შემთხვევის ადგილი დატოვეს და მიიმალნენ.

მომხდარის შესახებ რამდენიმე წუთში პოლიციამაც შეიტყო. ოპერატიული ჯგუფი შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა. მისი წევრები თავდამსხმელებს კვალში მიჰყვნენ, მაგრამ ვერც ერთის დაკავება ვერ მოახერხეს. ამის მიზეზად, სამართალდამცავებმა სოფელ რიყეს გეოგრაფიული მდებარეობა დაასახელეს: რიყე გალის რაიონის სოფელს ესაზღვრება, ბოროტმოქმედებმა გალის ტერიტორიაზე გადასვლა მოახერხეს და ამის გამო, პოლიციამ ძებნა ვეღარ განაგრძო.

ყოველგვარი უსამართლობა სამართლიანობის სახელით ხდებაო, ნათქვამია. ემოციების სიჭარბის დროს, მტყუან-მართლის გარჩევა ძნელია — უპირველესად, სიმშვიდისა და სულიერი ნონასწორობის შენარჩუნებაა საჭირო, რადგან ამ დროს, მტერს არ სძინავს და თავის საკეთებელს უფრო იოლად აკეთებს, თანაც ხშირად, სამწუხაროდ, ჩვენივე ხელით...

მაშინ, ვინ სამშობლოს, ვინ — საკუთარი ოჯახის ღირსებას იცავდა, ვინ კი, უბრალოდ, თავის პროფესიონალურ და მოქალაქეობრივ ვალს იხდიდა...

ზვიად გამსახურდიას მფრინავი — ასე მოინათლა სოხუმელი კაცი ზაურ ბედია, რომელმაც საქართველოს დევნილი პრეზიდენტი სოსუმდიან გროზნოში გადააფრინა.



ზაურ ბედია (მარცხნივ) კოლექტორთაგან ერთად


საიდუმლო ჩეისი სოსუმი-გროზნო

მფრინავი ზაურ ბედია იხსენებს

საქართველოს პირველ პრეზიდენტთან დაუფიწყარ შეხვედრებს

ქეთევან ჯაყელი

— ქართველები ემოციური ხალხი ვართ. ვერ ავიტანე, ზვიად გამსახურდია და მისი მთავრობა ძალით რომ გააძევეს ქვეყნიდან, ამიტომ მაშინვე დავთანხმდი ამ რთულ და საპასუხისმგებლო წინადადებაზე. მაგრამ ავიაცის თავისი კანონები აქვს — ავიასადისპეტჩეროს თანხმობის გარეშე, შორს ვერ გაფრინდები. საქმე ის იყო, რომ სოსუმის აეროპორტის კონტინგენტი მრავალეროვანი იყო. იმდღევანდელმა ცვლის უფროსმა რაფეა ღამინამ უარით გამოიმისტუმრა, მითხრა — შენს რეისს თბილისი აკონტროლებს, რომ გაგიშვა, შეიძლება, გულაუთის სამხედრო ბაზიდან ავიაგამანადგურებლები დაგადევნონ და ჩამოგაგდონ... გამოსავალი მაინც დამიტოვა: დანარჩენი 7 დისპეტჩერიდან თუ ვინმე დავთანხმდება და საკუთარ თავზე აიღებს პასუხისმგებლობას, მე, როგორც მორიგე, წინააღმდეგი არ ვიქნებიო...



ზაურ მესხია

თვითმფრინავი უკვე მზად იყო, ყველა მე შემომხურებდა, მთხოვდა — მალე გაფრინდი და უშველე პრეზიდენტსო, — მაგრამ სანუგემოს ვერაფერს ვუპბენბოდი. ერთ-ერთი ცვლის უფროსმა, ტოლიკ ბულიენიმაც, რომელიც თბილისში იყო გაზრდილი და მშვენივრად ფლობდა ქართულს, ასევე უარით გამოიმისტუმრა: არ დაგიმაღავ, მეშინაო, — გამიმხილა. ბოლო იმედად, ფრენების ხელმძღვანელი — ჩემი მოსახელე ზაურ მესხია მრჩებოდა, რომლის თვალეში ივივე განცდები ამოვიკითხე და შვებით ამოვისუნთქე. აუუსხენი ჩვენი გამოუვალი მდგომარეობა — თბილისი რეისის შესრულების უფლებას არ გვაძლევს მეთქი. გაიცინა და მითხრა — გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, დავრეკავ თბილისში და დავარწმუნებ, რომ სამეზავრო რეისით გიშვებ მოსკოვში და საწვავის ასაღებად „მინვოდში“ (მინერ-

ალურ წყლებში) დაჯდებიო. თბილისმა იცოდა, რომ სოსუმის აეროპორტში რეისები საწვავის უქონლობის გამო არ სრულდებოდა, და თუ სრულდებოდა, მხოლოდ სოჭის ან „მინვოდის“ აეროპორტთან წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ. ზაურმა გამაფრთხილა — „მინვოდის“ საჰაერო სივრცეში მოხვედრის შემდეგ გადასცემ, რომ საწვავის შესავსებად, გროზნოში დაჯდომას აპირებ, ამას მეც უზრუნველყოფ აქედანო. მართლაც, გროზნოში უპრობლემოდ ჩაფრინდით... მე გამსახურდიას პირად მფრინავად მომნათლეს, მაგრამ ბევრს ავიწყდება, რომ ავიაციის ბატონ-პატრონი ავიადისპეტჩერია — მისი ნებართვის გარეშე, ეკიპაჟი ვერც ერთ მანევრს ვერ შეასრულებს... ზაურ მესხიას, ამ შესანიშნავ პიროვნებას წელს დაბადებიდან 60 და ავიაციაში მოღვაწეობის 40 წელი უსრულდება, რასაც სულითა და გულით ვულოცავ და ვუსურვებ, ავხაზეთში მალე დაბრუნებას. ის 1964-67 წლებში დაფრინავდა პოლენეთის სახალხო რესპუბლიკაში, შვეულმფრენ „მი-6“-ზე უფროსი რადისტი იყო. ულიანოვსკში კვალიფიკაციის შეცვლის შემდეგ, სამოქალაქო ავიაციაში მოღვაწეობდა და წლების მანძილზე, ჯერ რიგით, შემდეგ უფროს დისპეტჩერად მუშაობდა სოსუმის აეროპორტში. ამის შემდეგ ის ფრენების ხელმძღვანელად დაწინაურეს და სოსუმის დაცემადე, „ცვლა №1“-ს ედგა სათავეში. ამჟამად, ზაურ მესხია თბილისის აეროპორტში აგრძელებს მუშაობას „საქაერონავიგაციის“ სამქებრო-სამაშველო საკოორდინაციო ცენტრის დისპეტჩერად. არ შემიძლია, აქვე მაღლიერებით არ გავიხსენო ჩემი ეკიპაჟის წევრები: აწ გარდაცვლილი მე-



ზვიადი ხუმრობით გაგვიჩვენა ლავდა ხოლმე — მფრინავები ლოთები ყოფილხართო!...

ორე მფრინავი ოთარ შენგელია, ნავიგატორი ვლადიმერ არუტიუნოვი, ბორტინჟინერი გალაქტიონ ნემსაძე, ბორტინჟინერი თამაზ ჩოფელიანი, ნავიგატორი ვლადიმერ პარიშაშვილი და სხვები.



გროზნოში, ერთ-ერთ მასპინძელთან ერთად

— **ჯოხარ დუდაევიც მფრინავი იყო. რაიმე ურთიერთობა თუ გქონდათ მასთან?**

— ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. ჩვენ ერთმანეთს ფრენაშიც გავიჯობრეთ და ზვიადს ხუმრობით ისიც უთხრა, რომ ჩემს წართმევას უპირებდა...

— **რატომ? აჯობებთ ფრენაში?**

— ფრენაში არ ვიცი, მაგრამ სმაში რომ ვაჯობებ, ეს ფაქტია! ამის დასტურად, თავისი ცილინდრი მაჩუქა, რომელსაც დღემდე ვინახავ... ბატონი ზვიადი ცოტას სვამდა, ამიტომ ჯოხარი ალავერდს ყოველთვის ჩემთან გადმოდიოდა, რის გამოც ზვიადი ხუმრობით გაგვკენწლავდა ხოლმე — მფრინავები ლოთები ყოფილხართო!..

— **როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ზვიად გამსახურდიასა და ჯოხარ დუდაევის?**

— შესანიშნავი! ისინი ყველა საკითხს ერთად არჩევდნენ. შეიძლება ითქვას, რომ როგორც პოლიტიკოსი, ზვიადი იყო მისი მამა და მოძღვარი, მას ჯოხარ დუდაევის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე უდიდესი გავლენა ჰქონდა; ჯოხარი უფრო, შემსრულებელი იყო...

— **ისევ იმ დაუფინყარ რეისს დაფუბრუნდეთ. როგორ აფასებთ თქვენს ნაბიჯს დროის გადასახედებიდან?**

— ფეხით რომ დამჭირვებოდა წასვლა გროზნოში პრეზიდენტის გადასარჩენად, წავიდოდი. თუმცა, მაშინაც და ახლაც ვაცნობიერებ, რომ ეს ფაქტობრივად, სიკვდილზე წასვლას ნიშნავდა: მე ხომ თითზე დავიხვიე რუსი სამხედროები... ჩემთვის ეს ისტორიული დავალება იყო. თუმცა, ეს მხოლოდ „ჟურნალი“ ყოფილა — თურმე „კინო“ წინ მელიოდა: გროზნიდან სოხუმში და უკან, აგრეთვე მოსკოვშიც, სულ 7-8 რეისი შევასრულე ჯოხარ დუდაევისა და ზვიად გამსახურდიას დავალებით...

— **როგორ მოხდა გროზნიდან სენაკში გამსახურდიას**

გადაყვანა?

— რუსი სამხედროების იქიდან წასვლის შემდეგ, სენაკის აეროპორტი დასავლეთში გამოუსადეგარი იყო, აპარატურა არ მუშაობდა. ჩემი რეკომენდაციით, მის ხელმძღვანელად დაინიშნა ზაურ მესხია, რომელმაც ფაქტობრივად, ნულიდან დაიწყო ყველაფერი — ალაღინა სენაკის აეროპორტი და შესადლებელი გახდა ამ რეისის შესრულება. თვითმფრინავიდან გადმოსული პრეზიდენტი თურმე, ცოტა ხნით განმარტოვდა: როგორც მერე ზაურ მესხიამ მითხრა, იგი ქართულ მიწას ეამბოროდა...

— **თქვენ სწორად გინევთ აფხაზეთში ჩასვლა. როგორ შეხვდნენ აფხაზები „ვარდების რევოლუციას“ და შემდეგ, თამაზ ნადარეიშვილის გადადგომას?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, არ დამიმაღეს, პირდაპირ მითხრეს — ძალიან გაგვიხარდა, ახლა ჩვენც მივხედავთ აქ საქმესო... იქაც ბევრია საღად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც ოპოზიციაში უდგას სეპარატისტულ რეჟიმს. მათთვის ისევე მიუღებელი იყო თამაზ ნადარეიშვილის „ძალისმიერი პოლიტიკა“, როგორც არმინბას სეპარატიზმი. მათ დღესაც ვერ წარმოუდგენიათ ქართველების გარეშე ცხოვრება.

— **ახალ პრეზიდენტს რომ დასჭირდეს თქვენი სამსახური...**

— ...ულაპარაკოდ მხარში ამოუდგები. ხალხი თავისი პრეზიდენტის გარშემო უნდა ირახმებოდეს, რათა ერთად სძლიოს მტერსა და გაჭირვებას. მაშინ, ეს ერთად დგომა რომ არ გვქონდა, იმიტომაც გვძლია შინაურმა თუ გარეულმა მტერმა. სამშობლოს — სამსახური, პრეზიდენტს — ერთგულება და გვერდში დგომა სჭირდება. მით უმეტეს, რომ ჩვენ მართლაც, ღირსეული პრეზიდენტი გვერდო...

ერთგული პიტიხველი


თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემასხოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილები შინაარსი და არც ამ ტექსტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რის გამო გადიოდო 1985 წლის 20 იანვარს აშშ-ის პრეზიდენტის რომელი რეიგანის ინაუგურაცია?



- ა) მოსალოდნელი ტერაქტის გამო;
- ბ) ამერიკული ფეხბურთის სეზონის ფინალური მატჩის გამო;
- გ) რონალდ რეიგანის ავადმყოფობის — გრიპის გამო.

2. ერთხელ იმპერატორმა ქალიშვილმა მასცა ბრძანება, სანსრაფოდ შეაგროვებინათ ზღვის სანაპიროზე ყველა ნიჟარა. რაში სჭირდებოდა იმპერატორს ნიჟარები?



- ა) სამკაულების გასაკეთებლად;
- ბ) სურდა ნიჟარები ფულის ერთეულად გამოეცხადებინა;
- გ) უნდოდა, სანაპირო ზოლი ნიჟარებისგან გაეწმინდა.

3. ვინის რამორდავის ნიშნის მიხედვით, რომელ ძველანაშია დაფიქსირებული შოგადოზის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი?



- ა) ჩინეთში;
- ბ) კენიაში;
- გ) ინდოეთში.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ამას წინათ, რამიშვილების ოჯახში ვილაცას დაურეკავს და უკითხავს — უპაცრავად, რესტორანიაო? ბატონო ოთარის მეუღლეს კი სიტყვამოსწრებული პასუხი გაუცია: არა, გენაცვალე, რესტორანი არ არის, მაგრამ რესტორნის და ქეიფის მოყვარული ხალხი ნამდვილად ცხოვრობს ამ სახლშიო... ამ სიტყვების სიმართლეში მაშინ დაფრწმუნდი, როდესაც დიასახლისმა სუფრაზე ჭაჭის არაყი მოიტანა და თან, დამპირდა — რაკი ბახუსზე უნდა ვილაპარაკოთ, აქედან დაუთრობელს არ გაგიშვებო. თვითონ ქალბატონი გულნაზი სასმელზე მწყრალად არის და როგორც მისი მეუღლე ამბობს, უფლება რომ მისცენ, ვენახებს აჩენდა და ღვინის ქარხნებს დაკეტავდაო.



გადავწყვიტე — მთელი ღამე თვალს არ მოვხუჭავ, დასალეველ რომ არ გამეპაროს-მეთქი

— გონის დაკარგვამდე არ ვსვამ ხოლმე. ნასვამი საჭესთან ვვადებოდი და შინ მშვიდობით ვბრუნდებოდი.

— „პანმელიობა“ თუ იცით?

— „პანმელიობა“ არ ვიცი, ჩიტივით ვარ ხოლმე.

ქალბატონი გულნაზი:

— „პანმელიობას“ სად ასწრებს? — ისევ თვრება! ოთარის „პანმელია“ პროცენტანი ვალივით არის, ვალს რომ იღებს კაცი და პროცენტი პროცენტზე რომ ემატება... ერთხელ გადავწყვიტე — მთელი ღამე თვალს არ მოვხუჭავ, დასალეველ რომ არ გამეპაროს-მეთქი. დღის 5 საათია. გავიხედე — ოთარი საწოლში აღარ არის. თურმე, ფესვსაცელი ხელში აუღია და გარეთ სადარბაზოში იცვამდა. კი მივასწარი, მაგრამ რად ვინდა?! 5 საათზე ხომ არ დაუწყებდი ჩხუბს და ყვირილს?!

ერთხელ, ოთარმა ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაიკეთა. მე-9 საავადმყოფოში იწვა. პალატაში მნახველების ტევა აღარ იყო, ზოგი მიდიოდა და ზოგიც მოდიოდა. მაშინ საბჭოთა კავშირის სათავეში თური ანდროპოვი იყო და სმა და ქეიფი აკრძალული იყო. ერთ მოზრდილ ოთახში გაიშალა სუფრა, ოთარმა თამაშობა თავის მეგობარს სთხოვა — დღეს ვერც დაველე, ვერც ვიმღერებ და სუფრას შენ უნდა გაუძღვო. მორიგე ექიმმა გეთხოვა — ხომ იცით, რა ღროა?! არ დამღუპოთ, არ იხმაუროთ და მალე დაიშალეთ, თორემ, სამსახურს დამატოვებინებენო... მალე „სუხოი ზაკონი“ აღარავის ახსოვდა და შეზარხოშებულმა სტუმრებმა ისეთი სიმღერები დასჭექეს — თქვენი მოწონებული! მეორე დღესვე, ოთარი ანდროპოვის ბრძანების აბუჩად ავადებისა და საავადმყოფოში ღრეობის მოწყობისთვის მე-9-დან სასწრაფოდ გამოწერეს...

„წინაშე მიუხაჩ, მაქვამ ღვინით რაიხობას რირი რხო სჭიხრება...“

ნინო ჯაპახიშვილი

ქალბატონი გულნაზი:

— არასდროს დამიღვია არც ღვინო, არც არაყი. ისედაც მშვენიერ ხასიათზე ვარ და გასამხარულეზად ღვინის სმა და ტვინის არევა რატომ უნდა დამჭირდეს?!

— ბატონი ოთარი ნასვამი რომ ბრუნდებდა შინ, ეჩხუბებოდა ხოლმე?

— ჩხუბით არ ვეჩხუბები და თავზე არ ვაღეწავ ყველაფერს, თუმცა საყვედურს კი ყოველთვის ვუბნებო, ისევ და ისევ — მის სასარგებლოდ. ალბათ ყველა ცოლი ასე იქცევა.

ბატონი ოთარი მეორე ოთახიდან სიმღერით შეეხმაანა მეუღლეს:

— „საყვედურებს ვიტან, გააჩნია — ვისგან... ერთ საკუთარ ლექსს წავიკითხაო“:

„მე არაფერი არ შემცვლის აწი, ახლა ძნელია ჩემი გარდაქმნა. დაბადებიდან არ ვიცი, რა მჭირს ასეთი ვარ და ახლა რაღა ვქნა?!“

გულნაზი მეჩხუბება ხოლმე, მაგრამ მერე რა? ცოლია და უნდა ილაპარაკოს, მისი მოვალეობაც ეკ არის.

„მეზვი ცოლი თვითონ დმერთსაც არ ჰყოლია არასდროს, ცოლი აბა, რა ცოლია, რომ არ ილაპარაკოს, თუ კაცი ხარ, ცოლს ლაპარაკს ნურასოდეს დაუშლი, ერთ ყურიდან შეუმი და მეორედან გაუმი...“

აი, ასეთია ჩემი პრინციპი.

— ბატონო ოთარი, რას იტყვით საკუთარ თავზე — როგორი მსმელი ხართ?

— ადრე 5-6 ბოთლს ვსვამდი, ახლა — 3-4 ვსვამ. კაცმა იმბოტომ უნდა დადიოს, რომ ხასიათზე მოვიდეს, თორემ, ქვევრში თუ ჩაძვერი და თავი მოიკალი, რა იქნება?! ერთმა კახელმა მითხრა — 48 წელია, რაც ქარხნის დირექტორი ვარ და რაც შენ ღვინო გაქვს დალეული, იმდენი ქარხანაში არც ერთ წელს არ მქონიაო.

— რომელ სასმელს ანიჭებთ უპირატესობას?

— რომელსაც მოღების ძალა უფრო სწრაფი აქვს — არაყს. ღვინოც მიყვარს, მაგრამ ღვინით დათრობას დიდი დრო სჭირდება, არაყი კი, უცებ „მოგიყვანს აზრზე“...

— სიმთვრალეში ჩხუბი თუ ავითენებ?

— არ მახსოვს, მოვრალს ჩხუბი და აყალმაყალი ამეტეხოს. ჩხუბს ქეიფი არ ჯობს?! მიყვარს მოლხენა, სიმღერა და ანეკდოტების მოყოლა.

— მთვრალი რომ ბრუნდებით შინ, კარგად იქცევით?

— (იციანის) კარგად ვიქცევი, აბა რა! ოჯახის წევრებს არ ვაწუხებ, ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს, თუ საწოლი გამლილი მხვდება, ვიძინებ, თუ არა და — ვზივარ ხოლმე ჩემთვის...

— უგონოდ მთვრალი თუ ყოფილხართ?



კარგად ვიქცევი, აბა რა!

კლიპეიკერი ბიორგი კიკალაიშვილი (კიკალა) ერთდროულად ოთხ კლიპზე მუშაობს. ჯაბა ქარსელაძის, სტიფანეს, ბუკას და კახა კუხიანიძის სიმღერებზე კლიპების გადაღება რამდენიმე დღეში დასრულდება და მაყურებელი მათ პრეზენტაციებს „მე-9 არხის“ ეთერში იხილავს. კიკალა კლიპებს „დუეტში“ — თავის კინორეჟისორ მეუღლესთან სათუნა გიორგობიანთან ერთად იღებს. „ჩვენ აბსოლუტურად ერთნაირი ხელწერა გვაქვს და ერთმანეთს ვენდობითო“, — გვითხრა გიორგიმ. თუ ერთ-ერთი მათგანი გადაღებაზე წავა, მეორე შინ, მათი პატარა ქალიშვილის, 3 წლის ლიზის მოსაყვლედად რჩება...



«კლიპის გადაღება კვირად ღირებული სიახვენივსა»

ნათია ქვიციკაძე

კიკალა ტელეკომპანია „მე-9 არხის“ გადაცემის — „ცხელი ცხრიანის“ ავტორი და რეჟისორია. ამასთანავე, მან ორი დიდი პროექტი მოამზადა, რომელზეც მანამდე არ ისაუბრებს, ვიდრე „მე-9 არხის“ მხრიდან ამ პროექტების განხორციელებაზე დადებით პასუხს არ მიიღებს. პასუხი კი სავარაუდოდ, ორ კვირაში იქნება.

— გიორგი, გაფრცვლდა ინფორმაცია, რომ „მე-9 არხის“ ბაზაზე კინოსტუდიის შექმნა იგეგმება. თქვენ თუ ხართ ამის შესახებ ინფორმირებული?

— მართალია. ჩვენს ტელევიზიაში კინოსტუდია უკვე არსებობს. ბევრ სხვადასხვა ტელევიზიაში მიმუშავია და ასეთი ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არსად მინახავს. ტელეკომპანიაში სულ ახალგაზრდები მოვედით და ჩვენ თვალწინ აეწყო ყველაფერი. ახლა ტრანსლაცია მთელი საქართველოს მასშტაბით გავრცელდება, კინობაზაზე კი ფილმების გადაღება უკვე დაიწყო.

— ამბობენ, ბატონი ელდარ შენგელაიაც თანამშრომლობს თქვენს ტელეკომპანიასთან, მართალია?

— რა თქმა უნდა, ბატონი ელდარი ძალიან დიდი პროფესიონალია. თუ არა ელდარ, გიორგი შენგელაიები და ჩვენი



გადაღებების დროს ძალიან ბევრს ვყვირი

კინოს კლასიკოსები, სხვა ვინ უნდა იყოს?!

— თქვენ თუ მიიღებთ ფილმების გადაღებებში მონაწილეობას?

— იცით, რა? ტელეკომპანიის ბაზაზე რომ იღებენ ფილმს, ეს ვიღაცის პროექტია და გადაღებას თავადვე ახორციელებს. რამდენადაც ვიცი, ჩვენ ფილმის გადაღების შემოთავაზება ჯერ არ გვაქვს, მხოლოდ ტელეპროექტებს ვამზადებთ. თუ ფილმის პროექტიც გვექნება, რა თქმა უნდა, ამ ბაზაზე გავაკეთებთ და სხვაგან არ წავალთ. იმედი მაქვს, რომ ვიდეოკლიპს გადავიღებთ კინოფორზე.

— ადრე თუ გიმუშავით ფილმ-

ბზე?

— გადავიღე ტელეესერიალი — „თბილისური ამბები“, რომელშიც ცნობილი რუსი მსახიობი ნიკოლაი კარაჩენცევი და ბევრი ქართველი მსახიობი — სოსო ჯაჭვლიანი, სლავა ნათენაძე, სოსო თოლორაია და სხვები მონაწილეობდნენ.

— ამ ბოლო დროს, ძალიან ხშირად იღებთ კლიპს. როგორ ფიქრობთ — რეკორდი ხომ არ მოხსენით? სულ რამდენი კლიპი გაქვთ გადაღებული?

— მართლაც, ბევრი კლიპი მაქვს გადაღებული, ზუსტი რაოდენობა არც ვიცი. დიდი მადლობა მათ, ვისაც ჩემი ნამუშევარი მოსწონს და ჩემთან მოდის კლიპის გადასაღებად. ამასთან ერთად, როგორც აღვნიშნე, „მე-9 არხის“ ძალიან კარგი ტექნიკური ბაზა აქვს, რის გამოც შეგვიძლია, ჩვენს თავს უფლება მივცეთ და ბევრი კლიპი გადავიღოთ.

— თუ გახსოვთ, რომელი იყო თქვენი პირველი კლიპი?

— როგორ არ მახსოვს? 1987 წელს, სერგი გვარჯალაძის სიმღერაზე — „ყვითელი სახლი“ — გადავიღე პირველი კლიპი. 1988 წელს მეორე კლიპი ეკა კვალიაშვილს გადავუღე, რის შემდეგაც ჯარში წამიყვანეს. როცა დავბ-

ინფორმაციულ-მედიასფეროში
კოლაჟი

ეორა დვალის
უბის წიგნაკვან:

1. იშხანი სევანის ტბის კალმანია.
2. დევესტატორს ქართულად ჭაშნავი კვირა.
3. მარხილის ძაღლებს გამხმარი თევზით კვებავენ.
4. კილომეტრნახევრიან ჭაბურღილში წყალი უკვე მლაშეა.
5. „პაროლი“ ფრანგული სიტყვაა და ქართულად „სიტყვას“ ნიშნავს.
6. ბუზი კვირაში ერთხელ მრავლდება მთელი წლის განმავლობაში.
7. ზაფანგში გაბმული შინაური კატა ჩხავის, გარეული – განაბულია.
8. „მოწინავე გემი“ – ასე ითარგმნება პოლანდურიდან სიტყვა „ლოცმანი“.
9. „სიყვარულს რომ სძლიო, ერთადერთი გზაა, გაიქცე“, – ამბობდა სტენდალი.
10. აცივქვა სოფელია გაგრის რაიონში, შიპიაკი – სოფელი წალკის რაიონში.



11. ბრიტანეთი კუნძულად ჩვ.წ.დ-მდე დაახლოებით 6500 წლის წინ იქცა.
12. ბილ გეიტსს ძალზე უყვარს პოკერის თამაში, თამაშისას ის საშინლად თაღლითობს.
13. ინტიმური ურთიერთობა პაპუასებს ქოხში აკრძალული აქვთ. საამისოდ ისინი ტყეში დადიან.
14. „მე ბიჩერ-სტოუს „ბიძია თომას ქონმა“ მიბიძგა, დამეწყო სამოქალაქო ომი“, – ამბობდა აბრაამ ლინკოლნი.
15. არასოდეს დაუნგრევიათ ანდა წაუბილწავთ თბილისში მდებარე, განსხვავებული სარწმუნოების არც ერთი სალოცავი.
16. ერთმა არისტოკრატმა ალექსანდრე დიუმას ჰკითხა, თუ რატომ იყო იგი ასეთი შავკვრემანი. „მამაჩემი კრეოლი იყო, ბაბუა – ზანგი, დიდი ბაბუა კი – მაიმუნი და ჩემი ჯიში დასაბამს იღებს იქ, სადაც თქვენი მთავრდება“, – უპასუხა დიუმამ.
17. იულიუს კეისარმა ჩვ.წ.დ-მდე 44 წელს შემიიღო ედილების – სახალხო კურატორების თანამდებობა. კურატორთა მოვალეობაში შედიოდა ხალხისთვის პურის უფასოდ დარიცხვა და ცირკებში სანახაობების მოწყობა.
18. „მე მხოლოდ სანიშნე ვარ რევოლუციის წიგნის იმ ფურცელზე, რომელზეც ის შეჩერდა. მე რომ აღარ ვიქნები, რევოლუცია გადაშლის ამ ფურცელს და გზას განაგრძობს“, – ამბობდა ნაპო-



...ვერგმფრენს მთელი წავეკისის ხეობის მოსახლეობა გამოეკიდა – ძროხები შეგვიმინეთო!

რუნდი, ტელეკომპანია „მეორე არხი“ გაიხსნა, სადაც სერგისთან ერთად გავაკეთეთ გადაცემა „დვრიტა TV“. პირველი ვიდეოვერსია მე მეკუთვნის. მაშინ გადავიღე კლიპები: ლადო ბურდულის სიმღერაზე – „ჩემო მშენიერო ლედი“ და ირაკლი ჩარკვიანის – „შენ აფრენ“. ეს ყველაფერი იმ დროისთვის საკმაოდ სკანდალური იყო... ამის შემდეგ კი, სერიოზული ნამუშევარი იყო თამუნა ამონაშვილისა და სტეფანე მღებრიშვილის „მოვა“, ლელა წურწუმიასა და სტეფანეს „ერთი სიყვარულის ამბავი“.

— კლიპის სცენარზე მუშაობისას, რა არის თქვენთვის მთავარი — სიმღერა, რომელზეც კლიპი უნდა გადაიღოს თუ მომღერალი?

— მომღერალი. არავინ გამიბრაზდეს, მაგრამ პირველ რიგში, მომღერლის მსახიობურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს ვუყურებ. „ექსკლუზიურად“ გეტყვი: როცა აჩიკო მეფარიძეს შევხედე, მივხვდი, მისგან „კარგი ფაშისტი“ დადგებოდა. ჯერ არც სიმღერა იყო შექმნილი, არც ტექსტი, მაგრამ კლიპი უკვე გადაღებული გვქონდა. შემდეგ დაიწერა სიმღერა — „უცხო ქალაქში“ და ამ კლიპში უფროსი თაობის თითქმის ყველა დიდი მსახიობი თამაშობს: კახი კავსაძე, რამაზ ჩხიკვაძე, ედიშერ მალალაშვილი...

— უამრავ ქართველ ვარსკვლავთან მოგინათ მუშაობა. ჭირვეულები არიან თუ ადვილად გემორჩილებიან ხოლმე?

— აჩიკო მეფარიძე ძალიან მომთხოვნია, როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართ. ყველაზე დიდი მსახიობური ნიჭით გამოირჩევიან: ლელა წურწუმი, სტეფანე, ქეთა თოფურია, თიკა ჯამბურია... მომღერალი ჩემთან რომ მოდის, მიცდის, რომ ჩემი საქმე პროფესიონალურად გავაკეთო და თვითონ არ ჩაერიოს.

— დამწყებ მომღერლებთანაც გინევთ ხოლმე ურთიერთობა. ეს რა სირთულეებთან არის დაკავშირებული?

— ყველაზე რთული ის არის, რომ

არ იცი, მისი პოტენციალი, რისი ვაკეთება შეუძლია... ცოტა ხნის წინ, ნინო მამულაშვილის კლიპი გადავიღე. ძალზე ძლიერი გოგონა აღმოჩნდა და უკვე დაიწყო მეორე კლიპზე მუშაობა. ზოგიერთისთვის კი, ერთჯერადი პროექტის დონეზე რჩება პირველი კლიპიც და სიმღერაც — მეორეს ვეღარ წერენ, რადგან არ იციან, სად და როგორ დაიხარჯონ (ემოციურ მხარეს ვგულისხმობ). ვცდილობ, რომ ასეთი „მომღერლების“ კლიპებს ხელი არ მოვკიდო.

— თუ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე მომღერლისთვის კლიპის გადაღებაზე უარი გეთქვათ და რა იყო ამის მიზეზი?

— რა თქმა უნდა, უარი მითქვამს. ახლახან იყო რამდენიმე ასეთი შემთხვევა. ისინი საკმაოდ პოპულარული მომღერლები არიან და ეთიკური მოსაზრებით, მათ ვინაობას ვერ დავასახელებ. მე ხომ არ ვერევი მათი სიმღერის ჩაწერაში. არც ისინი უნდა ჩაერიონ ჩემს საქმიანობაში. თუ ჩემთან მოდიან, მაშინ უნდა მენდონ და არ უნდა მეჯიჯღინონ... ან თუ შევატყობ, რომ მომღერალი უპერსპექტივოა, მაშინვე უარს ვამბობ მასთან მუშაობაზე.

— როგორც წესი, რეჟისორები გადასაღებ მოედანზე მკაცრები არიან. თქვენ თუ ჩხუბობთ და ყვირით ხოლმე?

— ძალიან ბევრს ყვირი. როცა დათო ხუჯაძისა და თიკა ჯამბურია კლიპს ვიღებდით (სიმღერაზე „ცისარტყელეზი“), იმდენი ვიყვირე, რომ მეგაფონი დაიწვა — სერიოზულად ვამბობ... ახლაც, ისევ ჯამბურია კლიპს ვიღებდით. „ბრონტოტი“ (ამწეკრანი. - ავტ.) ხუთი სართულის სიმაღლეზე ვართ ასულეები, ქვემოთ მუსიკა ორ კილოვატზეა ჩართული, ამასთან, ფეიერვერკების ხმაურია. მე კი ზემოდან მეგაფონის გარეშე ვანიშნებ, რა უნდა მოიმოქმედოს და იმხელა ხმაზე ვვიროდი, რომ მიუხედავად ასეთი ხმაურისა, ჩემი ხმა ყველას ესმოდა. ამ დღეებში, ჯაბა ქარსელაძის კლიპს ვიღებდით ბარნოვზე და მთელ ვერა-ვაკეს ესმოდა ჩემი ყვირილი... დგება ხოლმე ისეთი მომენტი, როცა მომღერალი მოეშვება, რადგან იღლება. ამ დროს ვჩხუბობ, ვსაყვედურობ, რომ ჩვენც ყველანი დავიდალეთ, ამის შემდეგ ის მაშინვე ფხიზლდება და იწყებს მუშაობას.

— როგორც წესი, გადასაღებ

მოედანზე სშირია კურიოზი. რაიმე ასეთ შემთხვევას სომ ვერ გაიხსენებდით?

— მართალია, გადაღება სულ კურიოზია. თამუნა ამონაშვილისა და სტეფანეს კლიპის გადაღების დროს, ვერტმფრენს მთელი წავკისის ხეობის მოსახლეობა გამოეკიდა — ძროხები შეგვიშინეთო! კარგი სანახაობა იყო... ახლა კიდევ, ნინო მამულაშვილის კლიპის ბოლოს, არის სცენა, სადაც დათო დარჩია და სოსო ჯაჭვლიანი ხმალაობენ. ჩვენ ვერტმფრენით მათ წრეს ვურტყამდით და ისე ვიღებდით. უცებ, დათო ცუდად გახდა და მინდორში, ბალახებში ჩაიმუხლა. თურმე, სოსომ „ხარისხიანად“ და სვანურად იხმალა და დათოს ხელი გაუჭრა...

— ყველაზე მეტად თქვენ ნამუშევრებიდან რომელი კლიპი მოგწონთ?

— ლელა წურწუმიას კლიპი — „ჩემად ნათქვამი“ (რომელიც გიორგი სანაიას ხსოვნას მიეძღვნა) ძალიან მომწონს, მაგრამ აჩიკო მეფარიძის „უცხო ქალაქი“ ძალიან საინტერესოა, განსხვავებულია... ყველა კლიპი ჩემთვის შეილივითაა და ვერ გამოვარჩევ. თუმცა, არის ზოგი კლიპი, რომლის უკეთესად გადაღება შეიძლებოდა. ისევ „ექსკლუზივად“ გეტყვი — აჩიკო მეფარიძისა და ნინი ქარსელაძის სიმღერაზე — „ერთი ციდა ბენდიერება“ — კლიპი რომ გადავიღეთ, იქ სხვა სცენარი გექონდა დაწერილი. მაგრამ აბსოლუტურად სხვანაირად გადავიღეთ. ეს არავის ბრალი არ არის, უბრალოდ, ბიუჯეტის ნაკლებობის გამო ვერ შევძელით, სერიოზული სცენარი განგვეხორციელებინა. ამის გამო, ამ კლიპთან დაკავშირებით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დამრჩა.

— როგორც ვიცი, საახალწლო ვიდეორგოლები გადაგიღიათ, მაგრამ რატომღაც მათი ჩვენება არ მოხდა. რა არის ამის მიზეზი?

ყველა კლიპი ჩემთვის შეილივითაა



ახლაც, ისევ ჯამბურიას კლიპს ვიღებ



— ძალიან ცუდი რამ დაგვემართა: პატარა ლიზი ავად გაგვიხდა და მთელი ახალი წლის პერიოდი საავადმყოფოში ვიყავით. ამის გამო ამ ვიდეორგოლების პრემიერები დაგვიანდა და ნელ-ნელა შედგება „მე-9 არხის“ ეთერში. თემო ხვიბლიანის კლიპი სიმღერაზე — „შენთვის ვლოცულობ“ — ჩვენს არხზე უკვე ტრიალებს. სულ მალე „სიეშენის“ ვიდეორგოლიც გამოვა, რომელიც გადავიღე სიმღერაზე — „წვიმაში გნახე“. ასევე, უკვე გადაღებული მაქვს სალომე წვერაიძის, კახა კუხიანიძის, სტეფანეს, ჯაბა ქარსელაძის და ბუჟას კლიპებიც.

— რას იტყვით კონკურენციაზე კლიპეიკერებს შორის?

— რა თქმა უნდა, არის კონკურენცია და უნდა იყოს კიდევ. მაგალითად, კომუნისტური მმართველობის დროს, პური გამოდიოდა უკონკურენციოდ და მასხოვს, ხან ლურსმანს ვპოულობდი მასში, ხან თოქს. ახლა კი, შეგიძლია იყიდო ვთქვით, „პური თავადური“, რომელიც ლარ-ნახევარი ღირს, მაგრამ შიგნით ნიგოზი და ფეიერვერკება (იცი-ნის)... ასე რომ, ჯანსაღი კონკურენცია ძალიან კარგია და საჭიროა...

— დაბოლოს — რა ღირს თქვენთან კლიპის გადაღება?

— დაბალბიუჯეტური კლიპის ხელს არ ვაკიდებ. ადამიანი რომ მოდის და მეუბნება — მხოლოდ ეს თანხა მაქვს და ამის კლიპი გადამიღეთ, — ეს აბსურდია! არავის ეწყინოს, მაგრამ არსებობს ზოგიერთი ტელეკომპანია, სადაც 100 ლარად გაუკეთებენ კლიპს... დიდ თანხას იმიტომ კი არ ვითხოვ, რომ „მექვირე“ ვარ — უბრალოდ, ბიუჯეტი სჭირდება მსახიობის, ოპერატორის დაქირავებას, ტექნიკას, განათებას და ა.შ. ფასის დასახელება არ მინდა, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ კლიპის გადაღება საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნებაა.

ინფორმაციულ-შეფხვნილობითი კოლაჟი

ეორი დვალის უბის წიგნაკიდან:

ლეონი.

19. „დიდ ბრიტანეთში დღე და ღამე არ სძინავთ გადასახადთა ამკრებთ“, — წერდა დიკენსი და ეს სრული სიმართლე გახლდათ, რადგანაც ამ ქვეყნის მრავალრიცხოვან კოლონიებში დღიური საშუალო სხვადასხვა დროს მიმდინარეობდა.

20. ტრანსციმბირის მაგისტრალზე მოძრავი მატარებლის ვაგონ-რესტორანს ორმაგი ფუნქცია ჰქონდა: იქ სადილობდნენ მეზავრები, გაჩერებებზე კი, ადგილობრივი მოსახლეობისათვის იგი მაღაზიის ფუნქციას ასრულებდა.

21. ფინელმა მონადირეებმა შემოიღეს სივრცის საზომი ერთეული — პენიკუულუმა, რომელიც დაახლოებით 10 კილომეტრს უტოლდებოდა. ეს ის მანძილი იყო, რომელზეც მონადირეს ძაღლის ყეფის ხმა ესმოდა.

22. რომანოვების დინასტიისადმი მიძღვნილ სუვენიურულ ბანქოში „კაროლები“, „დამები“ და „ვალეტები“ რეალური ისტორიული პირები არიან: პეტრე I, ნიკოლოზ II, ეკატერინე II, უფლისწული ალექსეი და ა.შ. „ჯოკერებზე“ კი, ალექსანდრე მენშიკოვი და გრიგორი რასპუტინი არიან გამოსახუნლი.

23. „კლიკ, კლაკ, ბუმ“ — თვითმხილველთა თქმით, ასეთ ხმებს გამოსცემს სიკვდილმისჯილისათვის თავის მოკვეთის დროს გილიოტინა. „კლიკ“ — ნაჯახის მოსხლეტა, „კლაკ“ — თავის მოკვეთა, „ბუმ“ — მოჭრილი თავის კალათში ჩავარდნა.

24. ვინმე ოფიცერმა, გვარად კანდიამ, პუშკინს სთხოვა, მოეფიქრებინა რითმა სიტყვებისთვის „რაკ ი რიბა“. „ღურაკ კანდიამ“ — გარითმა პუშკინმა. „ახლა რიბა ი რაკ“ — არ ცხრებოდა ოფიცერი. — „კანდიბა ღურაკ“, — არ დააყოვნა პასუხმა.

25. I მსოფლიო ომის დასაწყისში, ფეოლორ შალიაპინი საფრანგეთში ცხოვრობდა, სადაც რესტორანში სისტემატურად სადილობდა ღარიბ მოქალაქეებთან ერთად. იგი ამას გარკვეულწილად, პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე აკეთებდა, რადგან იმ პერიოდში, რესტორნებში არ ჰქონდათ წვრილი ფული ხურდის დასაბრუნებლად.



უკვე რვა წელია, რაც ქალბატონი გულიკო შიშაშვილი მეუღლესთან ერთად ზოოპარკის ტერიტორიაზე ცხოვრობს, მუშაობს და ცხოველების მოვლით ხარობს. მისი საცხოვრებელი ოთახი, ცხოველებისათვის განკუთვნილი ზამთრის ოთახების გვერდითაა, მაგრამ მას ეს დისკომფორტს სულაც არ უქმნის. საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა ცხოველი ზოგჯერ მის ოთახშიც კი იდებს დროებით ბინას — მაგალითად, ახლა იქ, ყვითელი სანოფრით „შეიარაღებული“, თვენახევრის მაიმუნი ბორია დააბიჯებს...



ჩემი უსოფიანა ან უსოფიანობა უკეთესობით დაიწყო

იმა ტუხიაშვილი

— ქალბატონო გულიკო, ზოოპარკში მუშაობა როგორ დაიწყო?

— წლების მანძილზე, ტუბდისპანსერში ექთანად ვმუშაობდი, მაგრამ ის მიზერული ხელფასი, რასაც იქ მიხდიდნენ, საარსებოდ არასაკმარისი იყო. ამას ისიც დაემატა, რომ ჩემი მეუღლე უმუშევარი დარჩა და აუცდლებელი იყო, რაიმე დამატებითი შემოსავლის წყარო მომეძებნა. შრომის ბირჟას მივაკითხე და იქ შევეიტყვე, რომ ზოოპარკში დამლაგებელი ესაჭიროებოდათ. საერთოდ, ცხოველები ბავშვობიდან მიყვარს. ჩვენს ოჯახში გვყავდა კუ, ზღარბი, სვლიკი, რომელიც კულგატყლეტილი ვიპოვე, უმკურნალე, შემდეგ გაიზარდა და ისე შემეჩვია, რომ შინ მისვლის დროს, კარის სახელურზე დამგდარი მხედებოდა ხოლმე... როდესაც ზოოპარკში მოვედი, აღმოჩნდა, რომ დამლაგებელი კი არა, მაიმუნების მომვლელი ესაჭიროებოდათ.

— თავიდან, არ გაგიჭირდათ მაიმუნების მოვლა?

— პირველად რომ შევედი გალიაში, გაცივებულები მიყურებდნენ. მე კი ველაპარაკებოდი. საერთოდ, ყველა ცხოველს ველაპარაკები. მაიმუნები მოგეხ-



სენებათ, ცოტა აგრესიულები არიან და როდესაც ერთ-ერთის მოსაფერებლად გავიწიე, მეცა და ლოყაზე მიკბინა, თანაც, ისე მაგრად, რომ ხორცი ამომავლიჯა. მოგვიანებით კი, ერთხელ, გიბონმა თვალზე მიკბინა. მაგრამ ეს არ მაშინებს — მე ადამიანის გესლიანი ენის უფრო მეშინია, ვიდრე ცხოველის ნაკბენით მოყენებული ტკივილის...

— ვხედავ, ადამიანებზე გულნატკენი ბრძანდებით. რატომ?

— ძალიან ახლობელმა ადამიანებმა მომაყენეს ტკივილი და ამის დავიწყება შეუძლებელია. ჩემი ცხოველები კი, მზრუნველობის საპასუხოდ, იმხელა სითბოსა და სიყვარულს ამჟღავნებენ ჩემ მიმართ, რომ სიტყვებით ამის გადმოცემა მიჭირს კიდევ.

— ალბათ ხშირად შესწრებისართ ცხოველების დაბადებას, არა?

— პირველად შევეწარი პავიანის დაბადებას და როდესაც დავინახე, როგორ ეჭირა დედას პატარა შავი ახალშობილი, გავიქეცი და ვაცნობე ყველას, რომ ახალი ბინადარი შემოგვემატა. ამ ამბის შემდეგ კი, იმდენმა პატარამ გაიარა ჩემს ხელში, რომ სათვალავი ამერია.

— უდევოდ დარჩენილი ცხოველები თუ გაგიზრდიათ?

— პირველად, უპატრონო, ჯერ თვალეზიანი ლეკვი გავზარდე, რომელსაც „პიტუტით“ ვასმევდი რძეს. შემდეგ ჯიხვი გავზარდე, რადგან დედამისი მშობიარობას გადაჰყვა. მერე პატარა ენოტები, მგლის ლეკვები, კვერნები, ტურა, დათვის ბელები მყავდა. მართალია, ბეჭემოთი ზოოპარკში უკვე გაზრდილი ჩამოიყვანეს, მაგრამ ძალიან გაუჭირდა აქაურ პირობებთან ადაპტაცია. ჩვენი ხელმძღვანელობა უკვე აპირებდა, უცხოეთიდან ჩამოეყვანა

ადამიანის გესლიანი ენის უფრო მეშინია, ვიდრე ცხოველის ნაკბენით მოყენებული ტკივილის...

სპეციალისტები, რათა მისი მღვთმარობა გამოეკვლიათ. მთელი დღის განმავლობაში, ბეჭემოთი უმოძრაოდ იწვა და საჭმელზეც უარს ამბობდა. რადგან მე 24 საათის მანძილზე აქ ვარ, გადავწყვიტე, თავად მეწარმოებინა დაკვირვება და აღმოვაჩინე, რომ ღამის სამ საათზე, ბეჭემოთი წყლიდან ამოდიოდა, თამაშობდა და საჭმელსაც მაშინ მიირთმევდა. თურმე, მას დღე და ღამე ჰქონია არეული. უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანა აღარ დაგეგვირდა, ხოლო მე და ბეგი ისე დავმეგობრდით, რომ ახლაც, გაიგონებს თუ არა ჩემს ხმას, მაშინვე ამოდის წყლიდან.

— ალბათ მტკივნეულად აღიქვამთ ცხოველის დაღუბვას...

— მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა, როდესაც მწვანე მაიმუნი დაგველუპა. ვერ წარმოიდგენთ, როგორი სტრესი იყო ჩემთვის; ყველას ვთხოვდი, რაიმე ელონათ მაიმუნის გადასარჩენად. სამწუხაროდ, ვერც დედის და ვერც ახალშობილის გადარჩენა ვერ მოხერხდა. სწორედ ამ მწვანე მაიმუნის წელიწადია ახლა და უნდა გითხრათ, რომ სხვა ჯიშებთან შედარებით, მწვანე ანთარი ძალიან აზიზი და რთული მოსავლელია. ჩემს აქ ყოფნაში კი, უკვე ხუთი მწვანე მაიმუნი გაჩნდა.

— სხვა ცხოველებთან შედარებით, მაიმუნები ყველაზე კონტაქტურები არიან, ხომ?

— არა, რატომ? მეტ-ნაკლებად ყველა ცხოველთან შევდივარ კონტაქტში, ვეთამაშები. მაგალითად, როდესაც ბეჭემოთს ვეუბნები — ამოდი, ბეგი, ვითამაშოთ-მეთქი, — ეს ამხელა მასა სულ ტუნტულ-ტუნტულით დამყვება კულში... მაიმუნებს თმის განილვა უყვართ და ზოგჯერ ისე მაგრად მქაჩავენ, რომ კოვილს ვიწყებ. ხშირად, მობილურ ტელეფონსაც მპარავენ, ამიტომ მას ღუმელში ვინახავ. ახლა მაიმუნების ვოლიერს კიდევ ერთი დამცავი გალია გაუკეთეს, მანამდე კი, ძალიან ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც დამთვა-

ლიერებლებს ჰპარავდნენ ქულებს, ფოტოპარატებს და ქურთუკებსაც კი ხდიდნენ...

— თქვენს ოთახში იმდენი სათამაშო და საბავშვო ნივთია, კაცი იფიქრებს, ჩვილი ჰყავსო — არადა, ეს ყველაფერი თვე-ნახევრის მაიმუნის საკუთრებაა. რა არის ამ საწოლიანი ბოთლებში? რას აჭმევთ ბორიას?

— მაიმუნებს „ნესტლეს“ ფაფას ვაჭმევ, ხოლო ჯიხვსა და სხვა ცხოველებს — „ნანისით“ ვზრდი, რადგან ის მათი მშობლის რძის მსგავსია. ჩვეულებრივი ძროხის რძე ახალშობილებისთვის რეკომენდებული არ არის — მუცლის შებერილობას იწვევს.

— ბანანი განსაკუთრებით უყვართ მაიმუნებს თუ „ქართველი“ მაიმუნები არც სხვა ხილზე ამბობენ უარს?

— სხვათა შორის, ჩვენს ზოოპარკში ცხოველებს საჭმელი ნამდვილად არ აკლიათ. ხშირად მსმენია დამთვალეირებლებისგან: საწყალი ცხოველები, რა დღეში არიანო!.. უნდა გითხრათ, რომ ეს მცდარი აზრია. ცხოველების კვების რაციონი საკმაოდ მდიდარია, მასში შედის ყველაანარი ბოსტნეული, ხილი, ფაფები. მაიმუნები ბუნებით წუწკები არიან, ამიტომაც არ ამბობენ ხოლმე უარს მნახველების მიერ შეთავაზებულ საკვებზეც.

— როგორც ვხედავ, ყველა ცხოველს თავისი სახელი აქვს. თქვენ არქმევთ?

— ცხოველებთან ურთიერთობისას, სახელი საკმაოდ მნიშვნელოვანია. ხომ არ შეიძლება, მაგალითად, მაიმუნს ასე მიმართო: ეი, შენ, მაიმუნო!.. გვყავს მაიმუნი ჯულია, მიხო, სარა, ემა...

— ემა (ნამდვილად არ მეგონა, თუ საკუთარ სეხნას მაიმუნებს შორის ნავანყდებოდი)?!

— მეგობარი მყავდა ემა, რომელსაც ძალიან უყვარდა მაიმუნები და მის პა-

მაიმუნებს „ნესტლეს“ ფაფას ვაჭმევ, ძროხის რძე ახალშობილებისთვის რეკომენდებული არ არის — მუცლის შებერილობას იწვევს



როდესაც ბეჭემოს ვეუბნები — ამოდი, ბეგი, ვითამაშოთ-მეთქი, — ეს ამხელა მასა სულ მუნძულ-მუნძულით დამყვება კულში...



ქალბატონი გულიკო (მეუღლესთან ერთად): „შვილები არ გვყავს მაგრამ ამ ცხოველებს შვილებივით ვუვლით“

ტივსაცემად დავარქვი მაიმუნს მისი სახელი. ის ახლა უცხოეთში ცხოვრობს და სულ მეხვეწება: მაიმუნ ემას თუ რამე დასჭირდა, არ მოგერიდოს, მომწერეო. ასე რომ, ჩვენი ემა ხშირად უცხოეთიდანაც კი იღებს ამანათებს...

— ფოტოზე ვნახე, რომ მაიმუნი საწოლშიც კი გენვინათ...

— ასეც ხდება. მაგრამ როდესაც პატარები არიან, ცოტა საშიშია მათთან ერთად წოლა — შეიძლება, გაჭყლიტონ ან დაუზიანონ რამე. ერთხელ, სამი თვის გიბონი ბუბო გაგვიხდა ავად, გაცივდა და მაღალი სიცხე ჰქონდა. საწოლში ჩემთან ერთად დიდი ადამიანივით ეძინა. საკმარისი იყო, გავნძრულიყავი და ადგომა მომენდომებინა, რომ ისიც ჩემთან ერთად დგებოდა. პოდა, უფრო მეტად რომ არ გაცივებულიყო, ვცდილობდი, მეც ნაკლებად ავმდგარიყავი საწოლიდან.

— სიყვარულს როგორ გამოხატავენ მაიმუნები?

— როდესაც დილით, გალიის დასასუფთავებლად შევდივარ, გამოიქცევიან და ჩამეხუტებიან ხოლმე. არადა, ზოგი მათგანი ისეთი მძიმეა, რომ ხელში აყვანა მიჭირს. მაგრამ თუ მივიხვდა, რომ გინდა, თავიდან მოიცილო, მაშინვე კბენას იწყებს.

— ქალბატონო გულიკო, შვილები თუ გყავთ?

— არა, საკუთარი შვილები არ მყავს, მაგრამ ამ ცხოველებს ღვიძლი შვილებივით ვუვლი.

— ლომებსა და ვეფხვებსაც თქვენ უვლით?

— არა, მათთან ჩემი მეუღლე მუშაობს. მაგრამ გალიაში ხშირად შემიყვია ხელი და ძუ ლომს მოვფერებივარ. თუმცა, მათი ნღობა ბოლომდე მაინც არ შეიძლება, რადგან ნებისმიერ წუთს შეიძლება გაღიზიანდნენ და დავიშაონ რამე.

— თუ მოსულან თქვენთან მაიმუნის ან რომელიმე სხვა ცხო-

ველის შეძენის მსურველები?

— იშვიათად, მაგრამ მაინც გამოჩნდებიან ხოლმე ასეთი ადამიანები. მაგრამ ყველას ვურჩევ — არ შეიძინონ მაიმუნი, რადგან მისი მოვლა ძალზე რთულია. თუმცა, უფრო ხშირად, ზოოპარკში ცხოველები მოჰყავთ, რომ გვაჩუქონ. მაგალითად, მე გავზარდე ბატონ თამაზ ნადარეიშვილის მაიმუნი, რომელიც მერე ცირკს გადასცეს და წლების შემდეგ, როდესაც ცირკში მივედი, მაიმუნმა მიცნო. ერთხელ, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დათვი გადმოგვცა...

— ცხოველების უამრავი ფოტოსურათი გაქვთ. რაიმე რეაქცია თუ აქვთ, სურათს რომ უღებენ?

— სიმართლე რომ გითხრათ, ცხოველებს ფოტოპარატზე არანაირი რეაქცია არა აქვთ. სამაგიეროდ, მათი გადაღება მე მანიჭებს დიდ სიამოვნებას. შესაძლოა, ჩემთვის ვერ გავიმეტო რალაც თანხა, მაგრამ მათთვის ფული არასოდეს მენანება.

— ტანსაცმელს მაიმუნებს თქვენ უკერავთ?

— ძირითადად, „მონბეში“ ვვიღებო და ტანსაცმელს მაიმუნებისთვის. მაგრამ საშინლად არ უყვართ ჩაცმა. არადა, ეს ზოგჯერ აუცილებელია — როცა ვთქვით, ქუჩაში სასეირნოდ გავდივარ და მინდა, კარგად გამოიყურებოდნენ...

— ისეთი სიყვარულით ლაპარაკობთ ცხოველებზე, შეიძლება ითქვას, რომ აქ მოსვლით თქვენს საკმეს მიაგენით?

— ნამდვილად ასეა. საერთოდ ვფიქრობ, რომ ჩემი ცხოვრება ამ ცხოველებთან ურთიერთობით დაიწყო, მანამდე განვლილი წლები კი, არაფერი ყოფილა... მხოლოდ იმ დაკარგულ დროზე მწყდება გული: თბილისში დავიბადე და გავიზარდე და აქამდე როგორ არ მომივიდა აზრად, ზოოპარკში მემუშავა?!

მწვანე მაიმუნის წელიწადი 2004 წლის 22 იანვარს დაიწყო, რაც იმის მაუწყებელია, რომ თითოეული ადამიანის ცხოვრებაში რაღაც ცვლილებები მოხდება. 2004 წლის ბედნიერი რიცხვებია: 6, 12, 16, 24, 26, 30. მთელი წლის მანძილზე, თავგადასავლები ელოდებით რომანტიკულ ადამიანებს. ყურნალისტებსა და ხელოვნების სფეროს მუშაკებს სიახლეები არ მოაკლდებათ. სირთულეებს ვერ გაექცევით ბიზნესმენები. ქაოსური წელი იქნება პოლიტიკოსებისთვის. რა ელით ჩვენს რესპონდენტებს? როგორი იქნება 2004 წელი მათთვის, ვინც საზოგადოებაში პოპულარობით სარგებლობს? ნათელში იღვევთ ნატაშა სკოროხოდოვა საინტერესო პროგნოზებს გვთავაზობს.

ლელა ჭანკოტაძე

„გია ბარამიძეს ყველა სფეროში გაუმართლებს“

– ის კიდევ უფრო დიდ სიმტკიცესა და სიბეჯითეს გამოიჩინებს. მთელი წლის მანძილზე, უსახლვრო ენერჯით აღსავსე იქნება, ადამიანები გაცხებულებიც კი დარჩებიან მისი ენერჯითობითა და შეუპოვრობით. ეს წელი მისთვის სხვა მხრივაც იქნება მნიშვნელოვანი. მის პირად ცხოვრებაში ნამდვილი რევოლუცია მოხდება. პერიოდი აპრილის შუა რიცხვებიდან ივლისამდე ბატონი გიასთვის განსაკუთრებით რომანტიკული აღმოჩნდება. შედარებით რთული იქნება თებერვალი და სექტემბრის დასაწყისი.



– მისი კარიერა წარმატებული იქნება?

– დიახ. მას მხოლოდ წინსვლა ელოდება. თითქოს მისი გამოცდა უნდათ – მოკლე პერიოდში, რამდენჯერმე სხვადასხვა თანამდებობაზე დაინიშნავენ. მაგრამ წლები ვანდელი წელი მისთვის წარმატების მომტანი იქნება, მას ყველა სფეროში გაუმართლებს.

აუცილებელია, სულიერი ძალების მობილიზება მოახდინოს, რათა წონასწორობა შეინარჩუნოს და მომქანცველ მაიმუნის წელს გაუძლოს.

„ყოფილი დავითაშვილი საკუთარ თამაშს თამაშობს...“

– ის დაბნეული და გაბუტული ჩანს.



„ვურჩევ, თაში შეიკავროს წარსულის ტკივილის მასკინებისგან“

დაბნეულიცაა. არ იცის, როგორ მოიქცეს. თითქოს ნერვები დაწყვეტაზე აქვს, მაგრამ ეს ღრობითია. თებერვლის ბოლოსთვის, სულიერ წონასწორობას აღიდგენს, ძალებს მოიკრებს და ჩვეული რიხითა და ენთუზიაზმით შეუდგება საქმიანობას. ძნელი სათქმელია, თუ როგორი იქნება მისთვის 2004 წელი. ერთი რამ კი ნამდვილად შემიძლია ვთქვა: არც თვითონ და არც მისი ოჯახის წევრები არ იავადმყოფებენ. მათი პრობლემები

– პირველი, ვინც მიხილს სააკაშვილის გუნდიდან წავა, თუ პრეზიდენტი ვერ გაამართლებს და დაპირებებს არ შეასრულებს, კობა დავითაშვილი იქნება. მისი მოსყიდვა ძნელია. ის არავის აპყვება თამაშში. მხოლოდ საკუთარ თამაშს თამაშობს, რომელშიც სამართლიანი ბიჭის როლი აქვს. პრინციპებს არ ღალატობს და არც უკან იხევს. წლის ბოლოს, მასში გაიღვიძებს ძალაუფლების წყურვილი, თვითღამკვიდრებისკენ სწრაფვა კი, მთელ მის გონებას მოიცავს. ვურჩევ, ეს პერიოდი დასვენებასა და განტვირთვას დაუთმოს, რათა გამოუსწორებელი შეცდომები არ დაუშვას.



„მაია ნადირაძეს დასვენებისა და დახარჯული ენერჯის აღდგენას ვურჩევ...“

– შშვიდი და გაწონასწორებული მაია ნადირაძისთვის, მაიმუნის წელი კოლეგებთან ურთიერთობის გაჯანსაღების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იქნება. არაჩვეულებრივი შთაბეჭდილებებიც ელის და ცვლილებებიც. წლის პირველი ნახევარი ხელსაყრელი იქნება საზოგადოებრივი საქმიანობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესები-

წარსულში დარჩა.

– წლის რომელი პერიოდი იქნება მისთვის წარმატებული?

– პრობლემები მთელი წლის მანძილზე არ მოაკლდება. მაგრამ მისი სურვილების ახდენა მაინც მოხდება – ბევრი სურვილი შეუსრულდება. პირველ რიგში, მას კარიერაში აღმასვლა ელის. მართალია, გულნაკლული დარჩება, მაგრამ თანამდებობას მაინც მიიღებს. მისი ხასიათიდან გამომდინარე, ძნელია, ენდო.

– რას გულისხმობთ?



სთვის. სასურველია, ყურადღება გაამახვილოს თავის ფიზიკურ მდგომარეობაზე, რადგან ენერგეტიკული პოტენციალის დაქვეითება მისთვის დადებითობისა და ცუდი განწყობის მიზეზი გახდება. მისი გაუბედობა წარსულში დარჩება. პირველ პლანზე წამოიწვეს დიპლომატიურობა. მას ბედი წყალობს. ინტუიცია ეხმარება



როგორი იქნება მისთვის წლის მეორე ნახევარი?

— ყოველდღიური პრობლემების გამო, შეიძლება, დროის დინებას ჩამორჩეს და გვეგების განხორციელების შანსი დაკარგოს. ამიტომ დასვენებისა და დახარჯული ენერჯის აღდგენას ვურჩევ. წლის ბოლოსთვის, უსაიმოვნებები არ ასცდება. მეტი თავშეკავება და წინდახედულობა მართებს, რათა თავი აარიდოს მოსალოდნელ წვრილმან უსაიმოვნებებს.

„ეს წელი ზურაბ ნოლაიდელისთვის გაუსაძლისი აღმოჩნდება“

— მას ჯოჯოხეთური დღეები ელოდება. წლის პირველი ნახევარი განსაკუთრებით დაძაბული იქნება. მისის ბოლოს, სამინლად დაღლილი ჩანს. უკვე გაღიზიანებულია. ცდილობს, აგრესია დაფაროს და შინაგანი პრობლემები საშკარაოზე არ გამოიტანოს. ჯერჯერობით ეს გამოისდის, მაგრამ რამდენჯერმე ნახავთ მას, წონასწორობადაკარგულს. უსაიმოვნებები და ყოველდღიური პრობლემები მთელ წელს მისთვის აუტანელს გახდის.

განსაკუთრებით რომელი თვეები აღმოჩნდება მძიმე?

— აგვისტოს ბოლო განსაკუთრებით რთული აღმოჩნდება. შესაძლებელია, მან თანამდებობა დაკარგოს. ერთი რამ ცხადია: მთელი წლის მანძილზე, ფინანსთა მინისტრობა მისთვის მძიმე ტვირთი აღმოჩნდება.

როგორი იქნება მისი პირადი ცხოვრება მაიმუნის წელიწადში?

— პირადი ცხოვრების ხარჯზე მოხდება კომპენსირება: რომანტიკული განწყობა



მთელი წლის მანძილზე არ დატოვებს. სასაიმოვნო განცდები და ბედნიერი წუთები ბევრი იქნება. სამსახურისგან დაღლილი, პირად, ინტიმურ სამყაროში პოვებს შეებას.

რაიმე საფრთხე ხომ არ ელოდება?

— ვურჩევ, მოერიდოს კონფლიქტებს და დაპირისპირებებს. მის მიმართ აგრესიას ბევრი

ადამანი გამოხატავს. დაძაბულობა განსაკუთრებით ახალ მთვარეზე გამოწვავდება. ეს წელი ნოლაიდელისთვის გაუსაძლისი აღმოჩნდება, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, ეს უკვალოდ ჩაივლის — სერიოზულ და ცუდ კვალს არ დატოვებს.

„ლიზა ბავრატიონს ბევრი საინტერესო შეხვედრა, ბედნიერი ნუთი და მოგზაურობა ელის“

— წლის პირველი ნახევარი მისთვის არასტაბილური იქნება. მას სიახლეების სურვილი აღებურება, ამიტომ ეს თვეები სავსე იქნება საინტერესო მოვლენებით, რაც ხელს შეუწყობს საქმიანობაში მისი პოზიციების გამაგრებასა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, პერსპექტიული პროექტებში მონაწილეობის მიღებას. აპრილი და მისი კარგი იქნება ახალი შემოქმედებითი პროექტების განსახორციელებლად და საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად. წლის მეორე ნახევარი უფრო პომპეზური აღმოჩნდება — ამ პერიოდში ბევრი საინტერესო შეხვედრა, ბედნიერი წუთი და მოგზაურობა ელის.

სირთულეები რომელ პერიოდში შეხვდება?

— შედარებით უსაიმოვნო აღმოჩნდება ივლისი და ნოემბერი. მაგრამ ყველაზე რთული მაინც 10-23 ნოემბერი იქნება. მაიმუნის წელი ლიზასთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, სტაბილური ფინანსური მდგომარეობის მიღწევით იქნება. ვურჩევ, ყველაწინ რისკზე თამამად წავიდეს — გაუმართლებს. მაგრამ უნდა მოერიდოს აზარტულ თამაშებსა



და კონფლიქტებს.

„ინგა გრიგოლიას ვნებიანი სიყვარული და ახალი თავგადასავლები ელის“

— საოცრად დაძაბულია, ცოტა შემინებულიც. მისთვის რთული დღეებია. გული დახურული აქვს. მართალია, იქ ყველა მეგობარს ასევე, მაგრამ ამჟამად, ნამდვილად სერიოზული პრობლემების წინაშე დგას და ამის შენიღბვას ცდილობს. თებერვლის ბოლომდე, მისი სულიერი მდგომარეობა არ შეიცვლება.


მაისი და ივნისი უფრო სტაბილური აღმოჩნდება. წლის მეორე ნახევარში, ინგას ვნებიანი სიყვარული და ახალი თავგადასავლები ელის. ვურჩევ, თავი შეიკავოს წარსულის ტკივილების გასწვრივსგან — ეს

მასზე ცუდად მოქმედებს. ფინანსურად კარგი წელი ელის, მისი მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდება. ინგა სამოგზაუროდ წავა. ზაფხულის ბოლოს, ახალი ნაცნობობა ელის, რომელიც მისთვის დაუვიწყარი იქნება.

„მარინა კახიანს ეს წელი ბევრ სიხარულს ჰპირდება“

— პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს საქართველოში ჩამოსული ვარსკვლავების კონცერტის გაძლიერა უდიდესი პატივია, ბუნებრივად, წლებიწელი წელი მისთვის ხელსაყრელი იქნება, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი, აგვისტო და სექტემბერი აღმოჩნდება. მას შეუძლია, თავისუფლად დადოს ფსონი აზარტულ თამაშებში — უეჭველად გაუმართლებს. ფინანსურად მომგებიანი წელი ბევრ სხვა სიხარულს ჰპირდება. შეუძლია, თავს გართობის, დასვენებისა და უღარდელი ცხოვრების უფლება მისცეს. კარგი იქნება, თუ სამომავლო გვეგებს საიდუმლოდ შეინახავს და პირადი გრძნობების აფიშირებას არ მოახდენს. წელს მას შორეული მოგზაურობა ელოდება. მთელი წლის მანძილზე, რომანტიკული განწყობა არ დატოვებს. მისთვის ჩვეული იუმორი და მომხიბვლელობა წარმატების საწინდარად იქცევა...





ანგარიშებიანი სიყვარული და პოზიციზმ

„ერთი ბიჭი მიყვარდა, ცოლად მის ძმაკაცს გავყევი...“

მარი ჩაჭარიძე

„ლამაზი ცოლი მინდა...“

„ისეთ ამბავს მოგიყვებით, გულიანად იცინებთ, მაგრამ მე რომ საქმე სასაცილოდ არ მაქვს, ამასაც მიხვდებით და იქნებ, თანაგრძნობის ცრემლიც კი დაგედინოთ... დიდი ხნის წინანდელი ამბავია. მაშინ 18 წლის გახლდით. დაუსწრებლად ვსწავლობდი და თან ღამის დარაჯად ვმუშაობდი. ჰოდა, ერთ მშვენიერ (თუ დაწყვეტილ) ღამეს, ის საწყობი გატეხეს, რომელსაც ვდარაჯობდი. მე ამ დროს მეძინა და კარგადაც ვხვრინავდი. საწყობი პირწმინდად გაძარცვეს და ბუნებრივია, ყველაფერი მე დამბრალდა. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, დამიჭირეს და 4 წლით ციხეში მიკრეს თავი უდანაშაულო ადამიანს. მოგესხენებათ, პატიმრის ცხოვრება როგორია და მეც ავეყვი დანარჩენებს: ვსვამდი, ვეწოდი, ვთამაშობდი... ერთხელ წავაგე პატარა თანხა და გადავიხადე, მეორედ... მესამედ კი, ისეთი დიდი თანხა წავაგე, რომ მიხვდები — გადამხდელი არ ვიყავი და „გამაფუჭებდნენ“. ავდექი და თავის მოკვლა ვცადე. თოკიდან ერთმა პატიმარმა ჩამომხსნა და გადამარჩინა, შემდეგ, ქურდებთანაც მო-

მიგვარა საქმე და ფული არ გადამხდევინეს. კიდევ ვითამაშე... იმავე სიტუაციაში აღმოვჩნდი და ათი ათასი მანეთი წავაგე (მაშინ ეს დიდი თანხა იყო). ისევ ჩემმა მფარველმა მიშველა და თანხა თვითონ გადაიხადა... ამ კაცთან ვალში ვიყავი. ვკითხე — რით გადაგიხადო-მეთქი? — კიკაცობითო, — მიპასუხა. ეტყობოდა, რომ გენოს (ასე ერქვა ჩემს მშველელს) ბლომად ფული ჰქონდა, კარგი სახელი და ძლიერი ზურგი. ვიცოდი, გასათხოვარი, ჩემი კბილა შვილიც ჰყავდა და ვიფიქრე — თუ იმ გოგოს ცოლად მოვიყვან, არაფერი გამიჭირდება-მეთქი. ერთხელ, როდესაც თავის შვილებზე საუბრობდა, ვკითხე: სიძე არ გინდამეთქი? — სიძეს გააჩნიაო. — მაგალითად, ჩემნაირი-მეთქი, — შევთავაზე კანდიდატურა და იმის მოლოდინში, რომ რისხვას დავიმსახურებდი, თავი მხრებში ჩავრგე. ჩემს გაცოცხლებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მითხრა: კაცურ სიტყვას მომცემ, რომ ჩემს გოგოს ცოლად მოიყვანო? — კი-მეთქი, — დაუქნიე თავი. სხვა გზა არც მქონდა და დიდი სიხარულითაც დავთანხმდი. ცოტა შიში შემეპარა — იქნებ, მახინჯია-მეთქი? — მაგრამ თავს ვიმშვიდებდი — ისეთი შეუხე-

„— ლამაზია? — ჰკითხა ლუარსაბმა ღიმილით სუტ-კნენინასა.

— გითხარ, კალმით ნახატიამეთქი.

— ორასი თუმანიცა აქვს?

— იქნება მეტიც...

— იქნება მეტიცო! ჰა, თქვენ რას იტყვით? ცუდი არ იქნება — სთქვა ლუარსაბმა...

ლუარსაბს ამ დღის აქეთ, ცხადლივ თუ სიზმრად, სულ ის კალმით ნახატი ქალი აგონდებოდა და ორასთუმნიანი პარკი...“

აღბათ გახსოვთ ეს ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი-იდან?!“ და ვფიქრობ, ისიც მოგესხენებათ, „ორასთუმნიანი“ პარკით მოხიბლული ლუარსაბი ჯვრის დასაწერად საყდარში რომ შევიდა და და მზეთუნახავის ნაცვლად, „ჩასორსლებული“ პატარძალი დახვდა, ელდა ეცა, მაგრამ „მსუყე“ მზითვის მოლოდინში, ამაზე თვალი დახუჭა. თუმცა, ბოლოს, აღარც მზითვი შერჩა, აღარც კალმით ნახატი ქალი... ეს დღევანდელი „გზავნილების“ თემისა და იმის გამო შეგახსენეთ, რომ მკითხველთა მიერ მოყოლილი ამბების უმეტესი ნაწილი ლუარსაბის ამბავს მოგაგონებთ. აი, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც 40 წლის ნიკომ 25 „მესიჯში“ ძლივს ჩაატია:

დავი როგორ იქნება, გული რომ არ მიმივიდეს-მეთქი?! მოკლედ, ყველამ გაიგო, რომ გენოს სასიძო ვიყავი. ის ჩემზე 4 თვით აღრე გავიდა ციხიდან, მაგრამ მაკითხავდა, ყურადღებას მაქცევდა და არაფერს მაკლებდა. მეც ვავთავისუფლდი და ცალკე — სიხარულისგან მივეთქვე და გული, ცალკე — სონასთან შეხვედრის გამო ვწერვიულობდი. გამოსვლის დღეს, ჯერ შინ მივედი, მშობლები და ნათესავები მოვიხანსულე, საღამოს კი, თაიგულით ხელდამშვენიებული, გენოს ოჯახს ვეწვიე... კარი „მურთხივით“ გოგომ გამიღო. ისეთი დაბალი იყო, წულამდე ძლივს მწვდებოდა, ისეთი შავი — ღამეში ადვილად დაიკარგებოდა და ცოტას კოჭლობდა კიდევ. არც მიფიქრია, რომ სწორედ ის გახლდათ სონა (სახელი მაინც ჰქონოდა წესიერი). როდესაც წარმიდგინეს, ვაჟკაცურად შევიკავე თავი და არაფერი შევიმჩნიე. რამდენიმე დღის განმავლობაში, მათთან სტუმრად მივიდიდი და ჩემი საცოლით „ვტკებობდი“. შემდეგ, გენოს ვუთხარი — ერთი თვით სოფელში მივედივარ-მეთქი. არაფერი უთქვამს, თვალბოლოწკურულმა შემომხედა. მართლაც, გვეცალე აქაურობას და საკუთარ თავს დიღხანს ვე-

ბრძოლე, მაგრამ მიცემულ სიტყვას ვერ გადავედი. ცოლად მოვიყვანე ჩემი „მზეთუნახავი“ და დღემდე ერთად ვცხოვრობთ. ძალიან ლამაზი შვილები გვყავს, მაგრამ რად გინდა? – ცოლი ვერსად გამომიჩენია... აი, ასე დამემართა... ისე, რაც მართალია, მართალია – ერთგული ცოლი მყავს და სხვა კაცებისკენ არ იხედება. თუმცა, არც ისინი იხედებიან მისკენ... ჩემი მისდამი ერთგულების კი, აბა, რა მოგახსენოთ... ხანდახან მინდა, ხმამაღლა ვიყვირო: აღარ მინდა ფული! ლამაზი ცოლი მინდა!“

მოგეხსენებათ, ანგარებით ზოგი გამდიდრების იმედით იქცევა, ზოგი – საზოგადოებრივი მდგომარეობის მოსაპოვებლად, ზოგი კიდევ, შურისძიების მიზნით. თავისი საქციელის შესახებ ქალბატონი სალომე გვიამბობს:

„ჩვენი განშორება დათოსთვის წარმატების მომტანი აღმოჩნდა“

„55 წლის ვახლავართ. მინდა, ვამბობთ იმის შესახებ, რომ ანგარებასთან ერთად, შურისძიების წყურვილიც მამოძრავებდა, როდესაც ჩემი შვილისთვის საცოლუ შევარჩიე. თუმცა, სანანებლად სულაც არ მაქვს საქმე... დავიწყებ იმით, რომ სოფელში გავიზარდე და როდესაც სტუდენტი გავხდი და თბილისში გადამოვსახლდი, ძალიან დავიბენი. ნაქირავებ ბინაში მარტო ვცხოვრობდი. კარის მეზობლად ასაკოვანი ქალბატონი და მისი უცოლო, 30 წლის ვაჟი ცხოვრობდნენ. ნორა დეიდასთან საცმოდ კარგი ურთიერთობა მქონდა, მისი შვილი კი შინ იშვიათად იყო ხოლმე და წესიერად არც ვიცნობდი. ერთ დღეს, ნორამ მთხვრა: მაღალი გოგონა ხარ, თანაც, ახალგაზრდა და იქნებ, ჭადის გაწმენდაში დამეხმარო. არ დავზარდი. მაგიდაზე შიშველი ფეხით შევდექი და საქმეს შევუდექი. ამ დროს, დათო (მისი ვაჟი) შინ დაბრუნდა და მე რომ ასეთ მდგომარეობაში მიხილა, ამთავლიერ-ჩამთავლიერა, შემდეგ იქვე, მაგიდასთან ახლოს სავარძელში ჩაჯდა და ქვემოდან ინტერესით მიყურებდა. უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. ხელებს ზევით რომ ვწევდი, კბა მაღლა მეწეოდა, ის კი ხარბად მომჩერებოდა... ვცადე, ყურადღება არ მიმიქცია. ჭადის გაწმენდას რომ მოვრჩი, მაგიდიდან ჩამოსვლაში მომეხმარა და ვითომ შემთხვევით, ხელი მკერდზე შემახო. სასწრაფოდ შინ გავიქეცი და მთელი დამე თვალი არ მომიხუჭავს. ის პირველი მამაკაცი იყო, რომელიც ასე თამამად შემეხო. გული გამა-

ლებით მიცემდა. დილით მივხვდი, რომ დათო მიყვარდა და თავს იმაშიც გამოკუტყდი, რომ მანამდეც მომწონდა. ამ დღის შემდეგ, დათომ ყველა ღონე იხმარა ჩემთან დასასახლოებლად – ხშირად შემოდიოდა ტელევიზორის საყურებლად და რამდენიმე ხნის შემდეგ, სიყვარულიც ამიხსნა. დედამისს არ გამოჰპარვია ჩემთან მისი ვიზიტები. დამიძახა და მითხრა: შვილო, თუ ჩემს შვილს მართლა მოსწონსარ, მოხარული ვიქნები, ჩემი რძალი გახდე, მაგრამ იცოდე, რომ საქმე ქალების მუსუსთან გაქვს, გაფრთხილდი და თუ გინდა, მისი გული მოიგო, ფიზიკურ სიახლოვეზე არ დათანხმდეთ... ყურად არ ვიდე მისი დარიგება და დათოს ლოგინში საკუთარი სურვილით ჩავუწექი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ვუყვარდი და ვვიქრობდი, ცუდს არაფერს გამიკეთებდა, მაგრამ სულ ტყუილად. დაპირებით – აი, ამ თვეში დაგქორწინდებათ და იმ თვეში, – შემიყლია და ჩვენი ურთიერთობა ორ წელზე მეტხანს გაგრძელდა. შემდეგ დაფეხმძიმი და როგორც კი მას ამის შესახებ ვაუწყე, მაშინვე სადღაც გადაიკარგა... ჩემი გასაჭირი ნორას შეეჩივლე. დედა-შვილმა ბევრი იკამათა, მაგრამ დათო იმ აზრზე დარჩა, რომ მე ცოლად არ მოვეყვანე და რუსეთში წავიდა. უხმოდ, ისე, რომ არავისთვის მითქვამს, ბავშვი მოვიშორე. დათოსთან განშორება ძალზე მძიმედ გადავიტანე. ის ბინა კი, მაშინვე მივატოვე და სხვაგან გადავედი. ორი წლის შემდეგ, გათხოვდი. ჩემმა მეუღლემ თავიდანვე ყველაფერი იცოდა. მეშინოდა – რადგან პირველი შვილი მოვიცილე, მეორე არ მეყოლება-მეთქი, – მაგრამ გამიმართლა და მაშინვე დაფეხმძიმი. მალე ბიჭი შემეძინა... ჩვენი განშორება დათოსთვის წარმატების მომტანი აღმოჩნდა. საერთო ნაცნობებისგან ვიგებდი ხოლმე, რომ რუსეთში დიდი ქონება დააგროვა და ცოლიც შეირთო – იქ მცხოვრები ქართველი გოგონა. ორი შვილიც ჰყავდა: უფროსი – გოგონა, რომელიც ჩემს ბიჭზე 3 წლით უმცროსი გახლდათ და მისი მომღევენო – ვაჟი. როდესაც გოგონამ სკოლის ასაკს მიაღწია, გადაუწყვეტათ, რომ ბავშვს ქართულ სკოლაში ევლო და ნინო თბილისში, ბებიასთან ჩამოიყვანეს. ეს რომ გავიგე, გამიხარდა და გადავწყვიტე, ჩემი ბიჭიც იმავე სკოლაში გადამიყვანა. ასეც მოვიქეცი. შემდეგ, ჩემს პაატას ნინო დავანახე. ორივენი პატარები იყვნენ, მაგრამ ვცადე, კონტაქტი მაშინვე დაემყარებინათ. პაატა ისე ეფერებოდა ხოლმე ნინოს, როგორც პაწია, ბუნწულა ბავშვს. რომ

წამოიზარდნენ, შემდეგ შეუყვარდა კიდევ. შეუძლებელიც იყო, არ შეყვარებოდა: ნინო ქერა, ლურჯთვალება და საოცარი სილამაზის გოგონა იყო. პაატას აუუკრძალე მასთან მშობლებზე ლაპარაკი. ნინო 16 წლის რომ იყო, პაატა უკვე უნივერსიტეტის სტუდენტი გახლდათ. ნინო სიყვარულში თანაუგრძნობდა, ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ, მე კი შორიახლოს, მალულად მივყვებოდი ხოლმე და მათი ყურებით ვტკბებოდი. ნინოს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ერთხელ მოიტაცეს კიდევ, მაგრამ პაატამ მალე გაიგო ამის შესახებ, უკან დაიღვენა და გოგონა შინ დააბრუნა. ერთ ზაფხულს, ნინო მშობლებთან ჩავიდა (მაშინ ის უკვე 18 წლის იყო). მათთვის გაუმხელია, რომ შეყვარებული ჰყავდა. შემდეგ პაატას დაურეკა და სთხოვა – ჩემს მშობლებს შენი გაცნობა უნდათ და ჩამოდიო. პაატამ სასიამაორო გაიცნო. დათოს მოსწონებია ჩემი შვილი და უთქვამს – ერთი წელი დამაცადე, მერე ზღაპრულ ქორწილს გადაგიხდითო, – მაგრამ აქ რომ დაბრუნდნენ, მე დავაჩქარე – მოიყვანე და მოიყვანე-მეთქი, – რადგან არ მინდოდა, დათოს ჩემი ვინაობა შეეცყო. მართლაც, ერთ დღეს გაიპარნენ და დაქორწინდნენ. ბუნებრივია, დათო მოსკოვიდან ჩამოფრინდა. ბავშვები უკვე შინ მყავდა. ნინოს არაფერს ვაკლებდი, შვილივით ვეფერებოდი და თავიდანვე შემიყვარა. დათოს მოსვლისთვის მოვემზადეთ, სტუმრები მოვიპატიეთ. გული ისე მიცემდა, მეგონა, მოგვედებოდა. კარი ჩემმა მეუღლემ გაუღო (მან არ იცოდა, ვინ იყო დათო). დათოს აურზაური არ აუტეხავს – ბავშვები გადაკონცნა და ბედნიერება უსურვა. შემდეგ, სუფრასთან მიიპატიეს და მეც გამოვიჩნდი. – მამა, გაიცანი, ეს პაატას დედააო, – უთხრა ნინომ და ჩემკენ მოატრიალა. გაოცებისგან სკამზე დაეშვა; ხელი გამომიწოდა – სასიამოვნოა, – ჩაიბურტყუნა... მეც გაოცებული სახე მივიღე, თითქოს ახლა გავიგე, რომ ნინო მისი შვილი იყო... წარსულზე არასოდეს გვისაუბრია. შვილი და სიძე მოსკოვში წაიყვანა, პაატა დაასაქმა. ახლა ჩემი შვილი დამოუკიდებლად უძღვება საქმეს და საცმოდ კარგი შემოსავალიც აქვს. მე და ჩემს მეუღლესაც არაფერს გვიჭირვებს, მაგრამ უკვროს, რატომ არ ვთანხმდები საცხოვრებლად იქ წასვლაზე...“

როდესაც ქალბატონი სალომეს მიერ გამოგზავნილ „მესიჯებს“ კვითხულობდი, საკმაოდ ბევრი კითხვა გამიჩნდა, მაგრამ სამწუხაროდ, გზაჯინილები დაფარული ნომრიდან მოდიოდა და რესპონ-

დენტთან დაკონტაქტება ვერ მოახერხე... ახლა კი, მომდევნო ამბავი. ლელა 19 წლის გახლავთ და უკვე ბევრი გასაჭირის გადატანა მოუწია, თუმცა, საკუთარ კი არა – სადედამთილოს ანგარებას ემსხვერპლა.

„სიკვდილშიც არ გამიმართლა...“

„კამეტი წლის ვიყავი, როდესაც ჩემზე ასაკით უფროს ბიჭს ვუყვარდი. მოტყუებით მანქანაში ჩამსვა და გეზი დასავლეთისკენ აიღო. მე წიოკი ავტეხე, ვტიროდი, ვყვიროდი, ხელჩართული ბრძოლა გაუმართე მასთან და მის მეგობართან, რომელიც საჭესთან იჯდა. ამ ჭიდაობაში, მან საჭე ვეღარ დაიმორჩილა და მცხეთის გზაზე ავარია მოვიხდა. დათო დაიღუპა... მე ძალზე განვიცაღე ეს ამბავი. პანაშვიდზე მისული, დედამისმა შინ არ შემიშვა, – ჩემი შვილის დამღუპველი ხარო... ამ პერიოდში, ჩემს მეზობელ გიორგიზე ვიყავი შეყვარებული. სკოლა რომ დავამთავრე, გაპარვა გადავწყვიტეთ. გუდაურში მიმავლებს, გზად ზვაივი გადაგვეღობა. გიორგიმ თქვა – ცული ნიშანი-აო, – და... უკან დავბრუნდით. მეორედ რომ ვიპარებოდი, მანქანა არ დაიქოქა... სიმართლე რომ ვითხრათ, მის ოჯახს სარძლოდ არ მოეწონდა. საკმაოდ შეძლებული ოჯახის შვილი ვარ, მაგრამ გიორგის დედას ჰყავდა ძალზე მდიდარი დაქალი და სარძლოდ მისი შვილი მოსწონდა... გიორგის ძალიან ვუყვარდი. თქვენ წარმიდგინეთ, ქობულეთში რომ ვისვენებდი, სულ ერთი საათით ჩამოდიოდა თბილისიდან – მნახავდა და შემდეგ უკან ბრუნდებოდა: ვერ რჩებოდა, რადგან დედა გაუბრაზდებოდა... მაშინაც დღეიკოს ბიჭი იყო და დღესაც ასეა. სხვათა შორის, საკმაოდ ცნობილი სპორტსმენია... ერთ დღეს, ქობულეთში რომ ჩამოვიდა, მითხრა: დედაჩემი მაძალბებს, რომ მისი დაქალის შვილი მოვიყვანო ცოლად და რა ვქნაო? მე შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. ჩემთვის უნდა ეკითხა, როგორ მოქცეულიყო?! გაებრაზდი და ხმას აღარ ვცემდი. ორი თვის შემდეგ, შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს და მითხრა: გადავწყვიტე, დღეიკოს „გადავახტე“ და გავიპართო... უარი ვუთხარი. ჩემი მეგობრის დაბადების დღეზე გავიცანი ბესო. ეს ბიჭი სულ ორჯერ მყავდა ნანახი. შემომთავაზა – ტაქსით წავიყვანო. მანქანა გააჩერა და როგორც აღმოჩნდა, ეს ტაქსის კი არა, მისი მეგობარი იყო. კახეთში წამიყვანა. ოთახში ჩამკეტა და წინააღმდეგობა რომ გავუწიე, ტანისამო-

სი შემომახია და ძალა იხმარა. უკან დაბრუნება მინდოდა, მაგრამ მამამისმა ცინიდან შემომითვალა (შავი სამყაროს წარმომადგენელია) – შვილი არ დამიღუპო, თორემ, შურს ვიძიებო. შემეშინდა და დავრჩი. მეორე დღეს, ჩემმა შეყვარებულმა დამირეკა, გათხოვება მომილოცა და მესამე დღეს, თვითონაც ცოლი მოიყვანა – დედამისის შერჩეული გოგონა. ბესოსთან 6 თვე ვიცხოვრე და ძალიან უბედური ვიყავი. ნარკომანი გახლავთ, ისეთი გათიშული მოდიოდა, რომ ჭამის დროს, კოვზი, პირის ნაცვლად, ყურთან ან ცხვირთან მიჰქონდა ხოლმე... წინა კორპუსში მისი საყვარელი ცხოვრობდა და კვირაობით მასთან იყო. ამ ამბავს არც ჩემთან ძალა-ვდა. მე კი დედამთილთან და დედამთილის დედასთან ერთად ვცხოვრობდი და ორივე, სიცოცხლეს მიმწარბედა. ჩემს ქმარს რომ დალატის გამო ვსაყვედურობდი, დედამთილი მეუბნებოდა: უნდა შეეჩვიო – მე ჩემი ქმრის საყვარლებთან ერთად საქეიფოდაც დავდიოდი და კარგ დროს ვატარებდი... დედამისი კი, მცემდა კიდევ. მამაჩემმა სიძეს BMW უყიდა, მეუღლესთან ერთად დასასვენებლად ანტალიაში გამიშვა, ჩემი დედამთილი კი დამემღურა – რატომ მეც არ წამიყვანეთო? თაფლობის თვე მასთან რატომ უნდა გამეტარებინა?! წამლისგან ჩემს მეუღლეს ჰალუცინაციები დაემართა – ხან ეჩვენებოდა, რომ ჯარისკაცები მაკითხავდნენ, ხან – ცხენიანი კაცები, ღამით კისერში თითებს წამიჭერდა და მახრჩობდა ხოლმე. მამამთილი ცინიდან მაშინებდა – რომ წახვიდე, ასე გიზამ და ისეო... არ მადგენენ ტელეფონზე ლაპარაკის უფლებას, რომ ჩემი მშობლებისთვის შემეჩვილა გასაჭირი. რაღაც წამლები დავლიე, რომ მოემკვდარიყავი, მაგრამ სიკვდილშიც არ გამიმართლა: სამი დღე და დამე შეძინა და შემდეგ გავიღვიძე. დედამთილმა რომ მცემდა, ვენები გადავიჭერი და ტუალეტის კარი შეგინდან ჩაკეტე. ვიფიქრე, საავადმყოფოში წამიყვანენ, იქ ჩემი მშობლებიც მოვლენ და ყველაფერს მოუწყვები-მეთქი. დედამთილის დედამ კარი შემომამტვრია და ის კი არ მკითხა – როგორ ხარო? – არამედ – მეზობლებისთვის რა უნდა მეთქვა – ამაზე რატომ არ იფიქრეო?! როგორც იქნა, ჩემებს შევატყობინე ჩემი გასაჭირი და შინ წამიყვანეს. ჩემი ქმარი კარგა ხანს, ვერც კი მიხვდა, მასთან რომ აღარ ვცხოვრობდი. ერთ დღეს, მოვუკითხე ვარ – ჩემი ცოლი სად არისო? – და უთქვამთ – 6 თვის წინ, მშობლებთან დაბრუნდაო. ქმარს რომ გავცილდი, ძველი შეყვარებული შემეხმინა – ცოლად

ვერ მოგიყვან, მაგრამ ჩემი საყვარელი იყავიო... უარით გავისტუმრე. გათხოვების შემდეგ, მიტოვებული სწავლა კვლავ გავაგრძელე. იქ, დედამთილი სინათლის ანთების უფლებასაც არ მამდედა და ბევრჯერ, მობილური ტელეფონის შუქზე ვკითხულობდი ხოლმე წიგნებს. მამაჩემის მოცემულ ფულს კი, სულ ბესო მართმედა და უნივერსიტეტში წასასვლელად, ლარს ხან ერთი მეზობლისგან ვსესხულობდი, ხან მეორისგან... ახლა 19 წლის ვარ. ერთი წლის წინ, გავიცანი ბიჭი, რომელიც შემეყვარა. მისი ოჯახიც მიცნობს. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ორი კვირის წინ გამომიტყდა, რომ სისხლის გათეთრება აქვს... თავხარი დამეცა. დავფიქრდი და მივხვდი, რომ ვერ გავრისკავ მასზე გათხოვებას... ახლა ისეთ აზრზე ვარ, რომ ანგარებით უფრო შევქმნი ოჯახს, ვიდრე სიყვარულით“.

„ვინც მიყვარდა, ცოლად ის უნდა მომიყვანა“...

დაბოლოს, ტრადიციისამებრ, მოკლე მესიჯები:

„ანგარებით გავთხოვდი, მაგრამ ჩემმა ქმარმა მთელი ქონება კაზინოში დატოვა. ახლა ქირით ვცხოვრობ და პურის ფულს ვსესხულობ...“

„უკვე 44 წლის კაცი ვარ და ახლა მივხვდი – ვინც მიყვარდა, ცოლად ის უნდა მომიყვანა. ანგარება მამომრავებდა და ცხოვრებისგან კარგი „საჩუქარი“ მივიღე – ცოლი გამიბოზდა... ახლა რა ვქნა?“

„ერთი ბიჭი მიყვარდა, ცოლად მის ძმაკაცს გავყვევი, რადგან მდიდარი ოჯახის შვილი იყო. დღეს მე ღარიბი ვარ, ჩემი შეყვარებული – ცნობილი და მდიდარი... დმერთი ზემოდან იყურება და ყველას თავისას მიუხდავს. ნინო. ქუთაისი“.

„კარგია, როცა ისეთი ადამიანი შეგიყვარდება, დიდძალი ქონება რომ აქვს, მაგრამ რა დავაშვეთ ჩვენ, საშუალო ფენამ?! ვეღარ უნდა გავთხოვდეთ? აფსუს, კაცებო!“

დღეისათვის, სულ ეს იყო. დასასრულ, ისევ დიდი ილიას სიტყვებს შეგახსენებთ: „კარგი რამ არის ქართველი კაცი: ბელსაც და უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე. არც ერთისთვის გაიხეთქს თავსა და არც მეორისთვის დაიწყებს ბრძოლასა...“ შემდეგი „გზავნილების“ თემად ვთავაზობთ: როდის შეგრცხვით თქვენი საქციელის ყველაზე მეტად? „მესიჯები“ გამოგზავნეთ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გემშვიდობებიო მომავალ ხუთშაბათამდე.

მარი ჯაფარიძე

— ჩერნობილის ატომური ელექტროსადგური რომ აფეთქდა, მაშინ სრულიად ახალგაზრდა ვიყავი. მატერიალურად მიჭირდა, იქ კი, საკმაოდ დიდ ხელფასებს იხდიდნენ და გადავწყვიტე, წავსულიყავი. ჩემი ჯანმრთელობა სასწოროზე შევავადე და სამი თვე, ჩერნობილში გახლდით. შემდეგ, იქვე ახლოს, სხვა სამსახური ვიშოვე და მოხდა ისე, რომ წელიწადი და სამი თვე რადიაციულ ზონაში დავყავი... საქართველოში რომ დავბრუნდი, უნივერსიტეტში ჩავირიცხე და ცხოვრების დინებას მივყევი. 28 წლის ასაკში ცოლი მოვიყვანე. შვილი მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ შეგვეძინა და ისიც მას შემდეგ, რაც მკურნალობა ჩავიტარე. უშვილობის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ რადიაციული ზემოქმედების შედეგად, რაღაც დარღვევები აღმომაჩნდა. ახლა 7 წლის გოგონა მყავს...

— ცოლი სიყვარულით შეერთეთ?

— ეს არ იყო მხოლოდ სიყვარული — გონების დაბინდვამდე მიყვარდა გალინა. რომ გიაგბოთ, დაუჯერებლადაც კი მოგჩვენებოდა... ერთ ჯგუფში ვსწავლობდით. ნაზი და ჰაეროვანი გოგონა იყო. ორი წლის განმავლობაში, ისე მიყვარდა, რომ მისთვის არც გამიმხელია. ვიცოდი, სხვა თავყვანისმცემლებიც ჰყავდა, თავი მათზე უარესი მეგონა და ამის გამო იმედიც გადაწურული მქონდა. მის დანახვაზე მუხლები მიკანკალებდა ხოლმე, ბევრჯერ დამიკოცნია ის მერხი, რომელზეც ის იჯდა. თუ მისი კალამი ან სხვა ნივთი ჩამივარდებოდა ხელში, ტუნებით ვეხებოდი და გულში ვიკრავდი... ერთხელ, შინ მეგობრები მეწვივნენ, მათ შორის გალინაც იყო. მათი წასვლის შემდეგ, მისი ნახმარი თევში და ჩანგალი არ გამიჩვენებია, ჭიქაში კი, ლიმონითი იყო დატოვებული და ყოველდღე, ცოტ-ცოტას მოვსვამდი ხოლმე, თანაც ზუსტად იმ მხრიდან, რომელსაც მისი ტუნები ეხებოდა... ერთხელ, თვითონ დამიმართოხელა და მოულოდნელად, სიყვარულში გამომიტყდა. გამიხარდა, მაგრამ თან შევშინდი... ცოლად რომ მოვიყვანე, ორი თვე ვერ ვეკარებოდი: მემინდა — თითოთი რომ შევხებოდი, საანის ბუშტივით არ გამსკდარიყო ჩემი ბედნიერება... მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ყველაფერი მოწესრიგდა და დღემდე ასე, ჭკუის დაკარგვამდე მიყვარს. მერე კი, საშინელი ამბავი დამემართა...

— თუ სწორად მიგიხვდით, მთავარ სათქმელს მიუახლოვდით...

— დიახ, მართალი ბრძანდებით. ძალიან მიმიძის საკუთარ უბედურებაზე

ზოგჯერ ისეთ სიტუაციას წაანყდები, რომ სახტად დარჩები — გიჭირს შეფასების მიცემა, მტყუნ-მართლის გარჩევა. გამოგიტყდებით, საკმაო ხანს ვიყოყმანეთ კიდეც, სანამ გადავწყვეტდით, ეს ამბავი თქვენს სამსჯავროზე გამოგვეტანა...

ვინც ჟურნალ „გზას“ სისტემატურად ადევნებს თვალყურს, უთუოდ ემასსოვრება ერთ-ერთი ჩვენი რესპონდენტი, ოთო — „კაცი გამოძახებით“... ამ ინტერვიუს გამოქვეყნებიდან, ერთი თვის შემდეგ, რედაქციაში საშუალო ასაკის მამაკაცი გვეწვია და მორიდებით, ოთოს ტელეფონის ნომერი მოხოვა. ბუნებრივია, გამიკვირდა: მანამდე მასთან დასაკავშირებლად, ჩემთვის მხოლოდ ქალებს მოუმართავთ... რომ ჩავეძიე, თავისი გასაჭირი გამანდო:



ზღვარი, რომელსაც სოლ-ქმარი მიუახლოვდა...

საუბარი, მით უმეტეს, რომ ქალი ხართ, მაგრამ სხვა გამოსავალი არა მაქვს: თქვენ ხომ შემპირდით — ამის შემდეგ მოცემით ოთოს ნომერსო?! ხომ ძალაში რჩება ჩვენი პირობა?..

— რა თქმა უნდა...

— მოკლედ, როგორც მამაკაცი, დაუსუსტი, რაღაც ისე აღარ გამოძლიოდა, როგორც წინათ. ბუნებრივია, ძალზე განვიციდი. გალინა მამშვიდებდა, საგანგამო არაფერი, — მეუბნებოდა, მაგრამ მე ხომ ვგრძობდი, რომ ყველაფერი რიგზე ვერ იყო. 7 თვის შემდეგ კი, საერთოდ დაგკარგე ქალთან ურთიერთობის უნარი. სასწრაფოდ მივაკითხე სექსოპათოლოგს, ჩავიტარე გამოკვლევა, დავიწყე მკურნალობა... დღემდე უშედეგოდ ვმკურნალობ. თურმე, ეს ჩერნობილში ხანგრძლივად ყოფნის შედეგია. მდგომარეობა აბსოლუტურად უიმედოა, არაფერი მშველის... ერთ დღეს, გალინამ გამიმხილა, რომ ოჯახის დანგრევას აპირებდა. შოკში ჩავვარდი. მიზეზი, რა თქმა უნდა, ნათელი იყო. იმ დამით ბევრი ვილაპარაკეთ. ვტიროდი, ვევედრებოდი, არ მივეტოვებინე. — აბა, რა ჯნაო? — მკითხა... ბოლოს, მივედი გადაწყვეტილებამდე, რომ მე მოვებნინდი მამაკაცს, რომელიც მას საწოლში პარტნიორობას გაუწევდა, ოღონდ — ერთი პირობით: როდესაც ის მოვიდოდა, მეც შინ, მეორე ოთახში ვიქნებოდი...

— რატომ გადაწყვეტეთ ასე?

— საშინლად ვეჭვიანობდი და არ მინდოდა, რომ ერთმანეთი შეჭყვარებოდათ. მე რომ შინ ვიქნებოდი, არ მივცემდი ერთმანეთთან საუბრის, კართობის უფლებას...

— გალინა დაგთანხმდათ?

— ჯერ იყოყმანა, მაგრამ შემდეგ დამთანხმდა. დავიწყე ისეთი კაცის ძებნა, რომელიც გარეგნობით ჩემზე ნაკლები იქნებოდა, თან, ჩვენს პირობებზე დავთანხმდებოდა... უკვე 5-6 თვეა, კანდიდატებს ვარჩევ, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე. თქვენს ჟურნალში რომ წავიკითხე ინტერვიუ ოთოსთან, ცოლსაც წავაკითხე და გადავწყვიტეთ, დანხარება მისთვის გვეთხოვა.

— მასზე არ იტყვიანებთ?

— არა. ის პროფესიონალია, უამრავი კლიენტი ჰყავს და რაღა ჩემი ცოლი შეუყვარდება?! ჰოდა, როცა ის მოვა ხოლმე, მე შინიდან მშვიდად წავალ და არ შემეშინდება, რომ ცოლს წამართმევს...

რესპონდენტს მიცემული პირობა შეუუსრულე. ემყოფილმა დატოვა რედაქცია და უამრავი კითხვა დავგიტოვა: მართლაც, გამოსავალია ის გადაწყვეტილება, რომლის გადადგმას ცოლ-ქმარი აპირებს თუ ისინი მიუახლოვდნენ რაღაც ზღვარს, რომლის იქითაც ნაბიჯის გადადგმა არ შეიძლება? ვინ უფრო სცოდავს — ქალი თუ მამაკაცი? მოუტანს თუ არა მათ ეს შევებას?.. თქვენ როგორ ფიქრობთ? მოგვეწერეთ.

რამდენიმე დღეა, რაც პოპულარულმა მომღერალმა და არშემდგარმა პოლიტიკოსმა დათო ხუჯაძემ გააფრცვლა ინფორმაცია, რომ კვლავ მოსკოვში წასვლასა და კარიერის იქ გაგრძელებას აპირებს. ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ მომღერალს თემურ ნიკოლაიშვილის სტუდიაში ვესტუმრეთ, სადაც იგი თითქმის მთელ თავის შემოქმედებას რუსულ ენაზე თარგმნის, რათა რუსულენოვანი ალბომი გამოუშვას. გაიქცა თუ არა „ვარდების რევოლუციის“ დროს დათო ხუჯაძე პარლამენტის შენობიდან პირველი? და აპირებს თუ არა კვლავ პოლიტიკოსობას? ამ შეკითხვებზე თავად მომღერალი გვიპასუხებს.



ლაფერს მპირდებოდნენ, მერე კი, პირობა არ შეასრულეს, ამიტომ ჩვენი ხელშეკრულება გაუქმდა. თუმცა მათთან ყოფნის დროს, რამდენიმე სიმღერა ჩავწერე.

— მათთან ყოფნის დროს, მულტიპლიკაციური კლიპიც გადაიღე, რომელიც რატომღაც თაროზე შემოიღო. რატომ არ დატრიალდა ეკრანზე?

— მართალია, მაგ სიმღერას ჩემს მენეჯერთან, მიკასთან ერთად ვასრულებ. კლიპი კი თაროზე იმიტომ შემოიღო, რომ არ მომეწონა. ესეც თანხის გამო მოხდა „5 ლაინსმა“ არ გადაიხადა იმდენი, რამდენიც საჭირო იყო. მერე კი ოთხი ასეთი ჟანრის კლიპი გამოვიდა და ხალხის ამბავი ხომ იცი? იტყოდნენ — სხვას მიჰბაძაო! ამიტომ მიჩვენია, იქ იღოს, სადაც ღევეს...

— რა შეგიძლია თქვა დღევანდელ ქართული შოუბიზნესზე?

— დღეს საქართველოში დიდი გაჭირვებაა. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, რომ ჩვენი შოუბიზნესი აუვაკუბული იყოს. ეს არც მუსიკოსებს და არც მაყურებლების ბრალი არ არის, სახელმწიფოს ბრალია. თორემ, პოტენციალი რომ გვაქვს და ნიჭიერი ხალხი რომ ვართ, ეს ყველამ იცის. თუ ჩვენს ქვეყანაში რაიმე შეიცვლება, შოუბიზნესსაც სულ სხვა ელფერი მიეცემა და წინ წაიწვეს. დღეს კი, საქართველოში თავისი შრომით ვერც ერთი მუსიკოსი თავს ვერ შეინახავს, თუ რაიმე არ იმაიბუნა. ვისაც მაიბუნობა არ გვინდა, ვცდილობთ, რაც ვიცით, ის ვაკეთოთ.

— ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნე, რომ ბევრს გაუხარდება საქართველოდან შენ წასვლა. ვინ იგულისხმე და რატომ ფიქრობ ასე?

— არის ადამიანების კატეგორია, ვისაც ეს ამბავი ძალიან გაახარებს. ყველამ კარგად იცის, რა გადატრიალე-

ჯასონ ხუჯაძე რუსულენოვანი ალბომის, რუსულენოვანი პარლამენტის შენობიდან პირველი? და აპირებს თუ არა კვლავ პოლიტიკოსობას? ამ შეკითხვებზე თავად მომღერალი გვიპასუხებს.

ბასნიდჟაფთაჟჟლი დჟაბის მუსახსებ

ნათია ქვიციანი

— მოსკოვის ერთ-ერთი სტუდიისგან (რომელსაც ჯერ ვერ დავასახელებ) მაქვს შემოთავაზება. როგორც კი ყველა სიმღერას რუსულ ენაზე ჩავწერ, მოსკოვში გავემგზავრები, სავარაუდოდ — თებერვლის ბოლოს. ეს კომპანია გამიწვევს პროდიუსერობას, გამოუშვებს ჩემს რუსულენოვან ალბომს.

— ქართულ ესტრადაზე აღარ იმღერებ?

— ბუნებრივია, ქართულ კონცერტებ-

ში მონაწილეობას მივიღებ, თუ ვინმეს ამის სურვილი გაუჩნდება და მომიწვევს. ძირითადად კი, მოსკოვში განვაგრძობ კარიერას.

— სულ ცოტა ხნის წინ, შენ და „5 ლაინს ფროდაქშენმა“ განაცხადეთ, რომ გააფორმეთ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, უამრავ სიურპრიზს დაგვპირდით. რატომ არ შეგვისრულებთ დანაპირები?

— ეს ამ კომპანიის ბრალია. ასეთე-ბი ვართ ქართველები — თავიდან ყვე-

ბურაგინოს მეგობარი კუ	ტკბილი საკვები ნივთიერება	მეგალის ჭურჭელი წყლისთვის	მოხეგიალე ცირკის კარავი	პომიდურის საწებელი	არქიმელ მშობლიური		
ბისკვიტიანი ნამცხვარი	თამარ მეფის ვაჟი ...-გიორგი	ქარის მოგანილს ... წაიღებსო	ალამი	3,14	იგალიელი კინოკომპოსი	ფრანგი იმპრესიონისტი ანრი ...	ეკვიპტელთა ღმერთი

ბაც მოხდა. რატომღაც ყველამ ისე ჩათვალა, რომ რადგან მაშინდელ აქციებზე გარეთ არ ვიდევნი, ე.ი. ერის მოლაპარაკებელი ვარ. ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ჩემში ღალატით არ არის. ადამიანს ერთ-ერთი ვაფასებ. უბრალოდ, ეს ასე მოხდა.

— შენი პოლიტიკური კარიერა ამით დასრულდა? „აღორძინების კავშირში“ აღარ ხარ?

— არ ვიცი, ვერაფერს ვეტყვი — არც მე შევხშიანებივარ და აღარც იმით გამოუჩენიათ ინციპიატივა. ვნახოთ, რა მოხდება. ისე კი, პოლიტიკა ჩემი ინტერესების სფეროში აღარ შედის. პოლიტიკის გარეშეც ის ვარ, ვინც აქამდე ვიყავი და ისევ ის ვიქნები. არა ვარ იმ კატეგორიის ადამიანი, ვინც რაღაცადან გამოძლინარე არის ვიღაცა.

— ამბობენ — როცა ხალხი პარლამენტში შეიჭრა, დათო ხუჯაძე პირველი გაიქცაო...

— სწორედ მაგის მთქმელ ხალხს გაუხარდება ჩემი აქედან წასვლა. დათო ხუჯაძე პირველი არც არსად გაქცეულა და არც არსად გაიქცევა. დარბაზში რომ სკამებისა და ბოთლების სროლა დაიწყეს, მხოლოდ მაშინ გავედით ყველანი გარეთ და პირდაპირ სტუდიაში წამოვედი. იქ მე არავინ შემომვარდნია. ვისაც შეუცვივდნენ, ის ნამდვილად პირველი გაიქცა.

— ხომ არ ნანობ, რომ საერთოდ პოლიტიკაში წასვლა გადაწყვიტე?

— აბსოლუტურად არაფერს ვნანობ, რადგან ნებისმიერი ადამიანი, თუნდაც შოუბიზნესის წარმომადგენელი, იმ წინადადებების გამო, რაც მე შემომთავაზეს, ნამუსზე ხელს აიღებდა... ბევრს შურდა ჩემი, რადგან 28 წლის პოპულარული მომღერალი პარლამენტში ვიჯექი. თუ კიდევ ვინმე რაიმეს შემომთავაზებს, უარს არ ვიტყვი (იცინის)... იქ მხოლოდ ჩემ გამო არ ვიყავი. კარგად ვიცი, მუსიკოსს

რა პრობლემებიც აწუხებს. სხდომაზე დავსვამდი საკითხს, რომ ამ პრობლემების გადასაწყვეტად რაიმე კანონი მივლეთ. კანონის მიღებაში კი, არაფერი გამეგება, მაგრამ პრობლემა ხომ გადაწყდებოდა და ყველა მუსიკოსი ამოისუნთქავდა?! ხალხმა ეს რატომღაც ვერ გაიგო. მათ ეგონათ, რომ პარლამენტში მხოლოდ საკუთარი თავის გამო წავედი.

— სააკაშვილმა რომ „ნაციონალებში“ განწევრება და საქართველოში დარჩენა შემოგთავაზოს, რას იზამ?

— ჯერ ერთი, არ შემომთავაზებს, მეორეც, არ დავრჩები. მოსკოვზე უარს არავითარ შემთხვევაში არ ვიტყვი, რადგან საქართველოს დიდი ხანია ვუმღერი, მაგრამ არ დამიფასდა. თავმოყვარეობა მაქვს და მათხოვრობას ვერავის დავუწყებ. სადაც ოჯახის შენახვის პირობები მექნება, იქ ვიქნები, თორემ, არავისზე ნაკლები პატრიოტი არ ვარ. ქართველებს ვეტყვი, რომ ქართველობა, მამულიშვილობა და პატრიოტიზმი არ დაივიწყონ. დღეს ყველაფერს ისე ცვლიან, რომ ხალხს არ ეკითხებიან. მთლიანობაში, არ მომწონს ის, რაც საქართველოში ხდება. ყველანაირი რევოლუციის წინააღმდეგი ვარ, რადგან რევოლუცია უკვე ძალადობას ნიშნავს, ხოლო ძალადობა ყოველთვის შობს ძალადობას...

— ისევ შენს კარიერას დავუბრუნდეთ. ახალს თუ აკეთებ რამეს?


— ვწერ ღუეტს ერთ პიროვნებასთან ერთად, რომლის ვინაობასაც ჯერ არ გავამხელ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ის ადამიანი მომღერალი არ არის და ვეცდები, კარგად ავამღერო. სიმღერით ტექსტიც და მუსიკაც ჩემია. კლიპსაც გადავიღებთ. ასევე, ჩავწერე რამდენიმე რუსულენოვანი სიმღერა.

— როგორც ცნობილია, დიანა ღურნკაიასთანაც ჩაწერე ღუეტი. რატომ არ ტრიპალებს ქართულ ეთერში?

— დიანასთან ღუეტი მართლა ჩავწერე და მოსკოვში ტრიპალებს კიდევცაქ კი, რაც აქამდე მქონდა ჩაწერილი, იმასაც აღარ ატრიპალებენ — ასე „ვუყვარვარ“ ხალხს... მათთან ჩხუბის ნერვები არა მაქვს. მირჩევენია, ეს ნერვები ისევ ჩემს კარიერას მოვახმარო.

— ჩვენს ჟურნალში არსებული რუბრიკაში — „მარჩიელი“ — ითქვა, რომ 2004 წელი დათო ხუჯაძის დაოჯახების წელი იქნებაო...

— იმის პირს შაქარი (იცინის)! ჯერჯერობით, პერსპექტივაში მსგავსი არაფერი მაქვს, მაგრამ რადგან მარჩიელმა ასე თქვა, ე.ი. რაღაც მოხდება...



დარბაზში რომ სკამებისა და ბოთლების სროლა დაიწყეს, პირდაპირ სტუდიაში წამოვედი

ბი	მოსეკვავეთა კოლექტივი	... შიგნიდან გყდებაო	ქალაქი ...-ანჯელესი	... ფული, ... სული	... და არა ... რა	თხილის ჯოხი, რომელსაც საახალწლოდ თლიან	მდინარე დასავლეთ საქართველოში
... სამარე ...	„ვუზ ... ახალ საქართველოს“	სწრაფი სენანის ჭადრაკში	რაიმე საქმის ოსტატი	ფარის წინამძღოლი	მჭლე ხორცი	სამშენებლო მასალა	ქალაქი რაჭაში

შორენა მერკვილაძე

„საღვთო წერილი“ ეწოდება იმ წიგნებს, რომელიც სულიწმიდის კარნახითაა დაწერილი. ამ წმინდა წიგნების კრებულს ქართულად „დაბადება“ ეწოდება. ეს სახელი აღებულია, „საღვთო წერილის“ პირველი წიგნის შინაარსიდან, რომელშიც მოთხრობილია ისტორია, ხილული და უხილავი ქვეყნის შექმნისა და ადამიანის გაჩენისა. ბერძნულად „საღვთო წერილს“ ეწოდება „ბიბლია“. ეს სახელწოდება სშირად გამოიყენება ქართულადაც.

როგორ იწერებოდა „საღვთო წერილი“?

„საღვთო წერილი“ დაწერილია სულიწმიდის კარნახით, ღვთივგაბრძობილ ადამიანთა – წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მიერ, ე.ი. ღვთისგან გამორჩეულ და განათლებულ ადამიანთაგან. ასეთები, „ძველი აღთქმის“ დროს, წინასწარმეტყველნი იყვნენ, „ახალი აღთქმის“ დროს – მოციქულები. ისინი გამუდმებული ლოცვა-ვედრებით ემსახურებოდნენ ღმერთს, ამიტომაც იყო მათზე დავანებული სულიწმიდა და ღმერთი მათ ხშირად აუწყებდა თავის წმინდა ნებას, რასაც შემდეგ, ადამიანებს უქადაგებდნენ. აქედან გამომდინარე, „საღვთო წერილი“ არის ღვთის სიტყვა, ღვთის ნება და ბრძანება, წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მიერ გადმოცემული.

რამდენი წიგნისგან შედგება „საღვთო წერილი“?

„საღვთო წერილი“ შედგება 77 წიგნისაგან (ეს წიგნები შესულია „ბიბლიაში“ – „ძველ აღთქმაში“ და „ახალ აღთქმაში“). „ძველი აღთქმის“ წიგნებია: „დაბადება“; „წიგნი გამოსვლათა“; „ლევიტელთა“; „რიცხვთა“; „მეორე სჯულის“; „ისუ ძისა ნივეის“; „მსაჯულთა“ და სხვა. „ძველი აღთქმა“ სულ 49 წიგნისგან შედგება. რაც შეეხება „ახალ აღთქმას“ – მასში შედის ოთხი „სახარება“: „სახარება მათეის“; „სახარება მარკოზისა“; „სახარება ლუკასის“; „სახარება იოანესი“. „ახალ აღთქ-

რა უნდა გიცოდეთ „საღვთო წერილთან“ დაკავშირებით?



მაში“ შედის აგრეთვე მოციქულთა საქმეები: „საქმე წმიდათა მოციქულთა“; „ეპისტოლე იაკობისა“; „პირველი ეპისტოლე პეტრესი“; „მეორე ეპისტოლე პეტრესი“ და სხვა.

რაგომ არის „საღვთო წერილი“ გაყოფილი „ძველ აღთქმად“ და „ახალ აღთქმად“

„ძველი აღთქმის“ წიგნები ეწოდება იმ წიგნებს, რომელიც დაწერილია ქრისტეს მოსვლამდე, სხვადასხვა დროს (1600-400 წ.წ. ქრისტეშობამდე). „ახალი აღთქმის“ წიგნები დაწერილია ქრისტეშობის შემდეგ (42-100 წ.წ.) მოციქულთაგან.

„ძველი აღთქმის“ და „ახალი აღთქმის“ წიგნები შინაარსით განიყოფება ოთხ ნაწილად: „წიგნები სჯულდებითნი“; „წიგნები ისტორიულნი“; „სწავლ-

ბითნი ანუ მოძღვრებითნი წიგნნი“ და „წიგნები წინასწარმეტყველებითნი“.

„წიგნები სჯულდებითნი“ შეიცავს სარწმუნოებრივი ცხოვრების ძირითად კანონებს. „ძველი აღთქმის“ წიგნებიდან, ამ ნაწილს შემდეგი წიგნები ეკუთვნის: „წიგნი მოსესი“; „დაბადება“; „გამოსვლათა“; „ლევიტელთა“; „რიცხვთა“ და „მეორე სჯულისა“; „ახალ აღთქმაში“ – ოთხივე „სახარება“.

„წიგნები ისტორიულნი“ შეიცავს ისტორიას ღვთისა და კაცთა შორის დაღებული აღთქმისას. „ძველ აღთქმაში“ ასეთი წიგნებია: „ისუ ძისა ნავეისი“; „მსაჯულთა“; „რუთისა“; ოთხი წიგნი „მეფეთა“; ორი წიგნი „ნეშთა“; ორი წიგნი „ეზრასი“; „ნემედასი“; „ტობიასი“; „ივდიითისა“ და 3 წიგნი „მაკაბელთა“; „ახალ აღთქმაში“ ისტორიული მხოლოდ ერთი წიგნია – „საქმე მოციქულთა“.

„სწავლბითნი“ ანუ „მოძღვრებითნი“ წიგნები შეიცავს სწავლამოძღვრებას სჯულის, ზნეობის და კეთილმსახურების შესახებ. „ძველ აღთქმაში“ – „წიგნი იობისა“; „დავითნი“; „იგავნი სოლომონისნი“; „ეკლესიასტე“; „ქება ქებათა“; „სიბრძნე სოლომონისა“; „სიბრძნე ისუ ძისა ზირაქისა“ და მესამე წიგნი „ეზრასი“; „ახალ აღთქმაში“ სწავლა-მოძღვრების წიგნებად ითვლება „მოციქულთა ეპისტოლენი“.

„წიგნები წინასწარმეტყველებითნი“ შეიცავს წინასწარმეტყველებებს ქრისტეზე, მის სასუფეველსა და ახალი აღთქმის ეკლესიაზე. „ძველ აღთქმაში“ წინასწარმეტყველებითი არის თექვსმეტი წიგნი; „ახალ აღთქმაში“ ერთი წინასწარმეტყველებითი წიგნია – „გაცხადება იოანე ღვთისმეტყველისა“.

რომელ ენაზე დაიწერა პირველად „საღვთო წერილი“?

„ძველი აღთქმის“ „საღვთო წერი-

—ქრისტიანული—
რეფორმის



ლის“ ყველა სავალდებულო წიგნი („საღვთო წერილის“ წიგნები განიყოფა ორ ნაწილად – სავალდებულო და კერძო წიგნებად) დაწერილია ებრაულად, რადგან ამ ენაზე ლაპარაკობდნენ დამწერნიც და ისინიც, ვისთვისაც დანიშნული იყო ეს წიგნები. ბაბილონის 70-წლიანი ტყვეობისას, ებრაელებმა დაივიწყეს წმინდა ებრაული ენა. ებრაულ ენაში ბევრი ქალღეურობა და არამეული სიტყვა შეიტანეს, ამიტომ ბაბილონის ტყვეობამდე დაწერილი წიგნები დაწერილია წმინდა ებრაული ენით, შემდგომი პერიოდის წიგნები – შერეული ქალღეურო-ებრაული ენით. „ძველი აღთქმის“ კერძო წიგნები კი, დაწერილია ბერძნულ ენაზე – გარდა „მაკაბელთა“ პირველი წიგნისა (დაწერილია ებრაულად) და „ეზრას“ მესამე წიგნისა, რომელიც დაწერილია ლათინურად.

„ახალი აღთქმის“ წიგნები, „მათეს სახარების“ გარდა, დაწერილია ბერძნულ ენაზე (ბერძნული ენა, რომლითაც ეს წმინდა წიგნებია დაწერილი, განსხვავდება კლასიკური ბერძნული ენისგან; ამ ენაში ბევრია ებრაული და არამეული სიტყვა. ბერძნულ ენას, რომლითაც „საღვთო წერილი“ დაწერილი, ეწოდება ალექსანდრიული დიალექტი (კილო).

რა მასალაზე იწერებოდა „საღვთო წერილი“?

როგორც „საღვთო წერილიდან“ ჩანს, საწერ მასალად ებრაელები ქვას, ხეას და ლითონს იყენებდნენ. ამის შესახებ მინიშნებულია შემდეგ წიგნებში: „გამოსვლათა“ (31, 18); „მეორე შჯული“ (27, 1-9); „ისუ ნავე“ (8, 32); „იობისა“ (19, 24). მაგრამ ქვაზე, ლითონსა და ხეზე იწერებოდა მხოლოდ მოკლე გამონათქვამები. მთლიან ტექსტს – მოთხრობებსა და ამბებს ებრაელები წერდნენ ეტრატზე, რომელიც მზადდებოდა საქონლის ტყავისგან, ასევე იწერებოდა პაპირუსზე – ეგვიპტური ლერწმის ფურცლებზე. პაპირუსის ფურცლები ეტრატისნაირი გამძლეობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ადვილი იყო ერთი ადგილიდან მეორეზე გადასატანად. ეტრატი და პაპირუსი, რომელზეც „საღვთო წერილის“ ტექსტს წერდნენ, გასანთლული იყო. ორივე მათგანზე წერდნენ წვეტიანი ჩხირით, რომელსაც საწერელი ეწოდებოდა. წერდნენ მხოლოდ ერთ გვერდზე. ეტრატი და პაპირუსი მიმავრებული იყო ჯოხზე და შემდეგ, ამავე ჯოხზე იყო დახვეუ-

ლი, რასაც გრაგნილი ანუ ხვეული ეწოდებოდა.

„საღვთო წერილის“ ებრაული ტექსტი ბეჭდვის შემოღებამდე, ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. გადაწერისას, ყოველთვის მოსდიოდათ შეცდომები – მხედველობითი თუ მეხსიერებითი. მაგალითად, შეიძლება, გადამწერს ერთმანეთის მსგავსი ასოები არეოდა, გამოეტოვებინა ან გაემორებინა მნიშვნელობით ერთმანეთის მსგავსი სიტყვები. თუ გადამწერი კარნახით წერდა, ასეთ შემთხვევაში, ხშირად მოსდიოდა სმენითი შეცდომა – ის კარგად ვერ გაიგონებდა სიტყვას და ერთის მაგივრად, სხვას დაწერდა. მაგრამ ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გადამწერი განზრახ უშვებდა შეცდომებს, რათა დაემახინჯებინა და შეერყვნა წმინდა ტექსტი.

ებრაელებში მრავლად იყო სწავლული ადამიანი, რომელმაც კარგად იცოდა „საღვთო წერილი“. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ „საღვთო წერილის“ წიგნების შეურყენელად შენახვას. მას ინახავდნენ მოძრავი ტაძრის წმიდათაწმიდაში. მღვდელმთავარნი, წინასწარმეტყველნი და სხვა, ღვთისგან რჩეული და განსწავლული ადამიანები ხშირად კითხულობდნენ „საღვთო წერილს“ და თუ რაიმე შეცდომას იპოვებდნენ, აუცილებლად გაასწორებდნენ.

ამასთანავე, ებრაელებში იყვნენ სოფერიმები (სწავლული კაცები), რომლებმაც ზედმიწევნით იცოდნენ „საღვთო წერილი“. მათ შეადგინეს წესები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაეწერათ „საღვთო წერილი“ – რა ფორმისა და ზომის უნდა ყოფილიყო ეტრატი, რომელზეც წიგნები დაიწერებოდა და სხვა. გარდა ამისა, გადამწერი აუცილებლად უნდა ყოფილიყო მორწმუნე ებრაელი, წერაში კარგად დახელოვებული და ა.შ.

ყოველივე, რაც სწავლულმა ებრაელებმა „საღვთო წერილის“ წიგნების დასაცავად შემოიღეს, შეადგენს მაზორას ანუ ზღუდეს, რომლითაც შეზღუდული იყო „საღვთო წერილი“. მაზორეტები ანუ ტექსტის სიწმინდის დამცველნი შენიშვნებს წერდნენ წმინდა ტექსტების თავში ან ბოლოში – ამას ეწოდებოდა დიდი მაზორა. მცირე შენიშვნები კი, იწერებოდა ტექსტის შუაში – ამას ეწოდებოდა მცირე მაზორა. ამჟამინდელი ებრაული „დაბადება“ წარმოადგენს იმ ტექსტებს, რომელიც მაზორეტებმა შეასწორეს.

სიტყვა ჩემი ვერ დაეტევის თქვენს შორის – იესომ უთხრა იუდეველებს, რომელთაც მისი გაგება და შეფასება არ შეეძლოთ.

„სახარება იოანესი“, 8, 37

მე არ გამომიჭედავს ჩემი ფრთები ოქროსაგან, მაგრამ პარნასის მწვერვალზე მაინც აველი.

მაინ რიდი

არ შეიძლება იყოს რაიმე კომპრომისი სიკეთესა და ბოროტებას, სიმართლესა და სიცრუეს, პროგრესსა და რეგრესს შორის.

ჯუ ზეპე მაძინი

სიყვარული, მეგობრობა ერთიმეორის თვალბეჭდვაში ცქერა კი არ არის, არამედ ერთი მიზნისაკენ ცქერა.

ანტუან სენტ-ეგ ზიუპერი

არსებობს სულიერი ბედნიერების ორი სახეობა: სულის სიმშვიდე (სუფთა სინდისი) და ყოველთვის მხიარული გული. პირველი შედეგია უდანაშაულობის შეგნებისა, მეორე – ბუნების საჩუქარია.

იმანუელ კანტი

შეზღუდულ ადამიანთა სურვილი ისაა, რომ მათზე ძალა არაყინ იყოს.

კლოდ პელეგეიუსი

დათესეთ საქციელი და მოიმკით ჩვევას; დათესეთ ჩვევა – მოიმკით ხასიათს; დათესეთ ხასიათი – მოიმკით ბელს.

უილიამ თევერი

ისტორიულმა ბედუკულმართობამ მრავალ ქართველ მამულიშვილს არგუნა სამშობლოდან მოშორებით ცხოვრება-მოღვაწეობა. მათ შორის იყო ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკიც — უფროსი ძე მეფე-პოეტ არჩილ მეორისა (1647-1713 წწ.) და თეიმურაზ პირველის შვილი-იშვილის, ქეთევან დავითის ასულისა.

ისტორიკოს ვლადიმერ ტატიშვილის გადმოცემით, ალექსანდრე ბატონიშვილი მკვირცხლი ხასიათის ახალგაზრდა იყო. მას ღია, ფართო შუბლი, მკვეთრად მოხაზული ნიკაპი და მედგარო, ენერგიული გამოსხედევა ჰქონდა; მოსილი იყო ხუჭუჭა მოშავო ნაბლისფერი თმით, რომლის კულულები ლაღად სცემდა მხრებამდე...



ალექსანდრე ბატონიშვილი — 100 კასრ ოქროდ შეფასებული უფლისწული

ნათია უსუბური

ალექსანდრე ბატონიშვილი 10 წლის ჭაბუკი იყო, როდესაც მამამისმა იმერეთის (1661-1663 წწ.), კახეთისა (1664-1675 წწ.) და ხანგამოშვებით, კვლავ იმერეთის (1678-1679; 1690-1691; 1695-1696 და 1698 წწ.) მეფემ ის მოსკოვისაგან ქმედითი დახმარების მიღების გარანტიად, საიმპერატორო კარზე მიაგლინა.

ქართველ ბატონიშვილს აღმზრდელად მიუჩინეს თავადი ვასილი გოლიცინი, ფრიად განათლებული და გავლენიანი პიროვნება. ამაზე უკეთეს მფარველსა და პედაგოგს არჩილ მეფე თავისი შვილისათვის ვერც ისურვებდა. მასთან დაახლოებამ ალექსანდრეს საშუალება მისცა, ახლოს გასცნობოდა რუსეთის ინტელიგენციას. აღმზრდელთან სტუმრად მისული ახალგაზრდა ჭაბუკი ხშირად ხდებოდა მსმენელი და უშუალო მონაწილე საუბრებისა: მწერლობაზე, მეცნიერებაზე, ხელოვნებაზე, სასტამბო საქმეზე, გაზეთებზე, სკოლებზე. ყოველივე ეს, ბუნებისაგან ნიჭიერებით უხვად დაჯილდოებულ ბატონიშვილს საშუალებას აძლევდა, ზიარებოდა ევროპულ ცივილიზაციას და დაფიქრებულიყო საქართველოს სამეცნიერო-კულტურული წინსვლისათვის საჭირო რეალურ გზებზე.

ალი წინსვლისათვის საჭირო რეალურ გზებზე.

ალექსანდრე არჩილის ძემ რუსეთის ხელმწიფესთან პირველი დარბაზობისთანავე მიიპყრო ახალგაზრდა იმპერატორის პეტრე პირველის ყურადღება. ახოვანი გარეგნობისა და ვაჟკაციური ბუნების ქართველ მეფისწულში რუსეთის მბრძანებელმა იმთავითვე მეგობარი და თანამოაზრე შეიცნო. მეფური შთამომავლობის ეს ორი ახალგაზრდა მოკლე დროში დაუახლოვდა ერთმანეთს. ისინი ერთად იყვნენ სამხედრო წვრთნისა და გართობა-თამაშის დროს. ალბათ, ამიტომაც, პეტრესთან ერთად მყოფმა ალექსანდრე ბატონიშვილმაც, მეფის ასულ სოფიასაგან „შვითისთავის“ სახელი დაიმსახურა. ორი მეგობრის ურთიერთობა მხოლოდ ამით როდი შემოიფარგლებოდა — ბაგრატიონ-იმერეტინსკი რუსეთის სამეფო კარზე გამართულ თითქმის ყველა ღონისძიებაში, ოფიციალურ შეხვედრა-მოლაპარაკებასა და საზეიმო ნადიმში მონაწილეობდა.

მომხიბლავი გარეგნობითა და პიროვნული ღირსებებით დაჯილდოებული ალექსანდრე ბატონიშვილის ავტორიტეტი დღითი დღე იზრდებოდა საიმპერატორო კართან დაახლოებულ პირთა

შორის. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ იმერეთის ტახტის მემკვიდრე მისი ღირსების შესაბამისი პატივით იყო გარემოცული, ქართველ მეფისწულს არ ტოვებდა სამშობლოსთან განშორების სევდა.

ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი მამა არჩილ II არ კარგავდნენ იმედს, რომ დადგებოდა ის ნანატრი დრო, როდესაც რუსეთის სამხედრო და ფინანსური დახმარების წყალობით შეძლებდნენ მაჰმადიანურ სახელმწიფოთა კლანჭებისაგან სამშობლოს გამოხსნასა და კუთვნილი სამეფო ტახტის დაბრუნებას.

1685 წელს კი, არჩილ მეფემ ოჯახით მოსკოვში დასახლების უფლება მიიღო. ისტორიკოსი ვლადიმერ ტატიშვილი რუსეთის სატახტო ქალაქში მიმავალი ქართველი მეფის პოლიტიკურ მიზნებს ასე გადმოგვცემს: „არჩილი როდი ფიქრობდა, საშუალოდ დაეტოვებინა შვილები მოსკოვში; თვითონ მოსკოვში მიისწრაფოდა მხოლოდ იმისთვის, რომ პირადად შეხვედროდა რუსეთის მმართველ თავკაცებს და მათი მეოხებით განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა. როგორც ქართველთა, ისე ირანელთა თვალში არჩილს სჭირდებოდა, რომ მოსკოვს საქვეყნოდ, ოფიციალურად ეცნო იგი თუნდაც მხოლოდ იმერეთის მეფედ. თუმცა მას კახეთის და ქართლის ტახტის დაჭერის სრული უფლებაც ჰქონდა“.

ალექსანდრე ბატონიშვილი და არჩილ II კარგად იყვნენ ინფორმირებულნი იმხანად რუსეთის სატახტო ქალაქში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ. მათ არ გამოჰპარვიათ 1684 წელს, ავსტრიელი ელჩის, ბარონ ბლუმბერგის მოსკოვში ჩასვლის ამბავი. ეს უკანასკნელი რუსეთის ხელისუფალთ თურქთა წინააღმდეგ ერთობლივი გამოსვლისაკენ მოუწოდებდა. „თურქეთმა დაკარგა თავისი წინანდელი ძალა და ძლიერება, — ამბობდა ბლუმბერგი. — თურქები სამარცხენოდ გარბიან. დაჰკრა მათი დაღუპვის საათმა. რუსებს ეძლევათ ხელსაყრელი შემთხვევა — გაიკაფონ გზა შავი ზღვისაკენ. მთელი საბერძნეთი და აზია თქვენ მოგვლით. დადგა დრო ყირიმზე გალაშქრებისა. თქვენ უნდა აიძულოთ ყირიმელი თათრები, რომელთა მტაცებლური თავდასხმებისაგან იტანჯებიან ხალხები, პატივი სცენ თქვენს სახელმწიფოს...“

ამ ამბავმა ქართველ მამულიშვილთ სამშობლოს ხსნის იმედი გაუღვიძა. აღნიშნულ საქმეში ისინი ხომ, რუსეთის ბუნებრივი მოკავშირენი იყვნენ. მაგრამ იმედი იმედად რჩებოდა — მოსკ-

ოვი ღუმდა. ის თითქოს რაღაცას ელოდა – ალბათ, საკუთარ სამხედრო ძალებს ზოგავდა.

პატრიოტი მამა-შვილის გულში კიდევ ერთხელ გაიელვა მუსლიმანთა ბატონობისაგან სამშობლოს გათავისუფლების, შინაური შუღლის მოგვარებისა და იმერეთის ტახტზე დაბრუნების იმედმა. მათ გულში ამ გრძნობის აღმოცენება გამოიწვია საქართველოდან მოსკოვში არქიმანდრიტ ლავრენტის ჩასვლამ. მას არჩილ მეორის ძმის, ქართლის მეფის, გიორგი მეთერთმეტის წერილი ჩაუტანია. ქართლის მეფე უფროს ძმას, მაჰმადიანთა წინააღმდეგ ერთობლივი ძალებით მოქმედებას სთავაზობდა და სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდებდა. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ დროს ყალიბდებოდა პოლონეთის, ვენეციისა და რუსეთის კოალიცია თურქთა წინააღმდეგ...

არჩილ მეფე და მისი შვილები (ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილები) საქართველოში გამომგზავრების თადარიგს შეუდგნენ.

რუსეთის სამეფო კარი ჯეროვნად აფასებდა არჩილ მეორისა და ალექსანდრე ბატონიშვილის ნიჭსა და უნარს. ამიტომ ისინი მოსკოვის მესვეურთ სამხრეთის პრობლემის მოგვარების საქმეში საჭირო ადამიანებად მიაჩნდათ. ამაზე მეტყველებს არჩილ მეფისა და მისი შვილების პატივსაცემად გამართული შთამბეჭდავი აუდიენცია, რომელიც ქართველთა დასაჩუქრებით დასრულდა.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, საიმპერატორო კარმა არჩილ მეფეს მხოლოდ ფინანსური დახმარება გაუწვია, სამხედრო ძალის მიცემაზე კი, უარი განუცხადა. მიუხედავად ამისა, ვლადიმერ ტატიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „მოსკოვის ქვეშევრდომის, არჩილის ბრძოლა თავისი სამშობლოს განთავისუფლებისათვის საღდებოდა თვით მოსკოვის გამოსვლად თურქთა წინააღმდეგ დაწყებულ, ევროპული ლაშქრობის ერთ-ერთ უბანზე“.

საქართველოში დაბრუნებულ არჩილ მეორესა და ბატონიშვილებს რთული პოლიტიკური ვითარება დახვდათ. ირანის შაჰს ქართლის ტახტიდან გადაყენებინა გიორგი XI, მის მაგივრად კი, არჩილ მეფის ცოლის ძმა, ერეკლე I (იგივე ნაზარალი-ხანი) დაესვა. ისტორიკოს ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, ქართლის ახალ მე-

ფეს ჯარი გაუგზავნა ზრამაგაში (მდებარეობს ჩრდ. კავკასიაში) დაბანაკებული დისწულების წინააღმდეგ. ეს ნაბიჯი ერეკლე პირველს ყანთან დაბეზლების შიშით გადაუდგამს. საბოლოო ჯამში, ქართლის მეფის ამ მოქმედებას შედეგი არ გამოუღია, რადგან ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილებს ერთგულ ადამიანთა დახმარებით, დიდგორში გადასვლა მოუწყვიათ.

მკვლევარ ნანა გეგელაშვილის აზრით, არჩილისათვის ცხადი იყო, რომ იმერეთის მეფე ალექსანდრე IV მას უბრძოლველად არ დაუთმობდა ტახტს. ამიტომ არჩილ მეორემ მოსალოდნელ სისხლის ღვრას აარიდა შვილები.

1689 წლის გაზაფხულზე, არჩილ მეფესა და ალექსანდრე მეოთხეს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა. ამ ბრძოლას ორივე მხრიდან დიდი მსხვერპლი მოჰყვა. საბოლოოდ, გამარჯვება დასავლეთ საქართველოს იმჟამინდელ მეფეს დარჩა. დამარცხების შემდეგ, არჩილ მეორემ და გიორგი მეთერთმეტემ სამეგრელოს შეაფარეს თავი.

რუსეთის მფარველობაში მყოფი ქართველი მეფე საიმპერატორო კარისგან ფინანსურ დახმარებას ელოდა. ამ ფულით არჩილ მეორეს ალექსანდრე მეოთხის წინააღმდეგ ბრძოლის გასაგრძელებლად ჯარის დაქირავება სურდა. მაგრამ მოსკოვი არჩილ მეფისა და მისი შვილებისათვის დახმარების გაწევას არ აპირებდა. მას საქართველო მხოლოდ მაშინ ახსენდებოდა, როდესაც ეს თავად რუსეთის ინტერესებში შედიოდა...

1690 წელს, მრავალჭირგამოვლილი ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილები ხელმოცარულნი დაბრუნდნენ რუსეთის დედაქალაქში. მათი მამა კი, იმერეთის ტახტის დაბრუნების იმედს არ კარგავდა. 1696 წლის გაზაფხულამდე, არჩილ მეორეს კავკასიის ფარგლები არ დაუტოვებია – ის ხან თერგში იყო, ხან მცირე ყაბარდოში, ზოგჯერ კი, საკუთრივ საქართველოში აგროვებდა



არჩილ II და ერეკლე I (ნიკოლოზ დავითის ძე)

მომხრეებს. ამ დროს, რუსეთის საიმპერატორო კარი კვლავ ღუმდა. მას აღმოსავლეთით აქტიური პოლიტიკის საწარმოებლად არ ეცალა.

1698 წელს, არჩილ მეორემ დასავლეთ საქართველოს ტახტის დაბრუნება შეძლო. მან სივრული გაუგზავნა მოსკოვის მთავრობას, რომელშიც სამშობლოში უფროსი ვაჟის გამოშვებას ითხოვდა. მაგრამ პეტრე პირველმა ალექსანდრე ბატონიშვილს საქართველოში დაბრუნების ნება არ მისცა. რუსეთის იმპერატორს ქართველი მეგობრის ნიჭისა და უნარის, თავისი ქვეყნის ძლიერების სამსახურში ჩაყენება სურდა. ალექსანდრე ბატონიშვილი შედიოდა იმ ელჩობის შემადგენლობაში, რომელიც პეტრე დიდის თაოსნობით, საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა. ახალგაზრდა იმპერატორს სურდა, რაც შეიძლება მალე გასცნობოდა ევროპის მიღწევებს სამხედრო საქმეში, რათა მათი რუსეთში დანერგვით სამშობლოს თავდაცვისუნარიანობა აემალლებინა. ამ ელჩობის მიზანს, საარტილერიო და გემთმშენებლობის საქმის შესწავლასთან ერთად, შვედეთის წინააღმდეგ მოსალოდნელი ომისთვის მოკავშირეებთან შეთანხმებაც წარმოადგენდა.

პეტრე პირველმა საარტილერიო საქმის შესწავლა პრუსიის ციხე-სიმაგრეების მთავარ ინჟინერთან, ვიცე-პოლკოვნიკ შტიეტნერ-ფონშტერნფელდთან დაიწყო. გაკვეთილებს ალექსანდრე ბატონიშვილიც ესწრებოდა. ქართველი მეგობრის ნიჭიერებითა და სწავლისადმი უკიდურესად სერიოზული დამოკიდებულებით მოხიბულმა იმპერატორმა პოლანდიაში, კერძოდ, ჰაავაში არსებულ საარტილერიო კურსებზე მისი გაგზავნა გადაწყვიტა.



პეტრე I

ძლიერთა ამა ქვეყნისათა საფეხბურთო სიმპათიები

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ჩვენს მკითხველს „ლივერპულის“ საქვეყნოდ ცნობილი ფანების ვინაობა გაგაცანით, თუმცა, მთელი პლანეტის მასშტაბით პოპულარული პიროვნებები მხოლოდ ამ კლუბს როდი ქომაგობენ. „არსენალს“, „ნიუკასლსა“ თუ „შტურმის“ არანაკლებ პოპულარული ადამიანები გულშემატკივრობენ, რაშიც თავადაც დარწმუნდებით.

საფეხბურთო გუნდების თავყანისმცემელთა შესახებ საუბარს ისევ და ისევ „ლივერპულით“ დავიწყებთ, რადგან ეს ინგლისური კლუბი, არც მეტი, არც ნაკლები, თვით რომის პაპის მხარდაჭერით სარგებლობს. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ ყოფილი მეკარე ვალოვიციდან – კაროლ ვოიტილა, რომელსაც დღეს მთელი მსოფლიო იოანე-პავლე მეორის სახელით იცნობს, კლუბ „ბარსელონის“ საპატიო წევრია. 2003 წლამდე, რომის პაპის „საფეხბურთო მრწამსის“ შესახებ არავინ არაფერი იცოდა. კათოლიკური ეკლესიის თავკაცი, მისმა თანამემამულემ, ეუი ლუდევკა „გაცა“, როდესაც „ლივერპულის“ ოფიციალურ საიტზე საქვეყნოდ განაცხადა – იოანე-პავლე მეორე ჩემი კლუბის გულშემატკივარიაო. „პაპთან დაახლოებულ რამდენიმე პიროვნებას შევხვდი, რომელმაც გამიმხილა, რომ ვატიკანის მეთაური ყოველთვის უყურებს „ლივერპულის“ თამაშებს“, – ამბობს ინგლისური კლუბის მეკარე, რომელიც იოანე-პავლე მეორეს პოლონეთ-იტალიის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩის წინ შეხვედრია და მისთვის თავისი ნაკრების მაისურიც უსახსოვრებია – ზურგზე კაროლ ვოიტილას სახელით.



გერპარდ შრედერის ღორგმუნდის „ბორუსიის“ ფანი ყოფილა

გარდა რომის პაპისა, „ლივერპულს“ სხვა ცნობილი პიროვნებებიც ქომაგობენ. მათ შორის არიან „მის მსოფლიო-2003“, როსანა დევიდსონი და მამამისი, მომღერალი კრის დე ბურგი, ინგლისის პრემიერ-მინისტრის მეუღლე შერი ბლერი, ნელსონ მანდელა, სვენ გორან ერიქსონი, ანჯელინა ჯოლი და მრავალი სხვა.

ნუ იფიქრებთ, რომ პრემიერლიგაში მოასპარევე სხვა კლუბები ამ მხრივ ეულად არიან დარჩენილები. მაგალითად, ინგლისის მთავარი რაბინი ჯონათან სეკსი და ყოფილი კენტერბერიელი არქიეპისკოპოსი ჯორჯ კერი „არსენალის“ ფანები ყოფილან. სხვათა შორის, ამ რელიგიური მოღვაწეების ერთმანეთთან პირველი შეხვედრა 1993 წელს, სწორედ სტადიონზე „არსენალისა“ და „მანჩესტერის“ მატჩის მსვლელობისას შემდგარა. ის თამაში „მეთოფეებს“ ანგარიშით 2:6 წაუგიათ, რის გამოც სასულიერო პირებთან ახლოს მჯდომ ერთ-ერთ გულშემატკივარს წამოუძახია – ღმერთი არ არსებობსო! „ეს ფაქტი სწორედ რომ ღმერთის არსებობას ამტკიცებს. უბრალოდ, იქ, ზეცაში „მანჩესტერს“ ქომაგობენ...“ – უთქვამს „არსენალის“ გაცხარებული ფანისთვის ჯონათან სეკსს, რომლის აზრსაც ალბათ ნამდვილად არ დაეთანხმებოდა ვატიკანის თავკაცი.

ცხადია, კალიფორნიის გუბერნატორის პოსტზე არნოლდ შვარცენგერის არჩევას რელიგიასთან არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ ეს ფაქტი „ტერმინატორს“ ხელს არ უშლის ცნობილი ავსტრიული საფეხბურთო კლუბის ქომაგობაში. ევროპული ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ „რკინის არნი“ გრაცის „შტურმის“ ერთგული გულშემატკივარია, ხოლო ამ გუნდის კუთვნილ არენას „არნოლდ-შვარცენგერ-შტადიონი“ ჰქვია.

საფეხბურთო მოხელეები და პოლიტიკოსები თავიანთ სიმპათიებს არასოდეს მალავენ. შვედური „აიკის“ მესვეურებს შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ მათი კლუბის ქომაგთა რიგში უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი და მეფე კარლ გუსტავ მეთექვსმეტეც არიან. ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იორან პერსონი კი, „მალმეს“ გულშემატკივარია. რაც შეეხება გერმანიის კანცლერ გერპარდ შრედერს, იგი ღორტმუნდის „ბორუსიის“ ფანი ყოფილა, ხოლო მისი ბრიტანელი კოლეგა ტონი ბლერი „ნიუკასლის“ ერთგულებითაა ცნობილი, რაც გაერთიანებული სამეფოს ხაზინის თავკაცს გორდონ ბრაუნს სულაც არ უშლის ხელს შოტლანდიური „რეიტროვერზის“ ქომაგობაში. ცნობილია ისიც, რომ ერთ დროს, ბრაუნე თურმე სწორედ ამ კლუბის მატჩების პროგრამებს ყილდა... აი, რომელი გუნდის ფანია იტალიის პრემიერ-მინისტრი, მილიარდერი სილვიო ბერლუსკონი, ალბათ ყველაზე უკეთ კახა კალაძესა და მის თანაკლუბელებს ეცოდინებათ...

ახლა კი, ორიოდე სიტყვით სპორტსმენთა საფეხბურთო სიმპათიებზეც მოგახსენებთ. ველოსიპედისტი მარკო პანტინი „მილანის“ თავამოდებული თავყანისმცემელია. შვედი ჩოგბურთელები, ბიორნ ბორგი და იონას ბიორკმანი ერთგულად ქომაგობენ „ჰამბიურს“, ხოლო მძები შუმახერები უპირატესობას „კიოლნს“ ანიჭებენ. „ფორმულა-1“-ის კიდევ ერთი ვარსკვლავი ნაიჯელ მენსელი სამოყვარულო „ეკიპეტერ სითის“ გულშემატკივრობს. თანაც იგი ერთადერთი ცნობილი პერსონა როდია, რომელიც სისტემატურად სტუმრობს „სენტ-ჯეიმს პარკს“. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ცნობილი ილუზონისტი ური ჯელერი კლუბის მმართველი ორგანოს თანათავმჯდომარედ დანიშნეს.



„რკინის არნი“ გრაცის „შტურმის“ ერთგული გულშემატკივარია

ანა კუბნიკოვა კლავ ყუბადღუმის ცნობებში იმეცთემა

მიუხედავად იმისა, რომ ანა კუბნიკოვას, თავისი პროფესიონალური კარიერის მანძილზე, ინდივიდუალურად WTA-ს არც ერთ ტურნირში არ გაუმარჯვია, იგი მაინც მთელ მსოფლიოში ათასობით გოგონასთვის მისაბამობი იქცა. ამის შესახებ სააგენტო Reuters-ის კორესპონდენტს დინარა საფინამ განუცხადა, რომელიც Australian Open-ში მონაწილეობდა. „დღეს ალბათ უკვე აღარავის ახსოვს, თუ როგორ თამაშობდა ანა ჩოგბურთს, მაგრამ მაინც ბევრი სპორტსმენი ჰბაძავს მას, – ამბობს დინარა. – ქალთა ჩოგბურთი რუსეთშიც და მთელ მსოფლიოშიც ასეთი პოპულარული სწორედ კუბნიკოვას წყალობითაა“. ისიც უსამართლობა იქნებოდა, რომ რუსი ლამაზმანის საკუთრივ სპორტული მიღწევები დაგვეტოვებინა უყურადღებოდ. მან უიმბლდონის ტურნირის ნახევარფინალში ითამაშა და ერთ დროს, მსოფლიო რეიტინგის პირველ ათეულშიც შედიოდა, მაგრამ სასიყვარულო



თავგადასავლებმა და ბულვარული პრესის ყურადღების ცენტრში ყოფნამ ანა კუბნიკოვა-ჩოგბურთელი სრულიად დაჩრდილა. „დღეს ქალთა მატჩებზე ხალხი უფრო ხშირად დადის. კუბნიკოვამდე კი, ქალთა ჩოგბურთი ასეთი პოპულარული არასოდეს ყოფილა“, – მიიჩნევს საფინა. ამ დროს, თავად რუსი სექსიმბოლო კვლავ შე-

ნიშნეს ენრიკე ივლეისასის გვერდით. მაშინ, როდესაც უსტრალიან პენ მიმდინარეობდა, ანა თავის ბოიფრენდთან ერთად თურმე კარიბის ზღვის პლაჟზე ნებივრობდა. შეგახსენებთ – რომანი კუბნიკოვასა და ცნობილ ესპანელ მომღერალს, ხულიო ივლეისასის ვაჟიშვილს შორის, 2002 წლის თებერვალში დაიწყო. მას შემდეგ, ყვითელ პრესას ვარსკვლავურ წყვილზე ნადირობა არ შეუწყვეტია, ხოლო მათი ურთიერთობის კულმინაციად იმ კლიპის გადაღება ითვლება, რომელშიც ჩოგბურთელმა ქალმა და პოპვარსკვლავმა სასიყვარულო სცენები გაითამაშეს. მოგვიანებით, ანასა და ენრიკეს ქორწინების მაწველებელი ინფორმაციაც გავრცელდა. გარდა ამისა, ამბობდნენ, რომ სექსიმბოლო ფეხმძიმედ იყო... ეს სასიყვარულო იდილია ცნობილმა ტოპ-მოდელმა, მია მაიერსმა დაარღვია, როდესაც საჯაროდ განაცხადა, რომ ენრიკესთან რომანი ჰქონდა. თურმე, ამ ამბავს დიდი სულიერი ტრავმა მიუყენებია ანა კუბნიკოვასათვის, მაგრამ როგორც ახლახან გაირკვა, მას მაინც არ შეუწყვეტია ენრიკესთან ურთიერთობა.

გამჭვირვალე კოსტიუმები მთციგუბაუთათვის




როგორც ცნობილია, ციგურაობაში, შემოტმასნილ კოსტიუმებს იყენებენ, რაც ჰაერის წინაღობის მაქსიმალურად შემცირებას ისახავს მიზნად. კანადელმა მოციგურავეებმა კი, ბოლო დროს, უფრო

სექსუალური, გამჭვირვალე ფორმების ხმარებას მიჰყვეს ხელი. თუმცა, მათი წამოწყება ყველას როდი მოსწონებია და ზოგმა, პროტესტიც კი გამოხატა. მაგალითად, კანადელმა სპრინტერმა კრისტინა მაიერსმა ნახევრად გამჭვირვალე კოსტიუმთან ერთად, თეთრი ბიკინი ჩაიცვა, რომელზეც მისი ქვეყნის სიმბოლო – ნეკერხლის ფოთოლი იყო გამოხატული. კრისტინას თქმით, ამით მას სურდა, პრობლემისადმი საზოგადოების ყურადღება მიეპყრო და ეროვნული ფედერაცია აეძულებინა, უარი ეთქვა ამგვარი კოსტიუმების შემოღებაზე. ცხადია, მაიერსს არაერთმა სპორტსმენმა ქალმა დაუჭირა მხარი, თუმცა მის მიერ წამოწყებულ საპროტესტო კამპანიას მხარს ნამდვილად არ დაუჭერდნენ მამაკაცები... გასათვალისწინებელია ისიც, რომ უკვე დიდი ხანია, რაც არა მარტო კანადის, არამედ საერთაშორისო ფედერაციაც ციგურაობის, უფრო პოპულარულ და სანახაობრივ სპორტის სახეობად ჩამოყალიბებას გეგმავს.

მუკბი ახალ ამპლუაში მთგუვლინება

ლეგენდარულმა გერმანელმა ჩოგბურთელმა და უიმბლდონის ტურნირის სამეზის გამარჯვებულმა ბორის ბეკერმა, რომელმაც უკვე დაასრულა აქტიური სპორტული კარიერა, ჟურნალისტობა და შოუმენობა გადაწყვიტა. ბორისმა ერთ-ერთ გერმანულ ტელეკანალთან გააფორმა კონტრაქტი, რომლის თანახმადაც, უახლოესი სამი წლის მანძილზე, თხუთმეტ 30-წუთიან გადაცემაში, როგორც ტოქშოუს წამყვანი მიიღებს მონაწილეობას. „ჩემთვის კარგადაა ცნობილი ის, თუ რას გრძნობენ სპორტსმენები, როცა მათკენ ტელეკამერებია მიმართული. ამიტომ ვფიქრობ, რომ მათთვის ნიღბის ჩამოსხნასა და მათი ჭეშმარიტი სახის გამოჩენას შევძლებ. მე ხომ ძალზე იოლად შევდივარ ადამიანებთან კონტაქტში...“ – აცხადებს ბეკერი, რომლის ტელედებიუტიც აპრილში შედგება. პირველი გადაცემის ეთერში გასვლის ზუსტი თარიღი ჯერჯერობით არ დაუზუსტებიათ, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ამ ტოქშოუს მთავარი გმირები, ფეხბურთელები და ჩოგბურთელები იქნებიან.



ლუიზ ფიგუ „რეალის“ ერთგულია

მას შემდეგ, რაც ლუიზ ფიგუ „ბარსელონისგან“ მადრიდის „რეალ-მა“ შეიძინა, ხშირად ვრცელდებოდა ინფორმაციები პორტუგალიელი ვარსკვლავის სხვა ევროპულ საფეხბურთო გრანდში მოსალოდნელ გადასვლის შესახებ. სპორტულ მიმოხილველთა დიდი ნაწილის ვარაუდით, თავად ფიგუ ინგლისურ პრემიერლიგაში ასპარეზობას ამჯობინებდა, რაზეც იგი ბავშვობიდანვე ოცნებობდა. მიუხედავად ამისა, ლუიზი ხანგრძლივი დროის მანძილზე კომენტარისგან თავს იკავებდა, ცოტა ხნის წინ კი, დუმილი დაარღვია და „რეალის“ ოფიციალურ საიტზე პრესის წარმომადგენლებთან საუბრისას საჯაროდ განაცხადა, რომ „სამეფო კლუბთან“ მოქმედი კონტრაქტის ამონაწერამდე არსად წასვლას არ აპირებს.



— ლუიზ, 2004 წლისაგან რას ელით?

— ისევე, როგორც პროფესიონალ სპორტსმენს, მეც მსურს, რომ წელს ყველაფერი კარგად გამოძვიდეს — ჩემი თამაშით მაყურებლებსაც სიამოვნება მოვკარო და გუნდსაც დავეხმარო დიდი გამარჯვებების მიღწევაში. მსურს, „რეალმა“ ყველა ტიტული მოიპოვოს. ისე კი, უმთავრესი ალბათ ჯანმრთელობის შენარჩუნება და მძიმე ტრავმების თავიდან აცილებაა.

— ხანგრძლივი დროის მანძილზე, პრესას ინგორირებას რატომ უკეთებდით?

— რაიმე განსაკუთრებული მიზეზი არ მქონია. უბრალოდ, არ მსურდა, იმ კამპანიაში მიმეღო მონაწილეობა, რომელიც მასმედია ჩემი სახელის გარშემო აგორა. ზანდანან ასეთი რამ სასარგებლოცაა, რადგან მომავალზე სერიოზულად დაფიქრებისკენ უბიძგებს კაცს.

— ახლა თქვენი მომავალი უკვე ცნობილია? მართალია, რომ კატარში წასვლასაც აპირებდით?

— ალბათ კატარში ჩემი გამგზავრება ჯერ ნაადრევია. თანაც, „რეალში“ მშვენივრად ვგრძნობ თავს. ამ გუნდში რამდენიმე ფანტასტიკური წელი გავატარე და აქ დარჩენას კვლავაც ვაპირებ. ვფიქრობ, ჩემი მომავალი ამ კლუბთან კიდევ 2 წლის განმავლობაში იქნება დაკავშირებული.

— მაგრამ თქვენ ხომ ისიც გითქვამთ ინგლისში თამაშზე ვოცნებობო?..

— დიახ, ეს ჩემი ბავშვობის ოცნებაა. მაგრამ ისიც კარგადაა ცნობილი, რომ ბავშვური ოცნებები ყოველთვის როდი სრულდება. ინგლისში თამაში მართლაც მსურდა, მაგრამ მომავალი 2 წლის მანძილზე, ჩემი კარიერა კვლავ მადრიდთან იქნება დაკავშირებული — ეს მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი.

— რა შეგიძლიათ თქვათ იმ მთავარ კითხვას?

სმების შესახებ, რომლის თანახმად, „მანჩესტერსა“ და „ჩელსის“ თქვენი შექენა სურთ?


— ამაზე ფიქრი და საუბარი საერთოდ არ მსურს. ეს საკითხი მე სულაც არ მალეღვებს.

— ლუიზ, ევროპაში სატრანსფერო სეზონი დადგა. თქვენი აზრით, „რეალს“ რომელი პოზიციის გაძლიერება სჭირდება? აი, მაგალითად, გუტიმ თქვა, რომ აუცილებელია ცენტრალური მცველის შექენა...

— ახალი ფეხბურთელების შექენა ჩემი საქმე არ არის. გუნდში იმიტომ ვარ, რომ ვითამაშო და არა იმიტომ, რომ მსგავსი საკითხები გადავწყვიტო. გუტის აზრს პატივს ვცემ, მაგრამ მის ნათქვამს არ გავიმეორებ. „რეალში“ ის ახალი ფეხბურთელები ითამაშებენ, რომლებსაც კლუბის დირექტორთა საბჭო შეიძენს. ხოლო ამ საკითხზე „რეალის“ ხელმძღვანელობისთვის რჩევის მიცემა მხოლოდ მწვრთნელთა შტაბს შეუძლია.

დავიდი ესპანელ არბიტრებს გაუნაწყნდა

როგორც ფეხბურთის მოყვარულებისთვისაა ცნობილი, ესპანეთის თასის გათამაშებაში „ვალენსიასთან“ შეხვედრისას, მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი მოედნიდან გააძევეს. ამ ფაქტით აღმფრთხილებელმა ინგლისელმა ვარსკვლავმა პრიმერადივიზიონის მსაჯეები გააკრიტიკა. „არა მგონია, რომ მეორე ყვითელი ბარათი დავიმსახურე, — აღნიშნა დევიდმა, რომელმაც ამ შეხვედრაში მეორე ყვითელი ბარათი აიძარბო თუხეშად თამაშისთვის მიიღო. — უბრალოდ, უკან მივბრუნდი და მის ფეხს შემთხვევით წამოვიკე. ხოლო პირველი ყვითელი ბარათი რისთვის მომცა მსაჯმა, ამას საერთოდ ვერ განვიმარტავთ. იმ მომენტში მართლა რომ მეთქვა რამე, არბიტრი ამას მაინც ვერ გაიგებდა... ინგლისსა და ესპანეთში სხვადასხვაგვარად მსაჯობენ. აქ, ესპანეთში ამ მხრივ სულ სხვანაირი მენტალიტეტია. ასეთ ვითარებაში ინგლისში მოედნიდან არასოდეს გამაძევებდნენ. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტილებას ხომ მაინც არბიტრი იღებს“.



ბიარის „რეალისაჲნ“ უჭირავს თვალი

ორიოდე დღის წინ, „არსენალის“ ვიცე-პრეზიდენტი დევიდ დენი მადრიდში იმყოფებოდა, სადაც ადგილობრივი „რეალის“ ხელმძღვანელობასთან ტიერი ანრის ტრანსფერთან დაკავშირებით მოლაპარაკება გამართა. საფრანგეთის ნაკრების ფორვარდი „სამეფო კლუბის“ ღირსებას სავარაუდოდ, მომავალი სეზონიდან დაიცავს.




ცნობილია ისიც, რომ არსენ ვენგერმა ანრი ერთი კვირით გაათავისუფლა, რათა ამ უკანასკნელს „რეალის“ მესვეურებთან მოლაპარაკებები ეწარმოებინა. ამასთანავე, ტიერიმ ჯერ კიდევ დეკემბერში განაცხადა, რომ მადრიდულ გუნდში თავის უახლოეს მეგობარ ზინედინ ზიდანთან ერთად თამაშის დიდი სურვილი აქვს.

ერთად თამაშის დიდი სურვილი აქვს.

ჩილუში ფახურთაღი მოაღანაო მოაღან

ჩილეს საფეხბურთო კლუბ „ბანდერას“ ფორვარდი, ელ რულო სწორედ იმ მომენტში მოკლეს პისტოლეტიდან გასროლით, როდესაც იგი მატჩის ბოლო წუთზე გატანილ გოლს ზეიმობდა. ტყვეთა სამოყვარულო გუნდის მოთამაშეს მხარში მოხვდა, რის შემდეგაც, იგი საავადმყოფოში წაიყვანეს. ფეხბურთის მოყვარულთათვის ცნობილია, რომ სამხრეთამერიკელი ქომაგები განსაკუთრებული აგრესიითა და სისასტიკით გამოირჩევიან, თუმცა, ამ შემთხვევაში დანაშაული თავზეხელაღებულ ფანს არ ჩაუდენია – რულოს, მოწინააღმდეგე გუნდის, „გონსალინას“ მოთამაშემ ესროლა. თვითმხილველთა თქმით, მატჩში ბოლო გოლის გატანის შემდეგ, დამარცხებული გუნდის წევრმა მაისურში დამალული პისტოლეტი ამოიღო და რულოსკენ სამჯერ გაისროლა, მერე კი, დანაშაულის ადგილი დატოვა და მიიშალა. სამართალდამცავები აცხადებენ, რომ მათთვის მკვლელის ვინაობა ცნობილია და მას მალე დააკავენ.



ამოიღო და რულოსკენ სამჯერ გაისროლა, მერე კი, დანაშაულის ადგილი დატოვა და მიიშალა. სამართალდამცავები აცხადებენ, რომ მათთვის მკვლელის ვინაობა ცნობილია და მას მალე დააკავენ.

ლუდი და სოსისი, ჯლუბების დასახმარებლად



გერმანული კლუბების მესვეურებმა ფიფას, საფეხბურთო მატჩის რეგლამენტის შეცვლა სთხოვეს. ისინი ტაიმებს შორის შესვენების 20 წუთამდე გაზრდას მოითხოვენ. როგორც ცნობილია, მოქმედი რეგლამენტის თანახმად, გუნდები 12-15 წთ-ს ისვენებენ. დამატებული 5 წუთი კი, გერმანელი ფეხბურთის სპეციალისტების აზრით, არა მოთამაშეებს, არამედ მაყურებლებს სჭირდებათ, რიგიანად რომ დაისვენონ, თუმცა, არც იმას მალავენ, რომ ეს სასიკეთოდ წაადგება კლუბებსაც, რომლებსაც ამის წყალობით, საშუალება მიეცემათ, მეტი ლუდი და სოსისი გაასაღონ. „15 წუთი ქომაგებს ყოველთვის როდი ჰყოფნით საიმისოდ, რომ ძეხვი და თითო ბოთლი ლუდი შეიძინონ“, – ამბობს „ბაიერის“ მენეჯერი ვოლფგანგ ჰოლზაუზერი. მას ეთანხმება „ვერდერის“ მარკეტინგული განყოფილების თავაკცი მანფრედ მიულერი: „შესვენებისთვის განკუთვნილი დროის გაზრდა აუცილებელია. მატჩის მსვლელობაზე ეს უარყოფითად ნამდვილად არ იმოქმედებს. აი, შემოსავალი კი, უეჭველად გაიზრდება“. „შალკეს“ ეკონომისტების აზრით, ლუდისა და ძეხვის ჭარბად გასაღება გუნდების შემოსავლებს წელიწადში 300 მლნ ევროთი გაზრდის. გერმანული საფეხბურთო ლიგის სპეციალისტთა თქმით, პირველ და მეორე ბუნდეს-ლიგაში მოასპარეზე 36 გუნდის საერთო კალი 600-დან 700 მლნ ევრომდე გაიზარდა.

15 წთ-ს ისვენებენ. დამატებული 5 წუთი კი, გერმანელი ფეხბურთის სპეციალისტების აზრით, არა მოთამაშეებს, არამედ მაყურებლებს სჭირდებათ, რიგიანად რომ დაისვენონ, თუმცა, არც იმას მალავენ, რომ ეს სასიკეთოდ წაადგება კლუბებსაც, რომლებსაც ამის წყალობით, საშუალება მიეცემათ, მეტი ლუდი და სოსისი გაასაღონ. „15 წუთი ქომაგებს ყოველთვის როდი ჰყოფნით საიმისოდ, რომ ძეხვი და თითო ბოთლი ლუდი შეიძინონ“, – ამბობს „ბაიერის“ მენეჯერი ვოლფგანგ ჰოლზაუზერი. მას ეთანხმება „ვერდერის“ მარკეტინგული განყოფილების თავაკცი მანფრედ მიულერი: „შესვენებისთვის განკუთვნილი დროის გაზრდა აუცილებელია. მატჩის მსვლელობაზე ეს უარყოფითად ნამდვილად არ იმოქმედებს. აი, შემოსავალი კი, უეჭველად გაიზრდება“. „შალკეს“ ეკონომისტების აზრით, ლუდისა და ძეხვის ჭარბად გასაღება გუნდების შემოსავლებს წელიწადში 300 მლნ ევროთი გაზრდის. გერმანული საფეხბურთო ლიგის სპეციალისტთა თქმით, პირველ და მეორე ბუნდეს-ლიგაში მოასპარეზე 36 გუნდის საერთო კალი 600-დან 700 მლნ ევრომდე გაიზარდა.

ადრიანუ „ინტერში“ გადაბარგდა



დიდი სურვილის მიუხედავად, „პარმაში“ ადრიანუს შენარჩუნება მაინც ვერ შეძლო. მიიმე ფინანსური კრიზისის გამო, კლუბის ხელმძღვანელობა იბულებული გახდა, ნიჭიერი ბრაზილიელი თავდამსხმელი გაეყიდა. ორიოდე დღის წინ, ადრიანუმ 4-წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა „ინტერთან“. აღსანიშნავია, რომ მილანურმა გრანდმა სამხრეთამერიკელ ფეხბურთელში სატრანსფერო ღირებულების მხოლოდ ნახევარი გადაიხადა, რადგან შეთანხმების მიღწევამდე გახლდათ მისი ნახევრად მფლობელი. გარდა ამისა, „პარმას“ სანახევროდ ეკუთვნის აგრეთვე ემილიანო ბონაცოლი და აიმო დიანა, რომლებიც შესაბამისად, „რეჯინისა“ და „სამპდორის“ ღირსებას იცავენ.


(დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52,1-4)

მებათეკლასელ გვანცა ჩონელს ბედი ბავშვობიდანვე მძიმე გამოცდებს უწყობს. ჯერ ცხრა აპრილის ღამეს, დედა მოენამლება და ფსიქიკურად დაავადდება. შემდეგ, ცოლის უბედურებით საბოლოოდ თავგზააბნეული მამაც მიატოვებს ოჯახს... გვანცა და მისი პატარა ძმა ბებია-ბაბუს — ამირან და ლამარა ანთაძეების იმედად რჩებიან. ერთადერთი ქალიშვილის უბედურებით გამწარებული ცოლ-ქმარი შვილიშვილებს ცივ ნიავს არ აკარებს, მაგრამ გვანცას სიფათს მაინც ვერ აარიდებს. ერთ დღეს, გვანცა მასზე ბევრად უფროს მამაკაცს, მხატვარ ირაკლი იაშვილს გაიცნობს და უმაღლე მოიხიბლება. ირაკლი კი ამით ბოროტად ისარგებლებს და გამოუცდელ გოგონას ლოგინშიც თითქმის უპრობლემოდ ჩაიწვენს...

მომხდართ თავგზააბნეული გვანცა თბილისიდან კარგა ხნით საერთოდ მიდის. უკან დაბრუნებული კი, შემთხვევით გადაეფრება ირაკლის. მათი შეხვედრის თვითმზილველი აღმოჩნდება გვანცას თანაკლასელი ლუკაც, რომელიც მაშინვე მიხვდება, რომ ქალ-ვაფს შორის რაღაც სერიოზული ხდება. იმავე საღამოს, გვანცას ჯერ ირაკლი დაურეკავს და ყველაფრის გარკვევას შეეცდება, შემდეგ — ლუკა. განრისხებული გვანცა, ორივეს კივილით მოიშორებს...

ლუკა ირაკლიზე იექვიანებს და მასთან საქმის გასარკვევად მივა. შემდეგ, გვანცას დაგესლავს — ირაკლის ქალი თუ იყავი, დროზე ვერ მითხარიო?!. წონასწორობიდან საბოლოოდ გამოსული გვანცა ირაკლის შინ მიუვარდება და სკანდალის მოწყობას დაუპირებს. ირაკლი კი მშვიდად გამოუცხადებს — შენს ცოლად შერთვას ვაპირებო... ამასობაში, თბილისში სამოქალაქო ომი დაიწვება...

თბილისის ომი გვანცას



თავისუფალი თემა

რუსულან ბერიძე

ოჯახს თავზარს დასცემს. ლამარასა და ამირანს მაშინვე იმის შიში გაუჩნდებათ, რომ ამ ომს, მთავრობის სასახლესთან სიხლოვის გამო, მათი ბინა და კეთილდღეობაც შეეწირება. გაოგნებული გვანცა კი, მაშინვე ლუკასა და ირაკლისთან დაკავშირებას ცდილობს. ლუკა ამ ომსაც ჩვეული გულგრილობით ხვდება და გვანცასაც მშვიდად უცხადებს — ხელში იარაღის აღება არც მიფიქრიაო. ირაკლი მომხდართ სერიოზულადაა შეშფოთებული: ომი ომად, მაგრამ ჩემი უბედურება ისაა, რომ აქეთაც და იქითაც ჩემი ძმები დგანან, როგორმე ორივე უნდა ვნახო და ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლა გადავაფიქრებინო. ირაკლი მთავრობის სასახლეში მართლაც შეაღწევს და გვანცასაც თან წაიყვანს. გოგონა იქ იარაღსაბმულ მამამისს გადაეფრება...

გვანცა მამამისს კარგა ხანს, უცხო სავით ათვალერებდა და მერე ძლივს-ლა ამოღერდა:

– მამა, შე-უნ?... შენ აქ რა გინდა?

– შენ რა გინდა, თორემ, მე სწორედ-დაც რომ აქ უნდა ვიყო... – წარბი შეიკრა მიშამ და თან, აღმაცერად გახედა ირაკლის: – ამან შემოგიყვანა?

– ჰო, ერთად მოვედით... – უპასუხა გვანცამ და თვალთ ანიშნა ირაკლის – შემომეშველეო... ირაკლიმ მაშინვე ხელი გაუწოლა მიშას და საუბარშიც ჩაება:

– აქ მეგობრების დახმარებით შემოვედით... გვანცას ძალიან უნდოდა საკუთარი თვალთ აქაურობის ნახვა და...

– ნახვა რა – კონცერტია თუ გამოფენა?! – ღრენაზე გადავიდა მიშა. – თუ ამხელა კაციც გასართობად ხარ მოსული?... – მე გასართობად ბევრად უფრო მიზილველ აღვიღებს ვირჩევ, – არ დაუთმო ირაკლიმ. – აქ კი, საკუთარი ძმის სანახავად მოვედი.

– რა ჰქვია შენს ძმას? – დაინტერესდა მიშა.

– გიორგი.

– გვარი?

– იაშვილი.

– ვიცნობ. კარგი ბიჭია, – ცოტათი მოლობა მიშა. – ღაუჭდახო?

– ძალიან დამავალვებ, მიშა ბატონო...

– ჩემი სახელი საიდანღა იცო?

– მე შენზე და შენს ოჯახზეც თითქმის ყველაფერი ვიცი. შენი ქალიშვილი და მე...

– ჩემს ქალიშვილთან შენ რა ხელი გაქვს?! – უნებლიეთ იარაღისკენ წაიღო ხელი მიშამ.

– ირაკლი ჩემი მასწავლებელია, – სიტუაციის სასწრაფოდ განმუხტვა სცადა გვანცამ და თან, ვედრებით გადახედა ირაკლის. – ბაბუასაც კარგად იცნობს...

– კარგი, – ხმას დაუწია მიშამ, თუმცა, მაინც უნდოდ გადახედა ირაკლის და თქვა: – წავალ, გიორგის მოვძებნი. თქვენ აქ დამელოდეთ!

როგორც კი მიშა თვალს მიეფარა, ირაკლიმ შვევით ამოისუნთქა და თანაგრძობის ნიშნად, გვანცას მხარზე ხელი მოუთათუნა:

– ამ კაცის ხელში ნაღდად მძიმე

ბავშვობა გექნებოდა.

— სულაც არა! — იუარა გვანცამ. — მამაჩემი ძალიან თბილი და მშვიდი ადამიანი იყო. დედაჩემის უბედურებამ განადგურა.

— ჰო, ალბათ... — თავისთვის ჩაილაპარაკა ირაკლიმ. — ბედის გამოცდას ყველა კი ვერ უძლებს.

— ბედის გამოცდას, ხომ? — გაღიზიანდა გვანცა. — შენ თუ გაუძლებდი გიჟ ცოლს?

— ალბათ, ვერა... — შუბლი შეიჭმუნა ირაკლიმ, თან გამოძვლილად აათვალიერ-ჩაათვალიერა გვანცა და გაეღიმა: — ისე, მთლად დალაგებული არც ჩემი ცოლი უნდა იყოს...

— რა თქვი? — ნერწყვი ძლივსღა გადაყლაპა გვანცამ. — რომელი ცოლი?

— რომელი და მეცხრე... — პირზე ღიმილს აღარ იშორებდა ირაკლი. — არ დამიწყო ახლა, თავი ჭკუით მისკლებაო, თორემ...

— ჯერ ერთი, მე შენი მეცხრე ცოლი არა ვარ... — ისევ გული მოეცა გვანცას. — და მეორეც...

— კარგი, მაშინ მეათე იყავი... — ხუმრობას განაგრძობდა ირაკლი.

— არც მეათე ვიქნები, ამიტომ არც ჩემი ჭკუა თუ უჭკუობა გეკითხება, გასაგებია? — გაკაპასდა გვანცა.

— ეი, ჭკუისკოლოფავ! — შუბლზე მსუბუქი წკიპურტი წაჰკრა ირაკლიმ. — რასაც ახლა ვეტყვი, კარგად დაიმახსოვრე — ხომ იცი, გამეორება როგორ არ მიყვარს?! მე შენთან დაკავშირებული ყველა და ყველაფერი მეკითხება — შენი ლამაზი, მაგრამ ჯერ საკმაოდ ცარიელი თავის ჩათვლით, რა თქმა უნდა...

ის იყო, გაცოფებულმა გვანცამ პასუხის დასაბრუნებლად პირი გააღო, რომ მათკენ მომავალ გიორგისა და მამამისს მოჰკრა თვალი და გადაიფიქრა. გიორგიმ ირაკლის ხელი დაუქნია და მაშინვე გახარებული გამოიქცა. მიშას კი ფეხი არ აუჩქარებია.

გიორგი ჯერ ირაკლის გადაეხვია, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ კი, გვანცაც გადაკოცნა:

— როგორა ხარ, რძალო?

— ე, ბიჭო, — მაშინვე გააჩუმდა ირაკლიმ. — მამამისმა არ გაივინოს, თორემ, ორივეს ჰაერში აგვწევს.

— ვინ? მიშა? — ხმას უფრო აუწია გიორგიმ. — მიშა ჩემი უფროსი ძმია! თანაც, მაგაზე თბილი და რბილი კაცი ჯერ არ მინახავს...

— ვინაა, ბიჭო, რბილი? — თავში მოფერებით წაუთატა გიორგის მოახ-

ლოებულმა მიშამ.

— ვინ და შენ, — თავისი მინც არ დაიშალა გიორგიმ და შემდეგ ისევ ირაკლის მიუბრუნდა: — იცი, ბიჭებმა მეტსახელად რა შევარქვით?..

— ჰა, ახლა! მორჩი, თორემ, მართლა ჩაგაფარე! — ღიმილი ველარ შეიკავა მიშამაც. — ყველაფერს რომ უკაკლავ ამათ, იქნებ, მტრის ბანაკიდან არიან შემოგზავნილები?

— ირაკლი ჩემი მტერი არასოდეს გახდება... — წელში ამყად გასწორდა გიორგი და თან, ძმას ალერსით გადახედა. — ასე არ არის, იკა?

— ასეა, — მშვიდად დაუდასტურა ირაკლიმ.

— აბა, ჩემი შვილი, მით უმეტეს არ მიმტრობს, — დაუმატა მიშამ და სიყვარულით გადახვია გვანცას ხელი...

როცა გიორგიმ ირაკლის მისვლის მიზეზი გაიგო, თავი შორს დაიჭირა, თუმცა ძმის ყველა არგუმენტი მშვიდად მოისმინა და ბევრ რამეში კიდევ დაეთანხმა. მიშა ძმების კამათს ერთხანს უსიტყვოდ უსმენდა, შემდეგ, კიდევ ერთხელ შეუტია ირაკლის:

— შენ საკუთარი ძმა ბოლომდე არ გცნობია, თორემ, ეგეთ რამეს საერთოდ არ ეტყოდი. რას ჰქვია, იარაღი დაღოს? — ესე იგი, მტრებს დანებდეს, ხომ?!

— არა ხარ მართალი, — შეეპასუხა ირაკლი. — გიორგი ბავშვი არ არის, რასაც ვეტყვი, მაინცდამაინც ის გააკეთოს. თანაც, მე იარაღის დაყრასა და დანებებას კი არა, დაფიქრებას და კიდევ ერთხელ ყველაფერის აწონ-დაწონას ვთხოვ... ვთხოვ კი არა, ვეხვეწები — იმიტომ, რომ გარეთ ჩემი მეორე ძმა დგას და როგორ შეიძლება, ძმებმა ერთმანეთს ესროლონ?!

— არ მაინტერესებს, გარეთ ვინ და რატომ დგას, გიორგის ძმები კი, მხოლოდ აქ არიან. მე შენს ადგილზე იცი, რას ვიზამდი? — საჩვენებელი თითი მხარზე რამდენჯერმე უხეშად წაჰკრა მიშამ ირაკლის.

— შენ ჩემს ადგილზე ვერასოდეს იქნები... — გააწვევტინა ირაკლიმ და თან, ალმაცურად გადახედა გვანცას.

— ჩემო ძმაო, იცი, რას გეტყვი?.. — თავისას არ იშლიდა მიშა. — მოჰკიდე ჩემს გოგოს ხელი, მიაცილე სახლამდე, მერე მობრუნდი უკან და ამოგვიდექი მხარში!.. იარაღის პრობლემა თუ გაქვს, შინაურობაში ერთ ავტომატს როგორმე გაგიხერხებთ...

— გმადლობ, ეგ „სიკეთე“ გარეთაც

ბლომად არის... — გაღიზიანდა ირაკლი. — მაგრამ მე ხელში იარაღის აძლები არა ვარ! რომელ ძმას ვესროლო — აქეთ გიორგის თუ იქით ლაშას?!

— აი, ეგ უკვე მართო შენი გადასაწყვეტია, — თვალი თვალში კიდევ ერთხელ გამოძვლილად გაუყარა მიშამ ირაკლის და შემდეგ, განზე გაიხმო გვანცა.

— ასე უხეშად რატომ ელაპარაკები? — მაშინვე ეცა მას გვანცა. — აბა, ერთი წუთით მაგის ადგილზე წარმოიდგინე თავი...

„მადონამ დაამტკიცა, რომ ტალანტი სულაც არაა აუცილებელი. ის სუპერვარსკვლავი გახდა, უზარმაზარი ქონება დააგროვა და ამ ყველაფერს მხოლოდ იმის წყალობით მიაღწია, რომ მუდამ სწორად ირჩევდა და ქირაობდა საჭირო ადამიანებს...“ – ასეთი შეფასება მისცა კოლეგას მომღერალმა ქალმა ჯონი მიჩელმა, რომელსაც მადონა ბავშვობიდანვე ძალზე აფასებდა და ამ სიტყვებით ფრიად გააწბილა. შესაძლოა, სწორედ ამიტომ, ის გამუდმებით ცდილობდა, ახალ-ახალ ამბლებში მოვლენოდა საზოგადოებას.

„უდავოა, რომ მის ადგილზე ბევრი, დასჯერდებოდა მიღწეულს. 150 მლნ ალბომის გაყიდვისა და 700 მლნ დოლარის დაგროვების შემდეგ, მას შეეძლო, უბრალოდ დამტკბარიყო ცხოვრებით და დროდადრო შეესვენებინა თავი მსმენელისა და მაყურებლისათვის. მაგრამ მადონა ის არ იქნებოდა, ვისაც აგერ უკვე მრავალი წელია, მთელი მსოფლიო იცნობს, როგორც არა მარტო მომღერალს, არამედ მსახიობსა და ახლა უკვე, როგორც მწერალსაც – რომ არაფერი ვთქვათ მის არაორ-

დინარულ პირად ცხოვრებაზეც, რომელმაც სექსიზმობლობის იმიჯიც დაიჭია და 2 შვილის დედისა და ერთგული მეუღლის როლიც...

მადონას პირადი ცხოვრების კიდევ ერთ უჩვეულო მომენტად იქცა პოპვარსკვლავის ლონდონში გადაბარება, რაც ბევრმა უპირველესად, არისტოკრატიათან სიახლოვის სურვილით ახსნა. თუმცა, ზოგიერთმა კრიტიკოსმა ამაში დრამატული მსახიობის სტატუსთან მიახლოების სურვილიც დაინახა, რადგან მადონა მართლაც, გამუდმებით ცდილობს, უფრო მტკიცედ მოივიდოს ფეხი ეკრანზე, როგორც მსახიობმა. ერთ-ერთ უდავო წარმატებად ამ გზაზე, 1996 წელს განსახიერებული ევა პერონი („ევიტა“) გახლდათ. მას შემდეგ, მისი, როგორც მსახიობის წინსვლა რამდენადმე შეჩერდა. მას ბედი არ გაუღიმა 1997 წელს, როდესაც აწ უკვე გახმაურებულ „ჩიკაგოში“ გადასადგებად იწვევდნენ, მაგრამ ფილმის მთავარმა ქორეოგრაფმა უარყო.

კინოში რამდენიმე უფერული როლის შესრულებით გაწვილებულ მადონას წარმატება სრულიად მოულოდნელ ასპარეზზე ელოდა: ის ლონდონის ერთ-ერთმა თეატრმა კომედიაში – Up for Grabs სათამაშოდ მიიწვია და ყველამ დაინახა, რომ პოპვარსკვლავი ზოგჯერ სცენაზე გაცილებით უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე გადასაღებ მოედანზე...

და მაინც, მადონამ არაერთგზის დაამტკიცა, რომ სიმღერაც, ეკრანიც და სცენაც მისთვის მხოლოდ იმიჯის განმტკიცების საშუალებაა, მთავარი კი მასში – ბიზნესელის ნიჭია. ის მოჭადრაკესავით მუდამ ზუსტად გათვლილ ნაბიჯებს დგამს, რომელსაც ახალ-ახალი მილიონები მოაქვს. მაგალითად, მა-

დონას ხმის ჩამწერი კომპანია – Maverik Records – თანამშრომლობს ყველასთან, ვისაც კი ფინანსური მოგების მოტანა შეუძლია – დაწვებული დახვეწილი ალანის მორისეტიდან, დამთავრებული სკანდალური მერილინ მენსონით. მხოლოდ გასულ წელს, მხოლოდ რეკლამის სფეროში ვარსკვლავმა 20 მლნ დოლარი იშოვა. ასევე კომერციული წარმატების სფეროს მაკოუფებენ, სამწერლო ასპარეზზე მადონას გამოჩენას: ერთი უფრანლისტის მოხდენილ ნათქვამს თუ გავიძიოთ – მშობლების უმრავლესობა შვილებს ძილის წინ უყვება ზღაპრებს, ლურდებისა და როკოს დედამ კი, ამით მილიონების გამოუმუშავება მოახერხაო: როგორც ცნობილია, მადონამ უკვე 2 საბავშვო წიგნი – „ინგლისური ვარდები“ და „მისტერ პიბოდის ვაშლები“ – გამოსცა და ამას მალე, აღნიშნული წიგნების მოტივებზე გამოშვებული სათამაშოები, კომიქსები, სუვენირები და სხვა ნაწარმიც მოჰყვება...

შარშანდელი წლის დამლევს, მადონამ ახალი ალბომის – American life – ჩაწერას მიჰყო ხელი. ჩვეულებისამებრ, ის მიზნად ისახავს, „ხელახლა შექმნას საკუთარი თავი“: პოპულარობის ზენიტში მყოფი პროდიუსერი დაიქარავა და ვოკალის დამუშავებისა და ელექტრონული მუსიკის ახალი ხერხების მოსინჯვას ცდილობს. კომპანია Warner-ის ხელმძღვანელთა აზრით, ეს ალბომი მეტისმეტად ავანგარდული და არაკომერციულიც კი გამოვიდა, ამიტომ პოპვარსკვლავს მოსთხოვეს, რომ თითქმის მთელი მასალა გადაეკეთებინა. ბუნებრივია, ამან კონფლიქტი გამოიწვია და მთარული ხმებით, American life-ის გამოსაცემად, მადონა უკვე ახალ პარტნიორს ეძებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ტრანსნაციონალური კომერციული საწარმო“ კონფლიქტებსა და დავებშიც საკმაოდ გამობრძმედილი მებრძოლია, შეგვიძლია ვივარაუდოთ – საბოლოოდ ის აძვერადაც, წარმატებას მიაღწევს... ■



კანკინით, რომ მოხერხდება ქვეყნის ჩინება

იყავით მზად იმისათვის, რომ ცხოვრება უსიამოვნო სიურპრიზსაც შემოგთავაზებთ

როგორც წესი, ონკანი ოდესმე ფუჭდება და იქიდან წყალი იწყებს წვეთას. ხან კომპიუტერი „ჩაყლაპავს“ საჭირო ფაილს, ხან ავტომობილი გამოვა მწყობრიდან... თუ შეძლებთ იმას, რომ ასეთი ცხოვრებისეული წვრილმანები გულთან ახლოს არ მიიტანოთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საკმაოდ დიდხანს და ჯანმრთელად იცხოვრებთ.

წარმოიდგინეთ, რომ პაემანზე მიგეჩქარებთ, ავტომობილი კი, რომლითაც მგზავრობთ, ისეთ საცობში მოყვას, რომ საუჭვოა, დანიშნულების ადგილამდე ერთი საათის შემდეგაც კი მიაღწიოთ. ასეთ დროს ბევრი თავბუდს იწყევლის, ბრალს სდებს მძღოლს, მთავრობას, საგზაო პოლიციას და ყველას ერთად ჯანდაბაში აგზავნის. წარმოიდგინეთ, როგორი შესახედავია გაანჩნლებული ქალი ასეთ დროს. აი, მსგავს სიტუაციაში რომ არ ჩავარდეთ, ამიტომ არის საჭირო ხელჩანთაში ყოველთვის გქონდეთ მინიმალური რაოდენობის ფურცალები. როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, თქვენს ნერვულ უჯრედებს, მუსიკა ყველაზე დიდი დამაბურობის პირობებშიც კი მოაწესრიგებს. უსიამოვნო აზრებისგანაც გაგათავისუფლებთ და სასიამოვნო განწყობილებასაც შეგიქმნით.

დაისახეთ რეალური მიზანი

იყავით რეალისტი. ყველაზე ხშირად სწორედ მეოცნებენი რჩებიან ცხოვრებისგან იმედგაცრუებულნი. მაგალითად, დაისახეთ მიზნად, რომ ერთ კვირაში ნახევარ კილოს მოიკლებთ. თქვენი გადაწყვეტილების შესახებ ქვეყანას ნუ ამცნობთ. ერთ კვირაში ნახევარი კილოს მოკლება აბსოლუტურად შესაძლებელია.

რეალური მიზანი გაქვთ და მდუმარედ და ჯიუტად განახორციელეთ თქვენი ჩანაფიქრი. დარწმუნებული იყავით, მიღწეული შედეგი საკუთარი ძალებისადმი რწმენას შეემატება.

ნუ იქნებით ზედმინებით მოხსრიგებული

გათავისუფლდით იმ აზრისგან, რომ სახლში, რომელშიც ცხოვრობთ, ყველაფერი ზედმიწევნით სუფთა უნდა იყოს. მაგიდა კი თქვენი მომზადებული კერძებისგან უნდა იზნიქებოდეს. ჯობს, კარგი კულინარიებისთვის სხვები შეაქოთ. გულწრფელად აღფრთოვანდით იმ ქალბატონებით, რომელთაც შეუძლიათ დიდიხანა საღამომდე საოჯახო საქმე აკეთონ, თქვენ კი ყოველდღიურ ვალდებულებებს დარდიმანდულად მოეკიდეთ და ცხოვრებაც უფრო ხალისიანი გახდება.

აიღეთ ნუთმესვენება


აიღეთ წუთმესვენება. მოკლედ, საკუთარი სიამოვნებისათვის ყოველდღიურად, რამდენიმე წუთით მაინც მოიცალეთ. ინებიერეთ აბაზანაში, გადაფურცლეთ საყვარელი ჟურნალი, მიბრძნდით მასაჟსტოან, ისე, ყოველი შემთხვევისთვის შეიარეთ მაღაზიაში და მოისინჯეთ ტანსაცმელი, ან სხვა, თქვენთვის უფრო სასიამოვნო ვარიანტი შეარჩიეთ.

გაიღიმეთ ხშირად

გაუღიმეთ არა მარტო საკუთარ ქმარს ან შეყვარებულს, არამედ მაღაზიის მომსახურე პერსონალს, ტაქსის მძღოლს, მეზობელს, რომელსაც ხშირად ხვდებით კიბის საფეხურებზე. ღიმილზე ღიმილითვე გიპასუხებენ — გაიღიმეთ ქალის გარშემო კი სამყარო მშვენიერი და კეთილგანწყობილი ხდება.

საუბარი იუმორით დაიწყეთ

ყურმილის ხელში ადებისთანავე, ვიდრე ნაცნობს დაელაპარაკებით, გაიხსენეთ რაიმე სასაცილო ამბავი, ანეკდოტი ან



გამონათქვამი, რომელმაც შეიძლება თქვენი თანამოსაუბრე მხიარულ სასიათზე დააყენოს. არავითარ შემთხვევაში არ დაიწყით საუბარი უარყოფითი ინფორმაციით. იყავით ოპტიმისტი და ყველასათვის მისაღები და სასიამოვნო ადამიანი იქნებით.

მოერიდეთ პესიმისტებს

ალბათ, თქვენც გყავთ ისეთი ნაცნობი, რომელიც ყოველდღიურად მხოლოდ იმიტომ გირეკავთ, რომ ცხოვრების სამღურავი კიდევ ერთხელ ამოაფრქვიოს. ხომ არ შეიძლება, მთელი ცხოვრება ზრდილობის გულისთვის ისმინოთ ვიღაცის წუწუნს? მოკლედ, მოერიდეთ პესიმისტებს.

შეიცვალეთ ჩვევები

როგორც ცნობილია, ნებისმიერი დადებითი ცვლილება ენერჯის მომატებას იწვევს. შეცვალეთ სახლიდან სამსახურამდე სხვა მარშრუტით მიხვიდეთ. ტრადიციულად ყავას მიირთმევთ? შეცვალეთ ის კაკაოთი. კრემიანი ნამცხვარის ნაცვლად კი, კივი ან ფორთოხალი მიირთვით. ეს უმნიშვნელო წვრილმანებია, მაგრამ გვერწმუნეთ, სწორედ ეს წვრილმანები განაპირობებს იმას, რომ ერთფეროვან და მოსაწყენ ადამიანად არ ვიქცეთ.

არეზონანსი რეალურად

- ხმელი სუნელი რომ უფრო არომატული გახდეს, კერძში ჩამატებამდე 5-10 წუთით ცხელ წყალში ჩაალბეთ.
- ქათმის ბარკლები რომ ცვრიანი გამოვიდეს, ჩინელი კულინარები გვირჩევენ, შეწვამდე ნახევარი საათით ადრე კვერცხის ცილა წავუსვით.
- ყვავილოვანი კომპოსტო მხოლოდ მომინანქრებულ ქვაბში უნდა მოიხარშოს. პროდუქტის სითეთრის შესანარჩუნებლად წყალში ცოტაოდენი ლიმონმჟავა ჩაუმატეთ.

- ყვავილოვანი კომპოსტოს ხარშვის დროს უსიამოვნო სუნი გაქრება, თუ დაფნის ფოთოლს ჩაუმატებთ.
- ჩაი რომ სურნელოვანი და მაგარი გამოვიდეს, საჩაიში წინასწარ ჩაყარეთ ერთი მწიკვი შაქარი, შემდეგ ჩაყარეთ ჩაი და მდულარე წყალი დაასხით.
- ზოგი ჯიშის ვაშლი („აპორტი“, „დეუმენი“, „ანტონოვკა“) მოხარშვისას იშლება. ამიტომ, ნუ მოხარშავთ, უბრალოდ, ჩააწყვეთ ადუღებულ სიროფში, სწრაფად ამოიღეთ და გააცვივთ.

ფაქტორები ზღაპრების მოსმელში ფაქტორები



მეოთხე ბოთლი

ერთხელ გამოჩენილ გერმანელ მწერალსა და კომპოზიტორს ერნსტ თეოდორ ამაღელვებს ჰოფმანს კელნერმა ვასშმის შემდეგ ოთხი ბოთლი ღვინის საფასური რომ უნგარიშა, იგი დაეჭვდა:

— ოთხი ბოთლი? ყოვლად შეუძლებელია, ჩემს

მუცელში მხოლოდ სამი ეტევა.

— მართალი ბრძანდებით, ჩემო ბატონო, — მიუვო კელნერმა, — მეოთხე უკვე თავში გაქვთ ასული!

ამ მოსწრებულმა პასუხმა ისე მოხიბლა მწერალი, რომ დაუყოვნებლივ გადაუხადა ოთხი ბოთლის საფასური.

უცყუარი ალლო

შერლოკ ჰოლმის მხატვრული სახის შემქმნელი არტურ კონან დოილი მეგობარს ესტუმრა. მასპინძელს უნდოდა სტუმარი გამოეცადა და ჰკითხა:

- აბა, თუ იტყვი, რამდენიმე წუთის წინ აქ რა მოხდა? კონან დოილიმა მიხედ-მოიხედა ოთახში და თქვა:
- თავი გწვევათ.
- მართალია, მაგრამ როგორ მიხვდი?
- სრულიად უბრალოდ, სავარძელს ჯერ კიდევ აჩნევია ქალის ფეხსაცმლის კვალი.

ბრძნული რჩევა

- ფრანგ მხატვარს ჰენრი ტუიაცს შევირდმა ჰკითხა:
- მაესტრო, ქალი ყველაზე უკეთესად როგორ უნდა დახატოს?
- თუ ქალი ოცი წლისაა, ხატავენ ისეთს, როგორიც არის, ხოლო თუკი ორმოცისაა, მაშინ ისე — თითქოს ოცისა იყოს.

სასარგებლო საქმე

- მე მედიცინა მივატოვე და მინდა, მწერალი გავხდე, — უთხრა თომას მანს ახალგაზრდა ექიმმა. — ვფიქრობ, ადამიანებს ამით უფრო მეტ სარგებლობას მოუტან.
- თქვენ მათ საკმაო სარგებლობა უკვე მოუტანეთ იმით, რომ მედიცინას თავი დაანებეთ. — მიუვო მწერალმა.

ანექდოტები

სირაქლემების ორი სახეობა არსებობს — ნაცრისფრები და ცისფრები. ნაცრისფერი სირაქლემი, როგორც კი შეშინდება, თავს ქვიშაში ჩარგავს, ცისფერი ჩასაფრებულია ბუჩქებში და სწორედ ამ მომენტს ელოდება.



თვითმფრინავი მიფრინავს. ერთი მგზავრი წუხს:
— ვაი, რა ცუდად ვარ! ვაი, ახლა გული ამერევა!
გვერდით მჯდომი ეუბნება:
— თქვენც იმ დილაკს დააჭირეთ თითი.
— დავაჭირე, მერე რა?
— მერე ის, რომ სტიუარდესასთან ნათურა აინთო!

— უჰ, მაგის დედა, მე აქ ლამისა მოგკვდებოდა, იმას კი ნათურის ანთებაც ეზარება.

— ახლა გაიღიმე ბიჭუნა და უცქირე, როგორ გამოფრინდება ჩიტი!
— თუ ღმერთი გწამთ, ზღა-

პრებს მოეშვით. ჯობს, აიღოთ ექსპონომოტრი, შეამოწმოთ განათება და სწორად დააყენოთ დიაფრაგმა, რომ ფირფიტა არ გაფუჭდეს.

სამედიცინო ინსტიტუტში ორი სტუდენტი მიდის ოყნით ხელში. პროფესორი ეკითხება:
— საით მიდიხართ?
— ოყნის გასაკეთებლად.
— მერე, ორი კაცი რა საჭიროა?
— მე გაკეთება ვიცი, ამათ კი ის, თუ სად უნდა გაუკეთოთ.

გენერალს ჯარისკაცები ტყეში მიჰყავს სოკოს საკრფად.
— ამხანაგო გენერალო, ნაცრისფრებიც მოვკრიფეთ?
— დიას!
— კი მაგრამ, ისინი ხომ შხამიანია?



— არა უშავს, ჩემი სიღვრი ხომ ჯერ კიდევ ცოცხალია.

ხალხით სავე ავტობუსმა უცებ დაამუხრუჭა. ერთმა მამაკაცმა თავი რომ შეეკავებინა, გვერდით მდგომ ქალს მხარზე მოჰკიდა ხელი.

— მომიხმინეთ, — ეუბნება ქალი — მხრებზე რომ მკიდებთ ხელს, სხვა ადგილი ვერ იპოვეთ?

— ქალბატონო, ძალიან გთხოვთ, ნუ მაცდუნებთ!

კაკუნი კარზე:
— რაფიკა სახლშია?
— არა.
კვლავ:
— რაფიკა სახლშია?
— არა.

კაკუნი მესამეჯერ:
— რაფიკა სახლშია?
— კუბოში მენახოს თქვენი რაფიკა!
— ბიჭებო, შემოიტანეთ!

პროკურორი:
— მსჯავრდებულმა ჩაიღინა იშვიათი სიმამაცის, მდიდარი ფანტაზიის, საოცარი საზრიანობით გამორჩეული დანაშაული!
განსასჯელი:
— სულ ტყუილად მაქვთ, მაინც არ ვაღიარებ!



შეჩერდით

ურთიერთსაყვედურები პრინციპით – „ვინ ვის აჯობებს“, სიკეთეს არ მოგიტანთ. ღრმად ჩაისუნთქეთ და წარმოიდგინეთ, რომ ამოსუნთქვასთან ერთად თქვენი გაღიზიანებაც გადის ორგანიზმიდან. თუ ამან არ გიშველიათ, მაშინ ღრმად სუნთქვის პროცედურა ჩაიტარეთ. ეს დაშვებების მშვენიერი საშუალებაა.

ნუ გაუხსენებთ თანამოსაუბრეს ძველ შეცდომებს.

მხოლოდ ერთი პრობლემა განიხილეთ. მაშინ კრიტიკა უფრო კონსტრუქციული იქნება.

გააკრიტიკეთ კონკრეტული საქციელი ან მოვლენა, და არა ადამიანი. ყველამ შეიძლება დაუშვას შეცდომა. ნუ შეეცდებით, პოლემიკაში დამარცხებულის დანაშაულის გრძნობა გააღრმავოთ. უმჯობესი იქნება, ერთად იფიქროთ გამოსავალზე. ასეთი კონსტრუქციული მიდგომა, ოჯახურ ურთიერთობებს გაამყარებს.

თუ ხვდებით, რა არის თქვენი გაღიზიანების ნამდვილი მიზეზი, ნუ დაიწყებთ აგრესიის გამოსავლენად საბაბის ძებნას. უმჯობესი იქნება, დაძაბული საუბარი სხვა დროისთვის გადადოთ.

ყური მიუგდეთ...

როდესაც კრიტიკა კონსტრუქციულია, იგი არა მხოლოდ შეცდომებზე, არამედ მათი გამოსწორების გზებზეც მიგვითითებს. უარყოფითი შეფასება შეიძლება უსამართლოდ მოგჩვენოთ, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებაა. დაფიქრდით, იქნებ მართლაც შეგიძლიათ რაღაც გააუმჯობესოთ?

ოჯახში აუცილებლად უნდა იყოს „გაკრიტიკების წესები“. ოჯახის ყველა წევრს შესთავაზეთ, რომ შენიშვნები დაბალი ხმით, შეფასებების გარეშე გამოთქვან. მაგალითად: „მე არ მიყვარს, როდესაც ნივთები მიმოფანტულია“ – ეს აზრი ლაკონურია და ზედმეტი პათოსისგან თავისუფალი. იგი გაცილებით კორექტულია, ვიდრე ხმამაღალი საყვედურები: „სახლი ყოველთვის თავდაყირა გაქვთ! ყველაფერს აქეთ-იქით ისვრით!“

დაისწამეთ! არც ერთი მოვლენა არ შეიძლება იყოს „ყოველთვის“ ან „არასდროს“. საუბრისას მოერიდეთ ამ ეპითეტებს.

უფლებები და მოვალეობები

განსოვდეთ, რომ თქვენ გაქვთ არა მხოლოდ შრომის, არამედ დასვენების

კრიტიკა ხშირად ოჯახშიც კონფლიქტის მიზეზი ხდება ხოლმე. სიფიცხისას ერთმანეთს ვახსენებთ წარსულის შეცდომებსა და მარცხს, სიტყვას სიტყვა მოჰყვება და სკანდალიც იწყება. იმისათვის, რომ ოჯახის წევრებთან ურთიერთობები არ გაგირთულდეთ, გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები:

როცა ოჯახში ბაკრიბიკებენ



უფლებაც. სულაც არ ხართ ვალდებული, ყოველდღიურად ყველაფერი „ნუ-თიანზე“ შეასრულოთ. პატივი ეცით საკუთარ სურვილებს. გამოყავით დღეში ნახევარი საათი მაინც და არავის მისცეთ უფლება, ამ პერიოდში შეგაწუხონ. თუ თქვენ იმის გამო გააკრიტიკებენ, რომ ზედმეტად გიყვართ საკუთარი თავი, თამამად შეეპასუხეთ, რომ სწორედ ამ გრძნობის წყალობით ახერხებთ იმას, რომ ასეთივე მზრუნველობით მოექცეთ გარემომოყოფებსაც.

უსიტყვო ტაბუ

ყველამ, ვინც თქვენთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს, უნდა იცოდეს, რომ თქვენი საქციელის მიმართ კრიტიკული შენიშვნების გამოთქმა დაუშვებელია ბავშვების თანდასწრებით. ბავშვის თვალში მშობელს ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს. განიხილეთ ეს საკითხი უფროსებთან ერთად და თუ გულისხამს საუბრის შემდეგ მაინც არ შეისმენენ თქვენსას, უმჯობესი იქნება, იფიქროთ ბებია-ბაბუისაგან განცალკევებით ცხოვრებაზე.

გაუვგოთ ერთმანეთს

თუ ადამიანი უკმაყოფილოა თავისი ცხოვრებით, იგი ყველასა და ყველაფერს აკრიტიკებს. დაუსვით მას შეკითხვა: „კონკრეტულად რა შევეცვალო, რომ

კმაყოფილი იყო?“ თუ ამ შეკითხვას არ მოჰყვება მკაფიო პასუხი, მაშინ შესთავაზეთ, ფურცელზე ჩამოწეროს, თუ რა პრეტენზიები აქვს მას თქვენ მიმართ.

თუ ყველაფრით უკმაყოფილო ადამიანი ასაკოვანია, სავარაუდოა, რომ იგი ყურადღების ნაკლებობას განიცდის. თუ მოზარდაა – შესაძლოა, არსებობს მისი გაღიზიანების მიზეზი, რომელსაც დადგენა სჭირდება.

თუ ადამიანი არ არის მზად, თავისი პრობლემები თქვენთან ერთად განიხილოს, დაელოდეთ ხელსაყრელ მომენტს: მოსალოდნელია, რომ მას ამის სურვილი ნებისმიერ დროს გაუჩნდეს და მაშინ ყურადღებით მოუსმინეთ.

ხშირად ისაუბრეთ ოჯახის წევრებთან. მოუყევით მათ როგორ ჩაიარა დღემ, სად იყავით, რა ნახეთ. დაინტერესდით იმითაც, თუ როგორი იყო მათთვის განვლილი დღე და მაშინ მიხვდებით, რომ საქმე და საზრუნავი ყველას საკმარისი აქვს. იქნებ თქვენი ანლობლებიც დაიღალნენ და თქვენგან კრიტიკას კი არა, თანაგრძნობას საჭიროებენ.

რა თქმა უნდა, ოჯახში ჯანსაღი ურთიერთობები მხოლოდ სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის პირობებშია შესაძლებელი. ასე რომ, იყავით მომთმენნი და გიყვარდეთ ერთმანეთი! არ ღირს არაკორექტულად ნათქვამი კრიტიკის გამო, ახლობელ ადამიანებს გული ატკინოთ.

რატომ ვსივდებით?

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამანაშვილი

გაცივება და სიცივე

გაცივებას რომ სიცივე იწვევდეს, მაშინ ხომ ზაფხულობით ადამიანი აღარ გაცივდებოდა? თუმცა, ორგანიზმის გადაცივება შესუსტებული იმუნიტეტისა და სტრესის ფონზე ჯანმრთელობას ნამდვილად არ არეებს. გაკაჟებულ ადამიანს კი ფეხების გაყინვის გამო, გაცივება ნამდვილად არ ეშუქება.

საერთოდ, სიცივეს მხოლოდ არაპირდაპირი წვლილი შეაქვს ინფექციებისა და გაცივების სტატისტიკაში. რაც უფრო მეტად ცივა გარეთ, მით მეტ დროს ვატარებთ შენობაში, სადაც ჩაკეტილია ფანჯრები ან კონდიციონერებია ჩართული (იგულისხმება კონდიციონერი – „ზამთარი-ზაფხული“). ასეთ პირობებში კი ვირუსები კიდევ უფრო აქტიურდება, აღვილად ვრცელდება და ადამიანთა მაქსიმალურ რაოდენობას ასნებოვნებს.

დავიბანოთ თუ არა დილაობით თავი

ჩვენში მიღებულია, რომ თავის დაბანა ძილის წინაა უმჯობესი. ევროპელები კი პირიქით, თავს დილაობით იბანენ და სულაც არ ავადმყოფობენ ჩვენზე ხშირად. ჯერ კიდევ 50 წლის წინ, ინგლისელებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი: ადამიანთა ერთი ჯგუფი ტენიანი ტანსაცმლით ორივე ქარში იმყოფებოდა, მეორე კი – თბილ შენობაში. გა-

გაცივება ძალზე ხშირად სრულიად მოულოდნელად დაგვატყდება სოლმე თავს. მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ კი მრავალი თეორიაა შექმნილი, თუმცა ბევრი დამკვიდრებული მტკიცებულება სულაც არ ყოფილა მართებული.

ცივებულთა რაოდენობა ორივე ჯგუფში ერთნაირი აღმოჩნდა. ასე, რომ სველ თმას, ორივე ქარსა და გაცივებას შორის კავშირი, არაერთგვაროვანია – მთავარი მაინც ორგანიზმის გაკაჟების ხარისხი და იმუნიტეტი.

გადადის თუ არა ვირუსი კონცინით?

ამ კითხვაზე პასუხი რომ გაეცათ, მეცნიერებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს: მოხალისეებს ენაზე და ცხვირის ღრუში ასხამდნენ რინოვირუსების შემცველ სითხეს. აღმოჩნდა, რომ ვირუსებს მეორე გზა „ურჩევნიათ“. ცხვირიდან დასნებოვნებასთან შედარებით, პირიდან დასნებოვნებისათვის რინოვირუსთა ათასჯერ მეტი კონცენტრაციაა საჭირო. დაინფიცირების შუალედურ რგოლს კი, ხშირად სწორედ ხელები წარმოადგენს. ამიტომ ნუ აკონცინებთ ხელზე ვირუსით დაავადებულ თავყვანისმცემელს.

გაცივება და სპორტი

ავადმყოფობის პირველ დღეებში, რაღა თქმა უნდა, არავის ექნება სპორტულ დარბაზში თუ საცურაო აუზზე წასვლის სურვილი, მაგრამ თუ გაცივებამდე აქტიურად მისდევდით სპორტს, ტემპერატურის ნორმალიზების შემდეგ ისევ უნდა განაახლოთ ვარჯიში. ზომიერი ფიზიკური დატვირთვით თქვენ ორგანიზმს გამოვანსალებათ და ეხმარებით. განსაკუთრებით სასარგებლოა ნახევარსაათიანი სიარული ან სირბილი სუფთა ჰაერზე.



მშრალი ხველა

არსებობს მოსაზრება, რომ ხველის რეფლექსის დათრგუნვამ შესაძლოა პნევმონია გამოიწვიოს, მაგრამ ეს საშიშროება მხოლოდ ფილტვების ქრონიკული, მძიმე დაავადების მქონე პაციენტებს ეშუქებათ. დანარჩენებისთვის კი, პირიქით, საჭიროა მშრალი, არაპროდუქტიული ხველის შეტევების დათრგუნვა, რადგან ის არ აძინებს ავადმყოფს და კიდევ უფრო უსუსტებს ყელს. საამისოდ, უამრავი საშუალება არსებობს.

ალკოჰოლი გაცივების „წინააღმდეგ“

მამაკაცთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ გაცივების საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალება ალკოჰოლია. თუმცა ეს მთლად ასე არ არის, რადგან ალკოჰოლი ორგანიზმში ხვდება და გამოიყოფა კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, ვირუსები კი ძირითადად ზედა სასუნთქ გზებში მრავლდება. ასე რომ, თუმცა ალკოჰოლს მასტერილიზებული მოქმედება აქვს, მისი ვირუსთან თანხვედრის შანსები ნაკლებია. თანაც სპირტიანი სასმელი ასუსტებს ორგანიზმის ბრძოლის უნარს და უარყოფით გავლენას ახდენს ღვიძლზე.

სტომატოლოგიური კლინიკა
გიორგი-დენი

1. უმტკივნეულო მკურნალობა მოკლე ვადებში;
2. 100% სტრატეგიული;
3. დაბალი ღირებულება;
4. ულტრა თანამედროვე მასალები აწინააღმდეგებს ბაქტერიას;
5. მაღალკვალიფიკაციური მედიკოსები;
6. უფასო კონსულტაცია;
7. მკურნალობა გაქანტიანთ.

მის: თაშისუფლანის მოედანი №4ბ
(ახალაშენის სასტუმრო „მერიდიანს“ ეზოში)
☎ 98-64-83

როსა იმუნური სისტემა დაქვეითებულია

ბოლო ოცი წლის განმავლობაში დასავლეთში ასთმით ავადობის შემთხვევებმა ორჯერ იმატა. ამ სიტუაციის ასახსნელად უამრავი ჰიპოთეზა გამოითქვა, ოზონური სფერულიდან დაწყებული, გარემოს სხვადასხვა აირით დაბინძურებით დამთავრებული. ზოგიერთი მეცნიერი ასთმის განვითარებაში ანტიბიოტიკებს ადანაშაულებს, თუმცა ისინი ამ ვაგუფის პრეპარატების მონმარების შესახებ ძირითადად მშობლების მონაცემებს ეყრდნობიან.

დეტროიტში ჰენრი ფორდის ჯანდაცვის ფონდის მედიკოსთა ვაგუფი აკვირდებოდა 448 ბავშვს დაბადებიდან 7 წლის ასაკამდე. ბავშვების თითქმის ნახევარი იღებდა ანტიბიოტიკებს სიცოცხლის პირველ 6 თვეში, მეოთხედმა ანტიბიოტიკის ორი კურსი ჩაიტარა, მეხუთედმა – სამი და მეტი კურსი.

გამოკვლევის შედეგი ასეთი აღმოჩნდა: ბავშვებში, რომლებსაც ანტიბიოტიკებს აძლევდნენ პირველივე წლის პირველ ნახევარში, ასთმით დაავადების რისკი 2,6-ჯერ გაიზარდა, ამასთან ფართო სპექტრის ანტიბიოტიკების გამოყენების რისკმა 8,9-ჯერ მოიმატა. ასეთ პატარებში ბალანსზე, ძაღლებსა და კატებზე ალერგიის განვითარების რისკი 50%-ით მაღალია.

ასთმით დაავადების რისკი გაზრდილია აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ დედას აქვს ასთმა ან ოჯახში ჰყავთ შინაური ცხოველები.

მიღებული შედეგები ზოგიერთ მეცნიერს არადამაჯერებლად ეჩვენება: ანტიბიოტიკებს ხომ ბავშვებს ხშირად სასუნთქი გზების ინფექციების დროს უნიშნავენ და იქნებ, სწორედ ინფექცია იწვევს ასთმას და არა ანტიბიოტიკები? შესა-

ძლოა ისიც, რომ ბავშვები, რომლებიც სასუნთქი გზების ინფექციებით ადვილად ავადდებიან, მიდრეკილება აქვთ ასთმისადმი.

დეტროიტელი მკვლევარების აზრით, ანტიბიოტიკების ხმარება იმუნურ სისტემას აქვეითებს, რადგანაც არღვევს ნაწლავის ნორმალურ ბაქტერიულ ფლორას და იმუნური სისტემა უძლური ხდება, გააჩიოს, რომელი ბაქტერიაა ორგანიზმისთვის სასარგებლო და რომელი – მავნებელი.

ასთმის კავშირი ანტიბიოტიკებთან შეესატყვისება ასთმის განვითარების ე.წ. ჰიგიენურ ჰიპოთეზას: „რაც მეტი სისუფთავეა ირგვლივ, მით მეტია ალერგიით დასნებობების რისკი!“ ანუ იმუნური სისტემა მოწყენილია პათოგენების (დაავადებათა გამომწვევების) უქონლობის გამო.

მედიცინის სიახლანი

ყველა ვირუსის წამალი

უკვე დაწყებულია იმ პრეპარატის გამოცდა, რომელიც შესაძლოა, ზედა სასუნთქი გზების ყველა სახის მწვავე ვირუსული ინფექციის მძიმე გართულებათა სამკურნალო იდეალურ საშუალებად იქცეს. სიახლე ორგანიზმს იცავს ჭარბი იმუნური რეაქციისაგან, რომელიც მიმართულია საკუთარი ქსოვილების წინააღმდეგ და უფრო მეტად ენებს ორგანიზმს, ვიდრე – თავად ვირუსს. ინგლისელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ როდესაც იმუნურ რეაქციაში მონაწილეობს მოლეკულა OX40, იგი დაზიანების კერაში T-ლიმფოციტების შეჩერებას იწვევს, რასაც ანთება და მძიმე შედეგები მოსდევს. თუ მოლეკულის მოქმედება შეფერხდება, ეს შეამცირებს ანთებასაც. სწორედ ამას აკეთებს ახალი პრეპარატი. თუ ექსპერიმენტები ცხოველებზე წარმატებული იქნება, მოხალისეებზე პრეპარატის გამოცდა წელსვე დაიწყება.

შიზოფრენია მამის გამო

შვედმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბავშვებში, რომლებიც ხნიერი მამებისაგან გაჩნდნენ, მნიშვნელოვნად მატულობს შიზოფრენიის რისკი. მკვლევარებმა შეისწავლეს შვეციის არმიის 1969-1970 წლების 50087 წვევამდელის სამედიცინო ანკეტა. 1996 წლისათვის მათგან 362-ს შიზოფრენია განუვითარდა. როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, რაც უფრო ასაკოვანია მამა ბავშვის დაბადების მომენტში, მით მეტია რისკი, რომ შვილს მომავალში შიზოფრენია განუვითარდეს. მამის ასაკის 10 წლით მატებისას ასეთი ალბათობა 30%-ით მატულობს. მკვლევართა აზრით, ეს ფაქტი შეიძლება აისხნას მუტაციებით, რომელიც ცხოვრების განმავლობაში მამაკაცის სასქესო უჯრედებში გროვდება.

ბავშვები მარტოხელებისათვის

იაპონელებმა მარტოხელა ქალბატონებისთვის ცხოვრების გალამაზების მორიგი საშუალება გამოახსეს. უკვე იყიდება მოლაპარაკე თოჯინა უფროსებისათვის. სათამაშო, რომელსაც „პირველი ბიჭუნა“ ჰქვია, ხუთი წლის ბავშვის ხმით ლაპარაკობს. მის არსენალში რამდენიმე მარტივი ფრაზაა. მაგალითად: „მეთამაშე“ ან „ჩამეხუტე“. ამავე დროს მასში ჩამონტაჟებულია მალვიძარა.

მისალმებას „დილა მშვიდობისა“ ბიჭუნა სხვადასხვაგვარი ხასიათის შესაბამისი ინტონაციით წარმოთქვამს, თუმცა მიმიკის გარეშე ყურადღება და მოვლა მას ბავშვივით სჭირდება, რაც ძალიან ახარებს მარტოხელა ქალბატონებს. სათამაშოთა მფლობელები კლუბებში ერთიანდებიან და პიკნიკებზეც ერთად დადიან, სადაც თავიანთი საყვარელი პატარებაც თან დაჰყავთ.

კულტურული დასვენება გენისთვის სასარგებლოა

თუ თავისუფალ დროს ტელევიზორის ყურებას თვალსაზრისით ან სტუმრად სიარული გირჩენიათ, მოხუცებულობისას თქვენ მესხიერებასთან, ყურადღებასა და ინტელექტთან დაკავშირებული პრობლემები ნაკლებად შეგაწუხებთ. ბრიტანელმა მეცნიერებმა 5350 ადამიანი გამოიკვლიეს: ინტელექტუალური გასეირნების მოყვარულებს ცენტრალური ნერვული სისტემის უწყვეტის ასაკობრივი ცვლილებები გაცილებით გვიან დაეწყოთ, ვიდრე სახლში ჯდომის მოყვარულს, ყოფილი პრობლემებით დაკავებულ ადამიანებს. რაღა თქმა უნდა, მეკვიდრული ფაქტორიც თამაშობს გარკვეულ როლს ნერვულ უჯრედთა დაბერების სისწრაფეში, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია გარეშე სტიმულები, რომლითაც ადამიანი თავს ინებიერებს. რაც მეტია ამგვარი სტიმული, მით ნელა ბერდება ნერვული სისტემა.



კვირის (2 - 8 თებარივალ)

სსრკოლოგიური პროგნოზი

მარტო - 21/1-19/1

ქალი: ამ კვირაში აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ის შენიშვნები, რომელსაც ახლობლებისგან მიიღებთ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კოლეგები კრიტიკის ქარცეცხლში გაგატარებენ, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. ამ კვირაში მხოლოდ ასეთი სტრატეგია გაამართლებს.

მამაკაცი: ნაკლები იფიქრეთ საქმეზე და შეეცადეთ მეტი დრო დაუთმოთ მეგობრებს. ამ დღეებში კარგი დასვენება გჭირდებათ, რადგან შემდეგი კვირა მეტად დაძაბული გექნებათ.

თებერი - 20/11-20/11

ქალი: ახლობლების თანადგომა მეტი სიმეტად ნუ გაგათამამებთ. ისეთი იდეები გაგინდობათ, რომელიც მხოლოდ თქვენთვისაა ხელსაყრელი, დანარჩენებს კი აზარალებს. ახლობლების კეთილდღეობაზეც იფიქრეთ.

მამაკაცი: მოეცემათ საშუალება შეიძინოთ ნივთი, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობთ. ხელსაყრელი დროა ფინანსური გარიგებებისთვისაც. ვაჭრობაში დასაქმებულ ადამიანებს წარმატება ელით.

პირი - 21/11-20/11

ქალი: ძალიან სასიამოვნო თავგადასავალი გელით. რამდენიმე მამაკაცი ერთდროულად გამოგიტყდებით სიყვარულში. ვისაც კი რამეს თქმა უნდა, ყველა ამ კვირაში გადაგიშლით გულს.

მამაკაცი: დიდა საწარმოო ტრავმების რისკი. გაფრთხილდით გადასვლელზე გადასვლისას და ელექტრონულსაწყობების ხმარებისას. კვირის ბოლოს დიდი ხნის მოუგვარებელ პრობლემებს გადაჭრით.

პირი - 21/11-21/11

ქალი: თუ საკუთარი საქმის წამოწყებას აპირებთ, ამ კვირაში თავის შეკავებას გირჩევთ. შემდეგი კვირიდან კი შეეცადეთ, ყველა ნოვატორული წამოწყება სისრულეში მოიყვანოთ.

მამაკაცი: შეეცადეთ გაურკვეველ სიტუაციაში დიდხანს არ დარჩეთ. მოიშველიეთ მეგობრები, კარგად გააანალიზეთ შექმნილი მდგომარეობა და მიიღეთ სწორი გადაწყვეტილება.

მარტო - 22/11-21/11

ქალი: კვირის ბოლოს ახალი თავგანისმცემელი გამოჩნდება. კარგად დაფიქრდით, თუკი ის დაქორწინებას შემოგთავაზებთ. აჩქარება თქვენს საწინააღმდეგოდ იმოქმედებს.

მამაკაცი: დიდია შეცდომების დაშვების ალბათობა. ამიტომ, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ამ კვირაში ნუ მიიღებთ. შეეცადეთ, დრო გართობას დაუთმოთ. ამ საქმეში მშვენიერ კომპანიონობას გაგიწევენ ძველი მეგობრები.

პირი - 22/11-22/11

ქალი: ჯობს ამ კვირაში კარგად დაისვენოთ და ძალები შემდეგი კვირისთვის მოიკრიბოთ. არ არის საჭირო, პირად საკითხებზე ყველასთან ილაპარაკოთ. მაქსიმალურად აარიდეთ თავი ჭორიკანა ადამიანებთან დისკუსიას.

მამაკაცი: მეგობრების მხარდაჭერით საინტერესო საქმეს წამოიწყებთ. ამ კვირაში დაწყებული საქმე კი უდავოდ წარმატებას მოგიტანთ. კარგი დროა პოლიტიკური საქმიანობისთვის.

ლირი - 23/11-23/11

ქალი: ლომები ამ კვირაში ძალიან დაბნეულები არიან და ბევრ შეცდომებს უშვებენ. დიდა დანაკარგის ალბათობაც. ასე რომ, გაფრთხილდით, ტაქსიში არ დაგრიეთ საქალაქო, ხელჩანთა ან ქოლგა...

მამაკაცი: წინ ბრწყინვალე კვირა გელით. გარშემომყოფნი თქვენით აღფრთოვანებულნი არიან. ახალი იდეებით კი ხელმძღვანელები დაინტერესდებიან.

ქალი - 24/11-23/11

ქალი: მართალია ძალიან საქმიანი კვირა გელით, მაგრამ ნურც ინტელიქტუალურ დასვენებასა და გართობაზე იტყვიან უარს. მიიღეთ მონაწილეობა თამაშებში, ეს თქვენ წარმატებას და პოპულარობას მოგიტანთ.

მამაკაცი: კვირის შუა რიცხვებში სიურპრიზი გელით. მშვენიერი მანდილოსანი პირველი გადმოდგამს ნაბიჯს თქვენკენ, მაგრამ მინც ჯობს ინიციატივა თქვენს თავზე აიღოთ და მის აქტიურობას არ დაელოდოთ.

სანტო - 24/11-23/11

ქალი: საყვარელი ადამიანი თუ გისაყვედურებთ, მორჩილად მოისმინეთ თქვენი მისამართით ნათქვამი სიტყვები. თუ თავდაცვას შეეცდებით, უფრო დიდი უსიამოვნება გელით.

მამაკაცი: ფულის შოვნის ახალი გზა გამოგიჩნდებათ. კვირის შუა დღეებში საინტერესო წვეულებაზე მოხვდებით და ბევრ ისეთ ადამიანს გაიცნობთ, რომელთა კეთილგანწყობაც წარმატებას მოგიტანთ.

ღიანი - 24/11-22/11

ქალი: ფულს უაზროდ ნუ დახარჯავთ. თავისუფალი დრო შემოქმედებით საქმიანობას დაუთმეთ. უარი არ თქვათ მეგობრების მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზეც, საქმიანი საუბრები კი შემდეგი კვირისთვის გადადეთ.

მამაკაცი: ნუ გადაუშლით ახალგაცნობილ ადამიანს გულს. თავი აარიდეთ თქვენთვის არასასურველ საუბრებს. ამ კვირაში ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. დიდა შეცდომის დაშვების რისკი.

ქალი - 23/11-21/11

ქალი: დაისახეთ ახალი პერსპექტივები. გაითვალისწინეთ მეგობრების რჩევები, რადგან მათი დახმარებით თქვენს ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები მოხდება.

მამაკაცი: შეეცადეთ უსიამოვნო სიტუაციაში, რომელიც თქვენ გარშემო შეიქმნება, წყობილებიდან არ გამოვიყვანოთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. ვარსკვლავები ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას სიფრთხილისა და მათ მიმართ ყურადღების გამოჩენას გირჩევენ.

თხის რქა - 22/11-20/11

ქალი: ამ კვირაში ყველაფერს ზედმეტად ოპტიმისტურად ნუ შეაფასებთ, შესაძლოა, მოვლენების არარეალურმა აღქმამ გამოუსწორებელი შეცდომა დაგაშვებინოთ.

მამაკაცი: ბედისწერა გამოცდას გიმზადებთ. ახლა მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, შეძლებთ თუ არა, ხელიდან არ გაუშვით ბედნიერება, რომელიც თავისი ფეხით მოვა თქვენთან.

დახვდნდი „საუნდი“ და ოფოტ ნზიგლნიანდის დაგაღვზინს დღე



როგორც მკითხველს ჩვენი ჟურნალის წინა ნომრებში უკვე ვაცნობეთ, ჯგუფი „საუნდი“ დაიშალა, თუმცა მესამე ალბომი — „ჩვენი ვარსკვლავი“ მაინც დაასრულეს. ალბომის პრეზენტაცია 31 იანვარს, თემოს დაბადების დღეს (იგი 22 წლის ხდება) გაიმართება. ეს დღე იმითაც იქნება აღსანიშნავი, რომ თემო სიონის საკათედრო ტაძარში მონათლდება და გაქრისტიანდება.

ამჟამად თემო ხვიბლიანი ყოფილ „საუნდელთან“ — პაატა ყოლბაიასთან ერთად ახალ სიმღერაზე მუშაობს. როგორც მომწერლები ამბობენ, ეს იქნება გამოსამშვიდობებელი სიმღერა, რომლის შემდეგაც ისინი ესტრადას დატოვებენ.

ნათია ქვიპია

— თემო, პირველ რიგში, გულახდილად გვითხარი, რატომ დაიშალა ჯგუფი „საუნდი“?

— „საუნდის“ დაშლის დღიდან, საზოგადოებაში განწდა აზრი, რომ ჩვენი ჯგუფის დაშლის მიზეზი, ჩხუბი იყო. მინდა აღვნიშნო, რომ ჯგუფის წევრებს შორის არანაირი უთანხმოება არ მომხდარა, ჩვენ დღესაც კარგი მეგობრები ვართ. მგონი, ამაში თავადაც დარწმუნდით, რადგან ახლა პაატა აქ არის და მის სიმღერაზე ერთად ვმუშაობთ. ჩვენ ვილაპარაკეთ, ვიმსჯელებთ და ამის შედეგად გადაწყვეტიეთ, რომ ჯგუფი დაშლილიყო. „საუნდმა“ სამი წლის მანძილზე სამი ალბომი და ერთი ხალხური სიმღერების კრებული გამოუშვა. გავიარეთ ის ეტაპი, რასაც ქართულ შოუბიზნესში „ეკლიანი გზა“ ჰქვია. ჩვენ მივდივართ, რათა დავრჩეთ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ 14 თებერვალს, სპორტის სასახლეში „საუნდის“ ბოლო კონცერტი უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ იმ რამდენიმე ტელეკომპანიას, რომელთანაც ჩვენ ვთანამშრომლობდით, რეკლამის განთავსების უფლება ერთ-ერთი სარეკლამო კომპანიისთვის აქვს მიყიდული და ამის გამო, რეკლამის განთავსება საგრძნობლად გაძვირებულია, ურეკლამოდ კი, მოგესხენებათ, ასეთი ღონისძიების გამართვა ძნელია. სწორედ

ამის გამო, ჩვენი ბოლო კონცერტი ვერ ჩატარდება.

— ახლა მოგვიყვი, რა მოხდება 31 იანვარს?

— „საუნდის“ დაარსებიდან, ყოველი წლის 31 იანვარს ალბომის პრეზენტაცია იმართებოდა. ამ ტრადიციას არც წელს ვუღალატებთ და ამ დღეს, „საუნდის“ მესამე და ბოლო ალბომის პრეზენტაცია შედგება. მომავალში, ყოველი წლის 31 იანვარს, ჩემი სოლო ალბომი გამოვა ხოლმე. „საუნდის“ ბოლო ალბომში — „ჩვენი ვარსკვლავი“ — რვა სიმღერა შევა.

— როგორც ვიცი, ამ დღეს მონათლები კიდევ ვინ იქნებიან ნათლიები?

— ნათლიები იქნებიან: აჩი ფურცელაძე, ნიკა ლომიძე, მსახიობი და რეჟისორი სოსო ჯაჭვლიანი, პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანი და ჟურნალისტი ინგა ქლიბაძე. ხუთივე ძალიან მიყვარს და ვაფასებ. ჩემი ნება რომ იყოს, ასი ნათლია მეყოლებოდა, რადგან მათ გარდა, კიდევ ბევრი ახლობელი მყავს... მოუთმენლად ველი ამ დღეს, რადგან ერთდროულად სამი კარგი

რამ ხდება. თუმცა მათ შორის, ნათლობა ყველაზე ამალეებული მოვლენაა. მიზარია, ისეთ ასაკში ვინათლები, რომ ნათლიების არჩევა თავად შემიძლია...

— მოდი, ისევ „საუნდს“ დაგუბრუნდეთ. რა გეგმები აქვთ ჯგუფის წევრებს?

— ალბათ ყველამ იცის, რომ პაატა იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს. მას სურს, ამ პროფესიას საფუძვლიანად დაეუფლოს. ხოლო სიმღერა და სწავლა ერთდროულად — ძნელია. პაატამ ახალი ინტერპრეტაციით ჩაწერა ძველი სიმღერა — „წადი, შორს წადი“. ეს ესტრადიდან მისი წასვლის დასამშვიდობებელი სიმღერა იქნება. ლაშა ხელაშვილი სულ მალე, გერმანიაში განაგრძობს სწავლას. რაც შემეხება მე, სოლო კარიერას ვაპირებ. უკვე ჩავწერე ინგლისურენოვანი სიმღერა — „შენთვის ვლოცულობ“, რომლის ტექსტიც მარინა ასლანიშვილს ეკუთვნის, მუსიკა კი, ჩემია. კლიპი გიორგი კიკაღვიშვილმა გადაიღო და ის უკვე „ტრიპლებს“ ტელეეკრანებზე ასევე ჩავწერე ერთი ძველი სიმღერა — „ვერხვის ფოთოლთან“, რომელიც იაკობ ბობოხიძეს ეკუთვნის. ამ სიმღერაზე საკარაულოდ, კლიპს თავად გადავიღებ. როგორც მოგესხენებათ, თეატრალურ ინსტიტუტში, სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლას ვაპირებ...



გაგიბრეთ ის ეტაპი, რასაც ქართულ შოუბიზნესში „ეკლიანი გზა“ ჰქვია. ჩვენ მივდივართ, რათა დავრჩეთ

გაქვთ თუ არა ფანტაზია?



1) გიყვართ თუ არა ხატვა?

- ა) ღიახ - 2;
- ბ) არა - 1.

2) სშირად ხართ თუ არა მონყენილი?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 2.

3) გჩვევიათ თუ არა, ეფექტის მოსახდენად, მომხდარის შელამაზება?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

4) სშირად იჩენთ თუ არა ინიციატივას სამსახურში?

- ა) ღიახ - 2;
- ბ) არა - 1.

5) როგორი კალიგრაფია გაქვთ?

- ა) გაურკვეველი - 1;
- ბ) იოლად წასაკითხი - 0.

6) ვის გემოვნებას ითვალისწინებთ ტანსაცმლის შერჩევისას?

- ა) საკუთარს - 2;
- ბ) ახლობლების - 1.

7) გჩვევიათ თუ არა

საუბრის დროს, რაიმის ხატვა?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

8) გიყვართ თუ არა მუსიკა?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

9) გიყვართ თუ არა წერილების წერა?

- ა) ღიახ - 2;
- ბ) არა - 1.

10) გესიზმრებათ თუ არა უცნაური სიზმრები?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

11) გიოცნებიათ თუ არა ისეთ ადგილას მოხვედრაზე, რომლის შესახებაც მხოლოდ ახლობლების მონაცოლიდან იცით?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

12) გიტირიათ თუ არა ფილმის ყურებისას?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

დააჯავიეთ ქულები

13-17: საოცარი ფანტაზიის მქონე ადამიანი ხართ. ფანტაზიის უნარის წყალობით, თქვენი ცხოვრება გაცილებით მნიარული და შთაბეჭდილებებით სავსეა. შეგიძლიათ, ახლობლებსაც საგრძნობლად გაუღამაზოთ ცხოვრება.

9-12: ფანტაზიის უნარი უდაფოდ გაქვთ, თუმცა მას ძლიერს და გამორჩეულს ვერ უწოდებ. ამ უნარის განვითარება კი, მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

ნ-მ: რეალისტი ხართ, ფანტაზიის უნარი არ გაგანიათ და არც ოცნებას ეძლევით ხოლმე. მეტი ფანტაზიის წყალობით, თქვენი ცხოვრება უფრო საინტერესო გახდებოდა.

ხართ თუ არა პრაქტიკული

1) შეძლებდით თუ არა უკაცრიელ კუნძულზე ცხოვრებას?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

2) შეგიძლიათ თუ არა კოცონის გაჩაღება?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

3) შეგიძლიათ თუ არა, რომელიმე კერძი დამოუკიდებლად მოამზადოთ?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

4) სტუმრებისთვის საში სხვადასხვა კერძის მომზადება თქვენთვის სირთულეს წარმოადგენს?

ა) ღიახ - 1;

- ბ) არა - 0.

5) შეგიძლიათ თუ არა თერთულის რამდენიმე კომპლექტის დაუთოება?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

6) შეგიძლიათ თუ არა, დამოუკიდებლად გამოუცვალოთ ავტომანქანას ბორბალი?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

7) რამდენად იოლად აგვარებთ ხოლმე ოჯახში წარმოქმნილ პრობლემებს?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

8) შეგიძლიათ თუ არა გადამწვარი ნათურის გამოცვლა?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

9) ხართ თუ არა კარგი ორგანიზატორი?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

10) შეგიძლიათ თუ არა, დამოუკიდებლად მოამზადოთ კულტურული ღონისძიება?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

დააჯავიეთ ქულები

0-3: იმდენად არაპრაქტიკული ადამიანი ხართ, რომ საკუთარ თავზე ზრუნვასაც კი ვერ ახერხებთ. სხვების დახმარების გარეშე არსებობა ვერც კი წარმოგიდგენიათ. ცდილობთ, ყველაფერი ფულით მოაგვაროთ და ზედმეტი პრობლემებით თავი არ შეინწუხოთ.

4-6: საკუთარ თავზე ზრუნვა მშვენივრად შეგიძლიათ. ხელმარჯვე ადამიანი არ გეთქმით,

მაგრამ წერილმანი პრობლემების მოგვარებას მაინც ახერხებთ. პრაქტიკულობაც თქვენში იმ დოზით ვლინდება, რამდენიც თვითონვე გჭირდებათ.

7-10: ძალზე პრაქტიკული ხართ, იოლად ახერხებთ პრობლემების მოგვარებას და არათუ საკუთარ თავზე, არამედ ახლობლებზეც მშვენივრად ზრუნავთ.

მსოფლიოში ყველაზე გიძელი გველი უესხად დაპატარავდა

„რეკორდული სიგრძის პითონი“, „მსოფლიოში ყველაზე გრძელი გველი“ – ასე უწოდებდნენ გველს, რომლის ხილვის საშუალებაც ინდონეზიის ერთ-ერთ ნაციონალურ პარკში მისულ დამთვალიერებლებს ჰქონდათ. ის თურმე 14,85 მეტრი სიგრძის ყოფილა. გინესის რეკორდების წიგნში მანამდე დაფიქსირებული პითონის სიგრძე კი, 9,5 მეტრი იყო და



რომ არა ჟურნალისტების სკეპტიკური დამოკიდებულება, ალბათ ინდონეზიის პითონი „რეკორდსმენს“ გაუსწრებდა. ჟურნალისტებმა გველის ხელახალი გაზომვა მოითხოვეს, რის შედეგადაც გაირკვა, რომ გველი სულ 6,5 მ სიგრძის ყოფილა. მართალია, ეს ცოტა არ არის, მაგრამ სამწუხაროდ, გინესისთვის საკმარისი აღარ იყო. „ვერ გამოვიდა, რატომ დაპატარავდა გველი“, – განაცხადა პითონის ერთ-ერთმა დამკვირვებელმა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ გიგანტური გველი თვეში 4 ძალს ჭამს.

რაც შეეხება „მსოფლიოში ყველაზე გრძელ გველს“, ეს „ტიტული“, როგორც ჩანს, რეკორდების წიგნში უკვე შესულ გველს დარჩება, რომელიც 1912 წელს კუნძულ სულავესიზე არის აღმოჩენილი.

„ინდონეზიურმა“ პითონმა კი, ნაციონალურ პარკს მოგება მაინც მოუტანა, ვინაიდან მისი ნახვის მსურველთა რიცხვმა აშკარად იმატა.

„ადამიანი-ობობა“ 200 მეტი სიმალეზე ასვდას აპიებს



„ადამიანი-ობობა“ წოდებული ფრანგი ალენ რობერი ლუბაში, საერთაშორისო სავაჭრო ფესტივალზე, ცათამბვჯენის – „მურჟანის კომის“ კვლევებზე ასვლას გეგმავს, რომელიც შპილის ჩათვლით 200 მეტრი სიმაღლისაა. რობერი ამ სიმაღლეს მთავრელისთვის საჭირო ყოველგვარი აღჭურვილობის გარეშე – შიშველი ხელებით დაიპყრობს. გასულ წელს იგი 100 ათასი მაცურებლის თანდასწრებით ქალაქ აბუ-დაბის ერთ-ერთი ბანკის (202 მ) შენობაზე ავიდა. ალენ რობერს მსოფლიოში ცნობილი 60-ზე მეტი ცათამბვჯენი და ღირსშესანიშნავი შენობა აქვს დაპყრობილი, მათ შორისაა ეიფელის კოშკიც. რაც შეეხება ლუბაის ცათამბვჯენს, როგორც მისი მფლობელები განმარტავენ, მასზე ასვლით „ადამიანი-ობობა“ „ყველასათვის მისაბადი გულადობის დემონსტრირებას მოახდენს“.

სუმოს მოჭიდავენი ქეჩაში წესიგს დაამყარებენ

სუმოს პროფესიონალ მოჭიდავეთა 15-კაციანმა ჯგუფმა გადაწყვიტა, იაპონიის დედაქალაქის ერთ-ერთი კრიმინალური რაიონის ქუჩებში ღამის 11 სთ-დან დღიამდე რიგრიგობით იმორიგეოს და საზოგადოებრივი წესრიგი უზრუნველყოს. სპორტსმენები „შეიარაღებულნი“ არიან სასტვენებით, ფარნებითა და სატკაცუნებით, რათა ქურდებისა და სხვა დამნაშავეთა აღმოჩენის შემთხვევაში, მოსახლეობამ იცოდეს, რომ წესრიგის დამცველნი ახლოს არიან. „სუმოს პატრული“ ყოველდღე, ახალი მარშრუტით იმოძრაებს და ყველა ინციდენტს საგანგებო ჟურნალში დააფიქსირებს. ადგილობრივი ვაჭრის, კაცუო ისუზუკას თქმით, იგი სწორედ მათი წყალობით გრძნობს თავს უსაფრთხოდ და ღამითაც მშვიდად სძინავს. „ვერ წარმომიდგენია, რომ ვინმემ გაბედოს რაიმე უხამსობის ჩადენა, როცა მის სიახლოვეს სუმოს მოჭიდავეთა პატრული იმყოფება...“ – დასძინა 55 წლის ისუზუკამ.






ვეიცხლის სამაჯური მფლობელს 60 წლის შემდეგ დაეხენდა



ვეიცხლის სამაჯური, რომელიც ამერიკელმა ვირჯინია მურმა თავის მეუღლეს მარკუს კორნერს 1944 წელს ფრონტზე გაატანა, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან თითქმის 60 წლის შემდეგ დაიბრუნა. კორნერი 1945 წლის 14 იანვარს დაღუპულა. სამაჯური კი, ბელგეიელმა პოლიციის ოფიცერმა ლორენცო მაიერნამ აღმოაჩინა. იგი ქალაქ ვიერ-ლა-ბონოს მახლობელ ტყეში ომთან დაკავშირებულ ისტორიულ კვლევას აწარმოებდა. სამაჯურზე, რომელიც მაიერნამ მედიის სოროში იპოვა, ერთ მხარეზე კორნერის სახელი და არმიის საიდენტიფიკაციო ნომერი იყო გამოხატული, ხოლო მეორეზე – სიტყვები – „ჯიხი მიყვარს“. პოლიციის ოფიცერი ამერიკელი ვეტერანების პატივსაცემად, ბელგიაში მუზეუმის გახსნას აპირებს. იგი ცოლთან ერთად თავად გაემგზავრა ამერიკაში და პირადად გადასცა ქალბატონ მურს ესოდენ ძვირფასი ნივთი, რომელიც ქვერვის სიკვდილის შემდეგ მუზეუმს გაეგზავნება.

განსხავება ჟურნალ „კარუსელის“ რედაქცია სათანამშრომლოდ იწვევს თანამედროვე, მძაფრსიუყუტიანი ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორებს. გთხოვთ, მობრძანდეთ ჟურნალ „კარუსელის“ რედაქციაში (აკურის ქ. №8) ან დაგვირეკოთ ტელ.: 98-74-44.

ფოტოკუჩიონები



F122 Y
2004

სიასლა!

ყველაზე მხიარული „ატრაციონი“ თქვენი პატარებისთვის

ბ ბ / ბ



12 იანვარი 2004
ჩვენი სიხარული
საბავშვო ატრაციონი

საბავშვო TV პრეზენტაცია